

652 /  
1978/3



# ენციკლოპედია

4  
1978

ჩემი გულია — მშვენიერ მაისს  
ხვეწნად მუხლივით რომ ვუვარდები.  
სიმღერა ჩანს, სიცოცხლე ჩანს  
და უთეთრესი ჩანს ვარდები.  
რა არის ნეტავ კვებნად მისთანა,  
რომ გამიცვივოს გული მისდამი,  
მიჩვენოს სადმე აჭარისთანა,  
სხვა რომელიმე კუთხე ახალი,  
ახალგაზრდობის დღე, საიდანაც  
ჩემგან პირველად ზღვაა ნახული.  
მიჩვენეთ სადმე ზღვა ამისთანა.  
ან მთები ზღვაზე გადასახული.

**გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი**



ლიბერალურულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
შურობა

# ქრონოსი

საქართველოს საბჭოთა  
მწიგნობის კავშირისა და  
აჭარის განყოფილების  
ორგანო

ბ ა მ ო დ ი ს 1 9 5 8 წ ლ ი დ ა ნ

## შ ი ნ ა ა რ ს ი

6. გუგუნავა — განუზრელი აღმავ- ლობის გზით . . . . .	8
კოეზია, კროზა	
6. მაღაჯონია — ლექსები . . . . .	12
რ. ჩაჩანიძე — ერთი გოჭა მიწა მოთხრობა . . . . .	15
შ. ზოიძე — ლექსები . . . . .	34
მ. სიითელიძე — ექვანობა მოთხრობა, თარგმანი მ. გოგუაძისა . . . . .	38
ნარკვევი, რაკორტაჟი	
ბ. შონია — სერვეტის სანთელი . . . . .	43
წარჩევი	
ვლ. შარაშიძე — ბათუმის კომიტეტი მხარს უჭერდა ლენინს . . . . .	55
ბ. მეფისაშვილი — დიდი ცხოვრების სათავე . . . . .	59
პ. ნაცვლიშვილი — ერთი მხატვრული სახე წიგნსა და ფილმში . . . . .	65
მოგონებები, ჩანაწერები	
ფრ. ხალვაში — მეგობრობის გეოგრაფია . . . . .	72
წიგნების მიმოხილვა	
ბ. კახიძე — სამხრეთ-დასავლეთ საქარ- თველოს ისტორიული წარსულიდან . . . . .	90

09192  
16160

4

1978

ივლისი  
აგვისტო

რედაქტორი აკაკი შონია

სარედაქციო კოლეგია: ხარიტონ ახვლედიანი, მამია ვარშანიძე  
(პ. მგ. მდივანი), ალექსანდრე ჩავლეიშვილი, ფრიდონ ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონი — 3-33-71.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.8.78, საბეჭდი თაბახი 6, საგამომცემლო 5,  
შეკვეთის № 3438, ემ 00728, ქალაქის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>. ტირაჟი 2.040.

\* \* \*

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა  
და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის პოლიგრაფიული  
საწარმოო გაერთიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის, 20



ასევე ერთ დროს, მაგრამ ისტორიის მსახვრალმა ხელმა ეჭვ  
დაწინაურებული, ეს „აღყვავებული“ მხარე მოსწყვიტა დედამისა  
ქართველოს, გაუმრუდა ეროვნული განვითარების გზა. განკლავილნი

მტრების დაუსრულებელმა თარეშმა გააჩანავა და დააქვეითა აჭარის ეკონომიკა და კულტურა. ამ კუთხის მკვიდრთ ბევრჯერ დამუქრებია გადაგვარება, ფიზიკური განადგურება. მაგრამ მაინც ვერ მოდრიკეს მათი ამაყი სული. არა, ქედს არ იხრიდა ქართველი კაცი, ებრძოდა მომხვდურ გადამოთქლებს, სისხლისა და სიცოცხლის ფასად სათუთად ინახავდა დედაენას, ქართულ ზნე-ჩვეულებებს. თუმცა სულში მაინც დაუტოვეს დიდი ტკივილი, რომლის განკურნებასაც შემდგომ ათწლეულები დასჭირდა.

მრავალტანჯული აჭარა ამ ერთი საუკუნის წინ დიდი რუსი ხალხის დახმარებით სამუდამოდ დაუბრუნდა დედა-სამშობლოს. ეს იყო დიდი ეროვნული ზეიმი. ამ მოვლენას აღფრთოვანებით შეხვდნენ ქართველი ხალხის სახელოვანი შვილები. ისინი საზოგადოებრიობას მოუწოდებდნენ ძმური დახმარების ხელი გაეწოდებინათ აჭარის მოსახლეობისათვის, დახმარებოდნენ რითაც შეეძლოთ.

დიდი ტრადიციების კუთხეში, აბუსერისძე ტბელის — გამოჩენილი ქართველი ასტრონომისა და მწიგნობრის მიწაზე ისევ უნდა აღორძინებულიყო კულტურა, განათლება. „პირადად დამივლია აჭარა, — წერდა ვაჟა-ფშაველა, — ქობულეთი, კლარჯეთი, ტაო. — დიდებული მესხეთი. დიდებულია იგი ქვეყანა, იქ გაჟანტული კულტურის ნაშთები სულია ჩვენი ერისა. წარსულში ჩვენი ძმობა იყო მტკიცე და შეურყეველი, როგორც სალი კლდე. ამიერიდან უნდა აღდგეს იგი უფრო მტკიცე, უფრო შეურყეველი“.

ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა უპირველეს მიზნად დაისახეს აჭარაში სწავლა-განათლების შემოტანა. ამისათვის საჭირო იყო ქართული სკოლის გახსნა. მოწინავე აჭარლები მგზნებარე მამულიშვილების შერიფ ხიმშიაშვილის, გულო კაიკაციშვილისა და სხვათა მეშვეობით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სთხოვდნენ დახმარებას. ილია ჭავჭავაძის თავგამოდებული მეცადინეობით ეს საკითხი დადებითად გადაწყდა — 1881 წელს ბათუმში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა.

განათლების პირველი ლამპრის შუქი ძალუმად ეფინებოდა უკუნიტ მოცულ მხარეს.

ტყვეობისაგან თავდახსნილი აჭარა დაადგა აღორძინების გზას დაიწყო ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა, გაფართოვდა ნავსადგური, მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებამ დააჩქარა ბათუმ-

სამტრედიის რკინიგზის გაყვანა, გადაწყდა ბაქო-ბათუმის ნავთობ-სადენის მშენებლობის საკითხი და ა. შ.

კაპიტალიზმის განვითარებას მოჰყვა პროლეტარიატის ჩამოყალიბება, რევოლუციური იდეების გავრცელება. ბათუმის მოძრაობამ მკაფიოდ გამოკვეთილი სოციალ-დემოკრატიული ხასიათი მიიღო მას შემდეგ, როცა 1901 წელს შეიქმნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტი. აი, აქედან იწყება აჭარის სახელოვანი რევოლუციური ტრადიციები.

აჭარის მშრომელთა ცხოვრებაში მეტად მძიმე, შავბნელი ხანა იყო პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომისა და მენშევიკების უდღეური ბატონობის წლები. კიდევ ერთხელ დადგა აჭარის ყოფნა-არყოფნის საკითხი. მუჰაჯირობა ხომ ახალ ტრაგედიად დაატყდა თავს ჩვენს კუთხეს. უცხოელი ოკუპანტების თარეშმა კიდევ უფრო დააქვეითა ისედაც გაპარტახებული ეკონომიკა და კულტურა. ეს იყო არაადამიანური ცხოვრების წლები, მაგრამ აჭარის მშრომელი მოსახლეობა რაღაც საოცარი მოთმინებით ელოდა სანუკვარ დროს.

და ეს ნანატრი დღეც დადგა.

„ავრორას“ ზალპმა კაცობრიობას ახალი ერის დაწყება ამცნო. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლის ბელადი იყო ვ. ი. ლენინი, დაამხო მეფის თვითმპყრობელობა და ქვეყნად სიმართლე, ძმობა, ერთობა, თანასწორობა და მშვიდობა დაამყარა.

ოქტომბრის მზემ აჭარაშიც შემოანათა. 1921 წლის 18 მარტს აჯანყებულმა რაზმებმა და წითელი არმიის ნაწილებმა ბათუმი გაათავისუფლეს მენშევიკებისა და უცხოელი ოკუპანტებისაგან, საბოლოოდ დაუსვეს წერტილი მათ პარპაშს. 1921 წლის 16 ივლისს გამოქვეყნდა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დეკრეტი აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ.

აჭარაში დაიწყო ლენინური იდეების განხორციელება და სულ მალე, ისტორიულად მოკლე დროში, იგი რუსეთის განაპირა ჩამორჩენილი კოლონიური კუთხიდან გადაიქცა მძლავრი მრეწველობისა და მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის, მაღალი სოციალისტური კულტურის რესპუბლიკად.

აჭარის მშრომელებს სოციალისტური ინდუსტრიისა და საკრლმეურნეო წყობილების შექმნასთან ერთად საბჭოთა ზელისუფლების უდიდეს მონაპოვრად მიაჩნიათ კულტურული რევოლუციის განხორციელება, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა ხალხის ყოფნა-ცხოვრება, კულტურული რევოლუცია კანონზომიერება მოვლენა იყო

ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის სინამდვილემი. თუმცა მას ბევრი სირთულე ახლდა და პარტიულ ორგანიზაციას მეტად რთული ამოცანების გადაწყვეტა მოუხდა. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული იყო აჭარის ისტორიული წარსულით.

კულტურული რევოლუცია ნიშნავდა სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას. კაპიტალიზმთან შედარებით უფრო მაღალი შრომისნაყოფიერების მიღწევას, გლეხობის კოოპერირებას, ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების დაძლევას, ეროვნული და ქალთა საკითხის გადაწყვეტას, სოციალისტურ დემოკრატიის განვითარებასა და მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას.

მშრომელთა განათლებისა და კულტურული დონის ამაღლება აჭარაში, სადაც საბჭოთა ხელისუფლებამ წარსულიდან მემკვიდრეობად მიიღო წერა-კითხვის თითქმის სრული უცოდინარობა. პირველ რიგში სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტას გულისხმობდა.

მართლაც სავალალო მდგომარეობა იყო. „ძველი საქართველოს არემარეში არც ერთი კუთხე არ არის ისე ჩამორჩენილი, როგორც აჭარა“ — წერდა ჟურნალი „განათლება“ 1911 წელს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვით აჭარის მშრომელებმა მეტად მოკლე დროში დაადწიეს თავი წერა-კითხვის უცოდინარობას. დღეს აჭარაში პატარა სოფელსაც ვერ ნახავთ, სადაც სკოლა არ იყოს. კიდევ მეტი, თუ რევოლუციამდელ აჭარაში სამადსამი უმაღლესდამთავრებული იყო, ახლა მარტო ხულოს რაიონის ხიხაძირის სასოფლო საბჭოში 100-მდე კაცს აქვს უმაღლესი განათლება, ასეთი სოფლები იშვიათი როდია ჩვენში.

ახლა აჭარაში 414 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა, სადაც 70 ათასზე მეტი მოზარდი სწავლობს. ამას გარდა, მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს ემსახურება ექვსი სკოლა-ინტერნატი, 25 სასკოლო ინტერნატი, 21 სკოლისგარეშე დაწესებულება, ბავშვთა სპორტული სკოლები და სხვა. 1921 წელთან შედარებით სკოლების რიცხვი გაიზარდა 12-ჯერ, მასწავლებელთა რიცხვი — 26-ჯერ. მართლაც დიდი კონტრასტებია.

რევოლუციამდელ აჭარაში არ იყო არც ერთი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებელი. ახლა ავტონომიური რესპუბლიკის ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდას ემსახურება შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბათუმის ფილიალი, საშუალო სპეციალური სასწავლებლები და სხვ. ბევრი ჩვენი ახალგაზრდა ცოდნას ეუფლება მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და

საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში. ასე რომ, აჭარა უმაღლესი განათლების მქონეთა რიცხვით ავტონომიური რესპუბლიკებს შორის პირველ ადგილზეა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში აღორძინდა <sup>ეკონომიკური</sup> მრეწველობა და მრეწველობა.

დღიან მიწაზე მეცნიერული აზრი, ლიტერატურა და ხელოვნება. ექვსი ათწლეულის განმავლობაში აჭარაში შეიქმნა სამეცნიერო დაწესებულებათა ფართო ქსელი. ახლა 11 სამეცნიერო დაწესებულებაში ორასზე მეტი მეცნიერი მუშაობს. ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებების მეცნიერთა, გამოგონებელთა რეკომენდაციები, დასკვნები და შედეგები ფართოდ ინერგება სახალხო მეურნეობაში. ბევრი მეცნიერული მიღწევა და გამოგონება გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს.

ქართული სიტყვა ისევ ძალუმად ხმინობს განახლებულ აჭარაში. და როცა აღორძინებული სიტყვის მადლზე ვლაპარაკობთ, შეუძლებელია არ გაიხსენოთ გულო კაიკაციშვილი, მემედ და ჰაიდარ აბაშიძეები, ხასან მეგრელიძე და სხვები, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს აჭარის მკვიდრთა გათვითცნობიერებას. აჭარა არასდროს დაივიწყებს მისი ჭეშმარიტი მემკვიდრის პარმენ ლორიას სახელს, პირველ ქართველ საბჭოთა მწერალს, რომელმაც მთელი თავისი შემოქმედება ჩვენი კუთხის გამორულ წარსულსა და დღევანდელობას, დიად აღმშენებლობას მიუძღვნა.

აჭარის მწერალთა ორგანიზაცია ქართული ლიტერატურის საკმაოდ ძლიერი რაზმია. ჩვენი მწერლების ნაწარმოებებს კარგად იცნობენ არა მარტო საქართველოში, არამედ ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხებიც.

მწერლებს ტოლს არ უდებენ ფუნჯისა და საჭრეთლის ოსტატები. ისინი ქმნიან ცხოვრებისეულ, ჟანრობრივად და თემატურად მრავალფეროვან ფართო პლანის ნაწარმოებებს, რომლებიც ჭეშმარიტად ესთეტიკურ სიამოვნებას განაცდევინებს მნახველს.

მშრომელთა კულტურულ და იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში დიდი წვლილი შეაქვს ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრს, რომელიც მომავალ წელს თავისი არსებობის 100 წლისთავს იზეიმებს.

სოციალისტური ცხოვრების წესის უდიდესი მონაპოვარია ისიც, რომ დღეს აჭარელი ქალი ცხოვრების ჭეშმარიტი შემოქმედია. იგი მამაკაცების მხარდამხარა აშენებს ბედნიერ დღევანდელობას და კიდევ უფრო უკეთეს მერმისს. ამის მკაფიო დადასტურებაა ქალების აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა.

ბევრი სახელოვანი ქალი აღიზარდა ავტონომიური რესპუბლი-

კაში. ისინი ცხოვრების ყველა უბანზე თბედადებით  
წიან. მათ შორის არიან პოეტები და მეცნიერები, ექიმები და ინჟინ-  
რები, აგრონომები და მეჩაიეები, მსახიობები და პედაგოგები.  
აჭარიდან საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია ექვსი,  
საქართველოსა და აჭარის უმაღლესი საბჭოსი — 48 ქალი. ათასზე  
მეტი ქალი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. აჭარაში  
350 გმირი დედაა.

ახალი ცხოვრებით მადლმოსილმა ჩვენმა ქალებმა ქსენია ბახ-  
ტაძემ და ასმათ უიუკავაძემ. ნადია ჯინჭარაძემ და ქეთევან გოგიტიძემ  
სასახელო საქმეებით შორს გაითქვეს სახელი და მათით კანონიე-  
რად ამაყობს დღეს აჭარა.

აი, ასე განვითარდა ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკაში განათ-  
ლება და კულტურა.

აჭარის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელ-  
მძღვანელობით ტიტანური შემოქმედებითი შრომა გასწიეს ლენინ-  
ური გეგმის განხორციელებისათვის. ამაში ნათლად დავრწმუნდე-  
ბით, თუ თვალს გადავავლებთ პირველი ხუთწლეულების მატრიანეს.  
ეს წლები აჭარაში მართლაც დიად გარდაქმნათა პერიოდი იყო. გა-  
ვიხსენოთ თუნდაც აჭარის მრეწველობის სიამაყე, პირველი ხუთ-  
წლედის პირმო — ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა,  
აწვესი, რომელიც ზაპესთან ერთად გვერდში ამოუდგა გოელროს  
პირველ მერცხალს. ვოლხოვის ჰიდროელექტროსადგურს. ეს იყო  
საბჭოთა აჭარის ახალი ცხოვრების, ახალი სინამდვილის მძლავრი  
ნაბიჯები. ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიული წარმოების ასეთა  
უმავალითო ზრდის კვალობაზე შეიქმნა მრეწველობის არულიად  
ახალი დარგები, ძირუელად შეიცვალა მისი დარგობრივი სტრუქ-  
ტურა.

თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ ჩვენი პარტიის გადაწყვე-  
ტილებებით შთავონებული აჭარის მრეწველობის მუშაკები. ბოლო  
წლებში ისინი სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ სახელ-  
მწიფო გეგმებსა და სოციალისტურ ვალდებულებებს. ხუთწლედის  
პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 26,7 მილიონი  
მანეთის პროდუქტია. ამასთან იბრძვიან როგორც რაოდენობრივი,  
ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის. გასულ სა-  
იუბილეო წელს სახელმწიფო ხარისხისნიშნისანი პროდუქციის ხე-  
დრიითმა წილმა 18,9 პროცენტი შეადგინა. საგულისხმოა ისიც, რომ  
ბათუმურ ნავთობპროდუქტებზე, წყალქვეშაფრთიან კატარღებზე,  
ელექტროკარებზე, კვების მრეწველობისა და სხვა მანქანადანადა-

რებზე, სამკურნალოწამლო პრეპარატებზე. მზა ჩაიზე სულ უფრო იზრდება მოთხოვნილება მსოფლიო ბაზარზე.

აჭარის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად წარმატებით ვითარდება ტრანსპორტი, იზრდება მისი მასშტაბები. მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს საზღვაო სანაოსნოს საქმიანობა. მისი აღმით დღეს მრავალი გემი სერავს მსოფლიოს ზღვებსა და ოკეანეებს. საქართველოს საზღვაო სანაოსნო ერთ-ერთი მოწინავეა საბჭოთა კავშირში. დღეს იგი გემების საერთო ტონაჟითა და ტვირთზიდვის მოცულობით ჭარბობს საბჭოთა კავშირის საზღვაო ფლოტის რამდენიმე შედარებით ძველ სანაოსნოს. ჩვენი სანაოსნო ახლა შედგება სატანკერო მშრალი ტვირთისა და ჩასასხმელი ფლოტისაგან. ტანკერებისა და მადანმზიდების ეკიპაჟები თავდადებული შრომით ამრავლებენ სამშობლოს სიმდიდრეს. წლევანდელ საკავშირო შეჯიბრებაში პირველი და მეორე კვარტალების შედეგების მიხედვით ჩვენი სანაოსნო პირველ ადგილზე გამოვიდა.

შრომითი გმირობის მაგალითს გვიჩვენებენ ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები. ისინი დარსა თუ ავდარში თავდადებით შრომობენ პლანტაციებში. შედეგიც სახეზეა. მუდამ გადაჭარბებით ასრულებენ სახელმწიფო დავალებებსა და სოციალისტურ ვალდებულებებს. მეათე, ხარისხისა და ეფექტიანობის, ხუთწლედის მეორე წელს ააშუალო საექტარო მოსავალი 7.520 კილოგრამამდე აიყვანეს. ასეთი ეკონომიკური მაჩვენებლისათვის ჯერ მსოფლიოში მეჩაიეობას არც ერთ ქვეყანას არ მიუღწევია.

ჩვენს მეჩაიეებს წელსაც მეტად არახელსაყრელ კლიმატურ პირობებში უხდებათ მუშაობა. ისინი ყოველგვარ ამინდში კრეფენ ჩაის, რომ სიტყვა საქმედ აქციონ და წლელს სამშობლოს მისცენ 57 ათას ტონაზე მეტი ნედლეული.

აჭარაში ბარაქიანი „ოქროს რთველიც“ მალე შემობრძანდება. მეციტრუსეები ამთავითვე ემზადებიან. წელს ხომ მათ ქვეყანას 90 ათას ტონამდე ციტრუსოვანთა ნაყოფი უნდა დაუშვადონ.

წარმატება ერთბაშად როდი მოდის. მას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის მნიშვნელოვანია ეკონომიკისადმი პარტაული ხელმძღვანელობის სრულყოფა. სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა ბევრად არის დამოკიდებული იდეოლოგიურ უზრუნველყოფაზე. ჩვენი პროპაგანდისტები, ლექტორები, აგიტატორები, პოლიტინფორმატორები ქმედითად იყენებენ იდეოლოგიური არსენალის სხვადასხვა ფორმასა და საშუალებას — ლექცია-საუბრებს, თვალსაჩინო და ზეპირ აგიტაციას და ა. შ. მათ მშრო-

მელთა ფართო მასებამდე მიაქვთ პარტიის მართალი სიტყვა, განუ-  
მარტავენ სკკპ XXV ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის  
მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელების  
ციელების დიდ მნიშვნელობას ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

დიდა ძალა ხალხთა მეგობრობისა. ინტერნაციონალიზმისა.  
იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენი წინსვლის უტყუარი კომპასია.  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ლენინურ  
მეგობრობის იდეის ცხოვრებაში განხორციელების ერთ-ერთი  
შესანიშნავი მაგალითია ჩვენს ქვეყანაში. აქ ერთიან ძმურ ოჯახად  
ცხოვრობენ და შრომობენ ქართველები, რუსები, სომხები, უკრაინელები,  
ბერძნები, ბულგარელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

თავდადებული შრომის. პარტიის ლენინური იდეების განხორციელებისათვის  
შეუპოვარი ბრძოლის სიმბოლოა ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის  
დროშაზე მოკიაფე სამშობლოს უმაღლესი ჯილდოები — ლენინის, ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის  
ორდენები. ამაზე მეტყველებს აგრეთვე ბოლო წლებში საკავშირო  
სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების აღსანიშნავად სკკპ ცენტრალური  
კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური  
კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის ზედიზედ ხუთჯერ მიღება.

მშრომელთა ფართო მასების ახალი პოლიტიკური და შრომითი აზვითება  
გამოიწვია განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციის, ქვეყნის ძირითადი  
კანონის, საქართველოს სს და აჭარის ასს რესპუბლიკების კონსტიტუციათა  
პროექტების საყოველთაო სახალხო განხილვამ და შემდგომ მიღებამ. ახალი კონსტიტუციების  
ერთსულოვნად მიღებამ ერთხელ კიდევ ცხადყო პარტიისა და ხალხის  
მონოლითური ერთიანობა. ინტერნაციონალიზმის ის დიდი ძალა.  
რომელიც ასე აღუღაბებს ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა  
ერისა და ეროვნების ხალხებს.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში გვიხდება ცხოვრება და მუშაობა.  
ჩვენი დრო, ჩვენი ცხოვრება, ყოველი დღე აღსავსეა უაღრესად  
საინტერესო მოვლენებით და უფლება არა გვაქვს მათ მიღმა აღმოვჩნდეთ.  
პირიქით, ცხოვრების შუაგულში უნდა ვტრიალებდეთ, სიახლეებით  
ვცხოვრობდეთ, რადგან მიღწეული ზღვარი არ არის. ამიტომაც  
გამუდმებით უნდა ვეძიებდეთ ახალ და ახალ წარმატებათა მიღწევის „საიდუმლოების“  
გასაღებს. ამიტომაც უნდა ვიცხოვროთ და ვიშრომოთ დღეივით — დღეს ვი-

მუშაოთ გუმინდელზე უკეთ, ხვალ დღევანდელზე უკეთ. ასეთი  
ცხოვრების მოთხოვნა, დროის ლოგიკა.

ამრავლოთ წარმატებები ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ და  
დაგვისახ მიზნად სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის სესიონის  
მისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII  
პლენუმის დადგენილებებმა. ახლა ამოცანა ის არის, რომ ერთი წუ-  
თითაც არ შევანელოთ ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღ-  
მდეგ, ჩვენი საქმიანობის ყველა რგოლში განვამტკიცოთ დისციპლი-  
ნა, ავამაღლოთ ორგანიზებულობა, უზრუნველვყოთ სახელმწიფო  
გეგმების გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად შესრულება, რაც  
თავის მხრივ ხალხის კეთილდღეობის განუხრელი ზრდის საწინა-  
არია.

ასე აღორძინდა და აყვავდა აჭარა ლენინური ეროვნული პო-  
ლიტიკის მეოხებით, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრო-  
ბის შეუხელებელი ზრუნვით. და ახლა ამ დიდ სოციალურ-ეკონო-  
მიკურ და კულტურულ გარდაქმნათა ფონზე კიდევ უფრო რელიე-  
ფურად იკვეთება მომავლის კონტურები, მომავლისა, რომელსაც  
თვით აჭარის მშრომელები სკედეენ. ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები  
და მეციტრუსეები, მენავთობეები და გემთმშენებლები, მეზღვა-  
ურები და რკინიგზელები, მწერლები, კულტურისა და ხელოვ-  
ნების მუშაკები თავიანთი ღირსების საქმედ თვლიან მშო-  
ბლიური კომუნისტური პარტიის ზრუნვას უპასუხონ ახალი დიდა  
საქმეებით. ეს უკვე ტრადიციად დამკვიდრდა და გამოსატულებას  
პოულობს პარტიისა და ხალხის ურღვევ, მონოლითურ ერთიანო-  
ბაში.

მზიური აჭარა ამ ტრადიციის ერთგული იყო, არის და იქნება  
მუდამ!





### ს ა ზ ე ი მ ო

დილის დილა და დარია,  
 სიმღერა და ცეკვის ტაში,  
 ჩიტებიც რამ გადარია —  
 მზე ამოჰყავთ ყვავილნარში.  
 გულის გულში ეს მზე მოვა,  
 როგორ უნდა დაცხრეს გული.  
 საქართველოს ზეიმი  
 აჭარაში დაწყებული.  
 აჰა, წელი!  
 სანატრელი,  
 მოზობელ მხარის მასპინძლება,  
 ძველისძველი,  
 ძველთაძველი

დედა-მვილი, ძმათა ძმები.  
 მოელვარე მთელი მთვარე  
 საქართველოს სუფთა ცაზე,  
 კვლავ ქართული სინარნარე,  
 სინაზე და სილამაზე.  
 ჰა, ისუნთქე მთელი მკერდით,  
 ბედნიერი ხარ და ლალი,  
 შენი არის მთაც და ფერდიც,  
 ბაღნარი თუ იალალი.  
 ო, რა მზე და რა დარია!  
 საზეიმო ალამს გაეშლი.  
 სიხარულის დადარია  
 ჩემ საყვარელ აჭარაში!

### დ ი დ ი დ ა ლ მ ა რ თ ი

ღონე მერჩოდა — კლდეს გავანგრევედი,  
 მადლეგრძელბდნენ — ტკბილად დაბერდი.  
 ჰოდა, ამ ლოცვამ არ გამაწბილა;  
 მართლა დავბერდი,  
 და ისიც ტკბილად.  
 ოთხმოცი წელი და კიდევ მეტი...  
 და საყვედური როგორღა მეთქმის!  
 მაგრამ სიბერე მაინც მალონებს,  
 რადგან სურვილი უსწრებს ძალ-ღონეს.

იყო — არ არის ღონე და ძალა,  
სურვილებს ფუტე გამოეცალა,  
თითქოს ეცვალა გემო ყველაფერს,  
ფითქოს ყველაფერს ფერი ეცვალა.  
ვეძებ და ვერსად ვპოულობ წამალს,  
და მის ძებნაში კაცი დავღალდი,  
ასე დაიწყო ცხოვრების დრამა,  
ასე დაიწყო დიდი დაღმართი.

## ძ ე გ ლ ი

გთხოვთ, თუ ასეთი რამ წარმოიშვას,  
და თუ საფლავეზე მიდებდეთ ნიშანს,  
გახსოვდეთ ჩემი აზრი მრისხანე —  
დადგან უბრალო, თხემელის ხის რამე,  
რომ ჩემს ლექსებზე ნაკლები გასძლოს  
და ვინც ისურვებს, ყველამ მოაძროს,  
თორემ იტყვიან — ყალბი მოდაო,  
აქ უსაფუძვლოდ უთქვამთ ოდაო.  
ძეგლი თუ დალბა, ახალით შეცვლი,  
მაგრამ სად არის ახალი ლექსი!  
გიჯობს საფლავი შემოსო ეკლით,  
ვიდრე დაადგა უღირსი ძეგლი!

## მ ა მ ი ა ბ უ რ ი ე ლ ი

არ მამთავრესო,  
შენ ერთხელ გითქვამს,  
მაგრამ ეს დარდი არ გაგყვა დიდხანს.  
იცოდი —  
დროთა სვლაში ინთქმება  
მეფე, მთავარი...  
ყველა დავითი ხომ არ იქნება,  
ანდა თამარი!

რა სიხარულით მოველი აპრილს,  
როცა მზე კალთით ყვავილებს დაყრის,  
და უხვად დასდებს ახალ ფერს  
ბათუმს, გონიოს, კახაბერს.  
როცა ბულბული ჩაარაკრავებს  
გადატანილი ზამთრის არაკებს  
და შორეთიდან დაბრუნებული  
მერცხალი ჭერქვეშ დაიბანაკებს!  
არა, აპრილი ისეთი თვეა,  
როცა სიშვეც კი სითეთრეა,  
გაღვიძებული ბუნების თვეა,  
სიყვარულის და ბუდობის თვეა,  
ღიმილისა და ოცნების თვეა,  
წლის სილამაზე და სიკეთეა...  
აპრილი? ნამდვილ სიცოცხლის თვეა!

### ბათუმი და ქუთაისი

ამტრ-იმერ-აჭარელი  
ვენ გაყო და რამ გათიშა —  
ღვიძლი ძმები საყვარელი  
მესხეთისა და ქართლისა.

თქვენი ემხი როგორ ვთვალთ!  
მზეც ერთი გაქვთ უდაისო,  
ჩვენი ერის ორთავ თვალთ —  
ბათუმო და ქუთაისო!

### წ უ თ ი ს ო ფ ე ლ ი

ჰოდა, ერთ დღეს, თუ ერთ ღამეს,  
გაჩვირდება ისარი,  
არც არავის ჰკითხავს რამეს —  
ვინ?  
რამდენი წლისა არი?

მერე ისევ მეზობელი  
ხელს ჩაუქნევს მეზობელს:  
— ეჰ, ასეა ეს სოფელი,  
ყველას უნდა გვესმოდეს!



როსაჲ ჩაქანიძე

# ერთი გოჯა მიწა

პროლოგის მაგიერ

ორასიო პირველად რიო-ნეგროს ნაპირას ენახე. გრძელტარიანი ზა-  
რით მიწას ჩიჩქნიდა წელში მოხრილი ორასიო კამაჩო. ძველი გაცრეცი-  
ლი ტანსაცმელი იქვე ეყარა, ყვითელი ტრუსის ამარა ჩასულიყო სანგა-  
რით გაჭრილ მიწაში გრინგო და ზანტად ჩიჩქნიდა ბლანტ მიწას.

მე: ორასიო, ბალავერს კრი აღბათ, სახლი გინდა აიშენო?

ორასიო: დიახ, სინიორ, სახლს ვიშენებ, სამუდამო ბინას. მალე გოჯა  
მიწა ცეცხლის ფასი გახდება და დაუმარხავი დავრჩები.

\* \* \*

ორასიო კამაჩოს გაეღვიძა და თავი ბალიშიდან სწრაფად წამოწია.  
ბალიშს ვამბობ, თორემ ისე გრუზა თმებით დაფარულ თავქვეშ მხოლოდ  
ღვეწფლივით დახვეული ჭინსის შარვალი ჰქონდა ამოდებული. ეს იყო და  
ეს, მეტი არაფერი...

ქოხში ბნელოდა და კობის ხის კარგად გამომხმარი ფიცრის სუნთ  
იდგა. ერთადერთი უმინო ფანჯრიდან ჩანდა ვარსკვლავებით მოჭედილი  
ჩახჩახა ტროპიკული ცა.

ორასიომ ჯუტის ტომარაზე (რომელიც ლეიბათ ეგო) ფეხები მოი-  
კრთხო და ფანჯარაში თვალების ფშენვით გაიხედა. იმის შეგრძნებამ, რომ  
ქარი ისე ძალუმად აღარ უბერავდა და ოკეანის ლელვაც დამცხრალიყო,  
სიამე მოგვარა.

სამი დღის უკან მოვარდა მშრალი პამპერო. ჯადოქარით დაისისინა  
და ტალღები ახლახან ჩათვლემილ ძაღლებივით ფეხზე წამოყარა, ააღრი-

ალა. ისეთი ჯოჯოხეთი დატრიალდა, ორასიოს თავი დასაღუპავად გაწვი-  
რულ გემზე ეგონა. აქ ისიც უნდა ვთქვათ, ორასიოს ქოხი ოკეანეში წაყ-  
რილი გამომხმარი წითელი ხის ხიმინჯებზე ედგა. ნაპირთან მხოლოდ წაყ-  
ურანდავი ფიცრებისაგან შეკოწიწებული ვიწრო ხიდი აკავშირებდა. აქ  
ხიდის სიგრძე სულ ცოტა ორმოციოდე ფუტი მაინც იქნებოდა. ფიცრები  
ზოგან უკვე დამპალიყო და თქვენი ჭირიც კარგა ხნის უკან წაეღო, მაგ-  
რამ ეს ხელს სრულებითაც არ უშლიდა მის პატრონს, ცალ ფეხს ნაპირ-  
ზე რომ დაკრავდა, მეორეთი უკვე კედელ-ჭრილთან იდგა.

ქოხის წინ, ოკეანეს მხარეს მარჯნის რიფების მთელი ტყე ჩანდა. მე-  
წამულისფერი რიფები კარგა ხანია ოკეანეს ამორებოდნენ და ახლა წყა-  
ლსა და ცას შორის ტალღისმჭრელებივით იდგნენ.

სწორედ ამ რიფების დამსახურება გახლდათ, რომ ტალღები ქოხამდე  
გჭრ ალწევდნენ და ორასიოც ჯუტის ძველ ტომარაზე უდარდელად ხვრი-  
ნავდა.

ის ვიწრო ხიდიცა და ქოხიც თავათ ორასიომ ააშენა. კაციშვილი არ  
მიშველებია. ხულიო მხოლოდ ორჯერ მოვიდა. საათის ქანქარასავით აწო-  
ნილ-დაწონილად გაანძრია ხელი, მერე ასლუკუნდა: ყელი ამტკივდაო და  
მხწამ პირი უყო. ეს იყო და ეს, სანამ კამაჩო წელში წყდებოდა და ქოხს  
აგებდა, თოფის სასროლ მანძილზე კაციშვილს არ გაუჭაჭანებია.

ორასიო ზანტად ადგა, ფანჯარასთან მივიდა. სახეში ცივი ქარი მოხვ-  
და, იამა. თვალი შეავლო მეწამულისფერი რიფების ტყეს. ლამაზი სანახა-  
ობა იყო. ლურჯ კამკამა წყალზე რიფები უშველებელი ტაძრის გუმბათე-  
ბივით აზიდულოყვნენ. ზვიადად და კოხტად ისხდნენ წყლის ცისფერ ფონ-  
ზე, მხოლოდ ჭვარი აკლდათ, რკინის დიდი ლამაზი ჭვარი... უზადოდ გა-  
მოედერწა ეს სანახაობა ნაირფერი სურათების უბადლო ოსტატს — ბუ-  
ნებას.

ზვირთთაცემა თითქმის რიფებთან თავდებოდა. აქეთ ძალაგამოცლი-  
ლი და ოთახის ძალივით დაჩიავებული ტალღები გადმოდიოდნენ. ვად-  
მოდიოდნენ და მწყემსის ნაგაზებივით კი აღარ იღრინებოდნენ, ფინჯები-  
ვით წკავწკავედნენ.

და გაახსენდა ორასიოს რა იყო გუშინ, როცა პამპერო უბერავდა და  
მარჯნის ეს ლამაზი გუმბათებიც ზანზარებდნენ. ხანდახან ტალღის წამსწე-  
რეკები ქოხამდეც აღწევდნენ და თეთრი შეხეფები უმინო ფანჯარაში ვერ-  
ცხლის ფულებივით ცვიოდა.

ლოჯინიდან აყოლილი მოთენთილობა ნელ-ნელა ტოვებდა ორასიოს.  
შუხლში, მკლავებში ძალა ემატებოდა და მის შავგვრემან, დაძარღვულ  
სახეზეც ნელ-ნელა ქრებოდა ლამისეული სიზანტე და გულგრილობა.

ახლა ძლიერ მოუნდა სასაფლაოზე გასეირნება. ეს წესი მას შემდეგ  
დასჩემდა, რაც სასაფლაო თავისი იდუმალებითა და ნაღველით უჩუმრად

შემოიბარა მის სამფლობელოში, ძველი დაქანგული გემივით მოვიდა და  
ლუზა ორასიოს ეზოში ჩაუშვა.

სასაფლაო კი იქვე, ქოხიდან ნაპირზე გადასასვლელი დამპალს  
წინ იწყებოდა. სწორედ ხიდის თავთან სანახევროდ მიწაში, სანახევროდ  
წყალში სამუდამო ძილით ეძინა მეპურე ანტონიო კიროვას.

მისმა ჯიბიდან გავარდნილმა ვაჟმა კანიომ მიწის ამ ნაკუწისათვის  
ორი ათასი პესეტი ჩაუყაჭა ორასიოს და შემდეგ ცხრ მთას იქით გადაი-  
კარგა.

\* \* \*

ის წლების უკან გამოცხადდა კუნძულ მეზონზე. შუადღის ხვატი  
იდგა და ორასიო ქუჩაში მოთენთილი მილასლასებდა. ხუან გარსიას ბარს  
რომ ჩაუარა, ბარის მეპატრონემ ბაჯალო ოქროს ბეჭედი საჩვენებელ  
თითზე რომ ჰქონდა წამოცმული, მინაზე მოაკაკუნა.

ორასიო შეჩერდა. მარჯვნივ რომ გაიხედა, სქელი მინის უკან  
ასევე სქელი ძია დანახა. ისეთი მსუქანი სახე ჰქონდა, ნატრისფერი, ეშმა-  
კური თვალები ძლივს მოუჩანდა. კოპის ხის მაგიდასთან იჯდა და ჭრელი  
ცხვირსაბოცით ოფლს იწმენდა.

იმ ძიამ კეთილად გაუღიმა და ბეჭდიანი თითი დაუქნია.

ორასიოს აღარ დაუყოვნებია, ბარში შელაცუნდა.

— შენ ალბათ, საქმეს ეძებ, ამობილო. — უთხრა ხუან გარსიამ მის  
ცხვირწინ რომ დაერტო.

ორასიომ თავი დაუქნია.

— ჭურჭლის გარეცხვა თუ შეგიძლია?

— შემიძლია!

იმ მსხვილმა კაცმა ახლა ბაჯალოს ბეჭედით მაგიდაზე დააკაკუნა.  
ხანგის ზონზორა ქალმა, დახლთან რომ ძლივს დაიზმორებოდა, გამოხედა.

— რას ინებებთ, სინიორ?

— ორი კათხა ლუდი მოგვართვი, მატილდა. — მერე ხუანმა ორასი-  
ოს ახედა და მარჯვენა თვალი ჩაუკრა, — დაბრძანდით, საქმელს ხომ არ  
ინებებთ?

— რასაკვირველია, სინიორ, ცოტას გეახლებით. ახლახან დავადგო-  
ფეხი ამ კუნძულზე და ჯერ ყბები არც კი ამიმუშავებია.

ხუან გარსიამ ზიზლით შეხედა მის წინ დაყუდებულ საშუალო სიმაღ-  
ლის გამხდარ კაცს. მერე ისევ დახლისაკენ გაიხედა.

— მატილდა, ბუტერბროდებიც წამოიღე.

— კარგად მოიფიქრეთ, სინიორ.

ორასიო კამაჩო სელის სკამზე ჩამოჯდა და ორივე ხელი მაკადაზე  
ფაშალა.

იმ გარსიამ კი ცხვირი ხმაურით მოიხოცა და შარვლის განიერ ნაწილში  
დან მეორე ცხვირსახოცი ამოიღო.

— საიდან მოდიხართ, ყმაწვილო?

იკითხა გარსიამ, როცა ის პირველი ცხვირსახოცი, რომლითაც ცხვი-  
რი მოიხოცა, სანაგვეში მოისროლა.

— მექსიკიდან, მექსიკიდან გეახელით, სინიორ.

— მაშინვე მივხვდი, ნამდვილი გრინგო ხართ.

ორასიო შეიშმუშნა, მაგრამ სწორედ ამ დროს ბიცოლა მატილდამ  
შუტერბროდები დაუყარა და ხმა აღარ ამოუღია.

სალამოთი კი, როცა ბარის სამრეცხაოში ვილაც ინდოელი ქალის გვე-  
რდით ჩაცუტქდა, იმ ქალმა უთხრა:

— ორასიო, ღამის გასათევი ადგილი თუ შეარჩიე?

— არა, მაგაზე ჯერ არც კი მიფიქრია.

— მაშინ ჩემთან წამოდი. პატარა ქოხი მაქვს, მაგრამ ორი ადამიანი-  
სათვის ფუფუნებაც კი იქნება.

და კამაჩო წაჰყვა იმ ინდიელ ქალს.

ორი კვირის შემდეგ, უქმე დღეს აივანზე ცხელ ყავას რომ ხვრეპ-  
დნენ, იმ ქალმა ასე უთხრა:

— ორასიო, შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, ძალაც გერჩის და ღონეც.  
შენს ადგილზე რომ ვიყო, შევაფურობებდი ხუან გარსიას ბინძურ ბარს,  
ჩრდილოეთის მხარეს გადავიდოდი. იქ ერთი დაუსახლებელი ველი ვიცი,  
ჯერ კაციშვილი არ ვაჰკარებია. მიწა კი მსუყე და მდიდარია. ეს ახლა მო-  
ვიდნენ აქ თეთრები, თორემ ექვსი თვის წინ მეზონზე მათი ჭაჭანებაც  
კი არ იყო. შვიდად შვიდი ოჯახი ეცხოვრობდით. ხუან გარსია მარიფა-  
თიანი კაცი აღმოჩნდა, კობის წარმოება დაიწყო და რადგანაც თაფლი გა-  
ჩნდა, ბუზიც ყოველი მხრიდან მოფრინდა.

წადი, ჩრდილოეთში, იცოდე, ბედს ეწევი.

\* \* \*

მთელი დღე მიდიოდა კამაჩო. სულ კლდიანი ადგილები იყო. მზისა-  
ვან გავარვარებული გრანიტი ფეხისგულეებს წვავდა. ტინის კლდის სქელი  
ზეწარი. რომ გათავდა, ორასიომ აღთქმული ველი დაინახა და სახე გაეხ-  
სნა.

საფეხურებივით ჩარიგებული ტინის კლდის ტერასებიდან ნელა ეშ-  
ვებოდა ნაირფერი მინდვრების ყვავილებით მოქარგულ ველზე. ასე ეგო-  
ნა, ჯოჯოხეთიდან პირდაპირ სამოთხეში შედიოდა. დაიხარა და ყვავილებს

ისე გადაუსვა ხელი, გეგონებოდათ კალთაში კატის კნუტი უხის და მას ეფერებაო. კატები კი ძალიან უყვარდა ორასიოს. იქ, მექსიკაში რომ ცხოვრობდა, ფარღალა ქოხში ათიოდე ვეფხვივით კატა ჰყავდა მუხრანელის მუხრანელი.

ჰოდა, ეფერებოდა ორასიო მინდვრის ყვავილებსა და მწვანე ბალახს. მერე ოკეანისაკენ რომ გაიხედა, სწორედ იქ, სადაც ეს ველი თავდებოდა და წყლის სივრცე იწყებოდა, ორადორი ქოქოსის პალმა შენიშნა. ლამაზი, კოხტა პალმები დიდებულად იდგნენ მაგარ მიწაზე და შეთვალული კაკლები ცურვივით ეკიდათ.

ორასიომ გადასწყვიტა ქოხი სწორედ ამ პალმებთან დაედგა. მან დიდებული ტიპის\* გამართვაც იცოდა. ეს მამინ ისწავლა პაკაგუარეს ტომის ზალხთან ერთად რომ დაეხეტებოდა პატაგონიის მსუყე პამპასებში. ორს წელი გაატარა ჯუნგლებსა და პამპასებში, ბევრი იხეტილა დედამიწის ზურგზე და აი, ბოლოს მაინც იპოვა წყნარი ყურე, სადაც შეეძლო დაღლილი იახტის ღუზა ჩაეშვა.

ცოტაც კიდევ გაიარა და ქოქოსის პალმებთან მივიდა. ვინჩესტერი მოიხსნა და ხეზე მიაყუდა. მერე „ვალდერის“ ბუდეც მოიხსნა და მინდორზე ფრთხილად დადო.

წყუროდა ორასიოს. აგერ რამდენი ხანია წყურვილი კლავდა და წყარო კი არსად შეხვედრია.

ჯიბიდან დიდი გასაშლელი დანა ამოიღო, მერე ფეხსაცმელის წვინტებზე შემალდა და ერთი ქოქოსი ჩამოავდო. თუმცა მთლად დამწიფებული არ გახლდათ, მაგრამ წყურვილს მაინც მოუკლავდა. უშველებელი ჯიბის დანას განიერი პირი გაუშალა და ქოქოსს თავი წააცალა. ხარბად დაეწაფა წვესს.

წყურვილი რომ მოიკლა, კაკალი იქვე მიაგდო. მერე მიდამო დახვერა. ორასიოდე ფუტის დაშორებით ხევი შენიშნა. ხევი შუაზე ჰრიდა მინდორს. ზედ ტინის კლდეებთან იწყებოდა და ოკეანესთან ეშვებოდა.

აღლოთი მიხვდა, რომ წყაროც სწორედ ამ ხეობაში უნდა ექებნა. არც შემცდარა, მიადგა თუ არა იმ განიერ ნაპარალს, მაშინვე წყლის ჩხრიალიც შემოესმა. ანკარა დეღე ხმაურით გარბოდა ოკეანესაკენ.

ორასიოს სახე გაეხსნა. მან იგრძნო, რომ გულმა ფეთქვას უმატა. ის არასოდეს ყოფილა ასე ახლოს ბედნიერებასთან. მთელი ცხოვრება ეძებდა მიწასა და წყალს. ახლა ორივე ასე გულუხვად ჰქონდა.

ზუსტად სამი თვის თავზე ხუან გარსიამ გაოფლიანებული შავი ულაჟი მოაჰგენა აბიბინებულ ველზე. ორასიოს პალმების გვერდით ქოხი უკვე

\* ტიპი — ინდური სახლი.

გამართული ჰქონდა. ახლა მინდორზე იწვა და თვლემდა. ცხენის ცხენზე რომ შემოესმა, გაოფლიანებული თავი ასწია.

ხუანი ცხენზე უხეში მორივით იდო. ყვითელი პონჩო ტათი გაუჩნო ჩამოჰგავდა. ცხენიდან ძლივს ჩამოღოდა, მასპინძლისაკენ წამოვიდა. სანამ ორასიომდე მიაღწევდა, ერთი ოთხჯერ მაინც ამოიოხრა. ამჯერად ეტყობოდა, რომ ასთმას გაეძაღლებინა.

— ორასიო, — თქვა სტუმარმა ჩიფჩივით, — ჩემი ძმა გარდაიცვალა, შენ მას იცნობდი. ამ ოხერ კუნძულზე ისეთი ადგილი ვერ აღმოვაჩინეთ, რომ ბარმა მიწაზე პირი მოიკიდოს. სულ სიბი ქვაა. ნეტავ ის ოხრები დასაბამიდან ამ მიწაზე რომ ეყარნენ, სად მარხავდნენ თავიანთ ჯილავს? ორასიო, აქ უნდა დავსაფლავოთ ჩემი ძმა.

ხუან გარსიამ ერთი ნაბიჯი კიდევ გადადგა კამაჩოსაკენ და აბიბინებულ მიწას დახედა.

ორასიომ თვალეზი ისე მოჭუტა, თითქოს და მზის სხივების დიდი ჰავლი სახეზე დაცემოდეს. მერე სახე წიწაკანაჭამივით დაეღრია. შეპრუნდა და ზანტად, ზმორებით გაიარა, თავისი ქოხისაკენ წავიდა. სამ წუთში იქედან ისევ ისეთივე სახით გამოვიდა. ხელში ვინჩესტერი ეკავა, წელზე კიდევ რევოლვერის ბუდე მოუჩანდა. გარსიასთან სულ ახლოს მივიდა და სასხლეტზე შეყენებული თოფი მის ფეხებთან ფრთხილად დაასვენა. მერე მარჯვენა ხელით რევოლვერის ბუდე გახსნა და მაგარ მუჭში ვოლტერის ტარი მოიქცია.

ხუან გარსიამ შუბლზე ხელი მოისვა, რაღაც ჩაიჩიფჩიფა, მაგრამ ამ ჩალაპარაკებისა ორასიომ ვერაფერი გაიგო. მერე ხუანმა ხელები ჯიბეში ჩაიწყო, ისევ სწრაფად ამოაცურა და ჰაერში გაშალა. ბოლოს კი მარჯვენით ჭრელი ქისა ამოიღო და მყრალი თამბაქოთი მთლად გამურული ჩიბუხი მაგრად დატენა.

მთელი ამ დროის განმავლობაში სახემოქმედი მექსიკელი ბოძიგით უძრავად იდგა და ელოდა...

ხუან გარსიამ კვამლი მაგრად რომ ჩაისუნთქა და მერე სანის ბუტყით პირიდან და ცხვირიდან გამორეკა, მასპინძელი შეინძრა, ყრუდ ჩაახველა.

— გრინგო, რა ღირს მიწის ეს ნაგლეჯი?

მექსიკელი ამ კითხვას არ ელოდა და ერთბაშად არ უპასუხნია. მარჯვენა ფეხით თოფი გარსიასკენ გააჩოჩა, ვოლტერის ტარს ხელი უშვა და მხოლოდ მერე ამოღერდა, ორი ათასი პესეტით.

ერთბაშად ენაზე იკბინა, აჯობებდა ოთხი ათასი ეთქვა.

გარსიამ ისევ მიქაჩა ჩიბუხი. ძალიან მაგარი ნაფაზი დაარტყა. მერე ნახევრადჩაფერფლილი თამბაქო ხელის გულზე გადმოყარა, თითებოთ მო-

სრისა, ბოლოს სული შეუბერა და მიწაზე მოაბნია. დაგუბული ჩიფჩიფით რაღაც ჩაიდუღუნა და შებრუნდა. ძლივს აღოღდა იმ ბეხრეკ ცხენზე და ტინის კლდეებში გაქრა.

მეორე დღეს ორასიოს ქოხთან შინდისფერი შავრა ვილაც კარგვსაჲნი ღმა კაცმა მოათოხარკია. ფილტვების უცნაური ხიხინით ცხენიდან ნოჰოსავით ჩამოღოლდა. ძალიან დიდი თავი ება, ბურთივით გაბერილი ტუჩები გადამწიფებული ლეღვივით გადმობრუნებოდა.

მოვიდა ის კაცი და ორასიოს ორი ათასი პესეტი ჩაუყაჭა. მექსიკელმა პირი დაადო და ყვითელი ფართო კბილები გამოაჩინა.

— მიცვალეხულს აქ დავმარხავთ.

სტუმარმა ზოზინით გაიარა და სამარის ადგილი მონდომებით მოზომა. იდგა გამოლენჩებული ორასიო და ფულით ავსებული მარჯვენა მუჭი მაგრად შეეკრა. ვერც კი წარმოიდგენდა თუ ამ ნამცეც მიწაში ასე ოფლისდაუღვრელად ვინმე ყეყეჩი ორი ათას პესეტს მისცემდა. არა, მთლად ლენჩი კი ყოფილა ის ხუან გარსია. ერთი მაგრად რომ დაეყვირა, მექსიკელი მზად იყო უკან დაეხია. პირიქით კი მოხდა და ახლა კამაჩო იმ ღმერთს ლოცავდა, მისკენ მოწყალებით რომ გადმოიხედა.

ხუან გარსიას ძმა მაგრად რომ დაიტირეს და მიწაშიც ღრმად ჩაფლეს, სწორედ ექვსი თვის თავზე ტინის გორაკებზე ვილაც მხიარული კაცი გამოჩნდა. შავი, პატარა სომბრერო ეხურა, გრძელი ფეხები ჰქონდა, ხამინჯებზე შემდგარი გეგონებოდათ. ორასიო რომ დაინახა, სომბრერო მოიშვლიბა, ისეთი რევერანსი გააკეთა, თითქოსდა საცეკვაოდ ეპატივებოდა.

— სენიორ, ორასიო, ჩემი მოკრძალებული სალამი თქვენდამი. როგორც გადმომცეს ამ მიდამოს მეუფე თქვენ ბრძანდებით?

კამაჩომ შუბლი შეიჭმუნხა და სამ ფუტზე გადააპურჭყა.

— რა გნებავთ, სენიორ?

— მიწა მინდა ვყიდო ჩემი მეუღლე სენიორა კონჩატასათვის. გადმომცეს, რომ თქვენ მიწით ვაჭრობთ.

— სამი ათასი ღირს.

— სენიორ გარსიას თქვენ ორი ათასად მიჰყიდეთ. იყოს, მე შემძღვლია სამი ათასიც გადავიხადო. ნებას მომცემთ, ავირჩიო სასაფლაოს ადგილი?

სტუმარმა გაიარა, ქოხის მიმართულებით წავიდა, გულდაგულ გაიხედ-გამოიხედა, მერე შემობრუნდა და კამაჩოსაკენ გამოემართა.

— ისე კი ცოდვას ამ ადგილების სასაფლაოსათვის დაქუცბაცება. მარიფათიანი კაცი აქ აერობორტს გამართავდა, იქით კიდევ სასტუმროებს. თვითმფრინავები მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოიყვანდნენ ტურიისტებს. გაიჩარხებოდა საქმე, კაცი ფულს გააკეთებდა.

იმ ოყლაყმა რაღაც სასაცილოდ ჩაახველა. მერე ცხენზე შეჯდა და გვერდებზე დეზები შემოჰკრა.

სტუმარი რომ წავიდა და მზეც ოკეანეში წითელი ბრწყინვალე მზით ღივიტ ჩაიძირა, ორასიო ქოხისაკენ წაჩლახუნდა. თავი რაღაცნაირად დამძიმებოდა და ყურებშიც იმ ოყლაყის ხმა ჩაესმოდა: მწრიფათიანი კაცი აქ აეროპორტს გამართავდა. მერე წარმოიდგინა ქვიან ტერასებზე წამომართული თეთრი, ქათქათა სასტუმროები, მარმარილოს საფეხურებითა და ღია ვერანდებით, ისეთები, მას რომ უნახავს რიოდე ქანვიროში და ბუენოს აირესში. ხალხით სავსე თვითმფრინავები მორიგეობით ჯდებიან მეზონზე.

ორასიოს ჯიბეებში ხელი ჩაუწყვია და მთავარ ასაფრენ ბილიკებზე მიაბიჯებს.

აუ, ბიჭო, მოდის და მოდის ფული...

ამ ჭრელი ფერად-ფერადი ზმანებიდან რომ გამოერკვა, შეიშმუნა და უსიამოვნოდ გააპურჭყა. დასწყევლოს ღმერთმა, ხომ შეიძლება ყოველივე ეს ძალიან ახლოს იყოს, ასე ხელისშესახებ მანძილზე.

მერე ჯუტის ტომარაზე რომ მიეგდო და ჩათვლიმა, ვიღაც შავვერემანი ქალი დაესიზმრა. ისეთი ლამაზი იყო ის შეჩვენებული, ორასიო ცახცახებდა. მამა აბრამის ბატკანი არც ის ყოფილა, ისეთ თონედან ამოვლებული ლავაში გახლდათ, ჯერ უბრალოდ ანკესი არც კი ესროლა. ნეკას განძრევა ჭირდებოდა მხოლოდ და რაც არ უნდა ზვიადი ასული ყოფილიყო, მის სარეცელს ვერ გადაურჩებოდა.

მაგრამ ახლა რომ დაესიზმრა, სულ სხვა ჯიშის ქალიშვილი გახლდათ და ორასიო მისი თმების სურნელმა საღდაც შორს გაიტაცა.

ეს მომხიბვლელი სიზმარი რომ ნახა და მის შემდეგ ოთხმა გრძელმა მოწყენილმა თვემაც ბებერი, ბეხრეკი კუსავით ჩაიარა, პალმის ჩეროში წამოჯდა. ორასიოს უყვარდა ამ პალმებთან ჯდომა. დაჯდებოდა პალმის ძირში, ზურგს ხის ბადურა პერანგს მიაყრდნობდა, მკერდს ნიავს მოუშვერდა და თვლემდა.

მზე უკვე ეშვებოდა ოკეანისკენ და ტროპიკული ღამეც ერთბაშად უნდა მოვარდნილიყო. ისე როგორც კინოში გამორთავენ ხოლმე შუქს და რამდენიმე წამი აბსოლუტურ სიბნელეში აღმოჩნდებით.

ორასიოს მოეჩვენა, რომ ციდან ნამდვილი ანგელოსი ჩამოფრანდა და მის წინ ფეხზე დადგა.

ორასიო კამაჩო ასხლექილი წნელივით გაიმართა. ეს ქალი სწორედ ის გახლდათ, სიზმარში რომ ნახა მექსიკელმა. ქალი სულ ახლოს მივიდა. მარჯვენა ხელი ბეჭზე დაადო ორასიოს და ისიც მიხვდა, რომ საქმე ჰქონდა მიწიერ არსებასთან.

— ორასიო, ქმარი მომიკვდა, ძალიან მიყვარდა, მსურს ყველაზე კარგ ადგილას დავასაფლო.

ორასიო შეიმშუშნა.

— საფლავისათვის ფულის გადახდა მენანება. ამ აქოთებულს სახსრებს დობას რა ვუთხრა, თორემ საფლავი კი არა, ადამიანი არც კი უნდა დავიტირო. ორასიო, ერთი ღამე შენთან დაწვევები და ქვითი ვიყო.

ქალი აეკრა და ორასიომ იგრძნო, ოფლიან მკერდზე თუ როგორ უღლიტინებდნენ მაგარი ძუძუს კერტები.

თავბრუ დაეხვა, მაგრამ არ დაბარბაცებულა, მხოლოდ ხელები გაიშვირა წინ და როცა ქალის მკლავებს შეეხო, სულ ახლო უცხო არსების აჩქარებული სუნთქვაც იგრძნო. თითქოს და ყველაფერი გადაწყვეტილი იყო... მექსიკელი მეწყერივით ბრძოდ, მექანიკურად ვნებათაღელვის დიდი მდინარისაკენ მიექანებოდა, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა ხელები ქალისათვის წელზე უნდა შემოეხვია და ქოხისაკენ ციმციმ გაექანებია, გონებაში ჭრაქივით მბუტბავმა სხვა უცხო ცეცხლმა გაიელვა. მერე ეს ჭრაქი დიდ და ნათელ შუქად იქცა, ისეთ შუქად, აერობორტზე რომ ანთებენ ხოლმე დასაფრენი ბილიკების გასწვრივ.

ორასიო კამაჩომ ხელები მოწყვეტით დაუშვა. ერთი ნაბიჯი უკან გადადგა, თავი ჩაქინდრა და ენის ბორძიკით ძლივს ჩაიჩიფჩიფა:

— ფული გაქვთ? სენიორა! მე ფული მირჩევნია, მაპატიეთ, რომელი ქვეყნის ფული გინდათ, მომეცით, მე ყველას ვღებულობ, ოღონდ ფული იყოს...

ქალმა შავი, ნაკვერჩხლებივით ანთებული თვალები შეანათა.

— რაო, რა ბრძანეთ? მე ესმერალდა გულარტი ვარ, ჩემი გულისათვის ორასიო კაცი მაინც ნადრეუად გაემგზავრა იმ ქვეყნად. კარგად შემომხედე, გრინგო, არ მოგწონვარ?

მექსიკელმა ქვემოდან მორცხვად ახედა... მერე თავი ნელა, მძიმედ, ზოზინით ასწია, ვნებაჩამცხრალი თვალები ერთ წუთს ესმერალდას გაუსწორა. ნერწყვი ძლივს გადაყლაპა და ძლივს ჩაიდუღუნა:

— მე ფული მირჩევნია, სინიორა. რომელი ქვეყნის ფული გნებავთ, მომეცით, სულერთია... მაპატიეთ.

\* \* \*

ორასიო კამაჩო ვიწრო ხიდიდან ნელა ჩამოხტა და ზედ ანტონიო კიროგას საფლავის წინ დადგა.

კიროგას საფლავი მას მაინც რალაც განსხვავებულად ეჩვენებოდა. ფუტურთო ხის მსხვილი ჯვარი, როგორც კი ზღვა აღელდებოდა, წყალში იდგა ხოლმე. სწორედ კიროგას საფლავთან თავდებოდა მიწა და იწყებო-

და ოკეანეთის ლურჯი, უსასრულო ფონი. განსვენებულს თავი რომ ხმელეთზე ედო, ფეხები მარილიან წყალში ეწყო. წყლისა და მიწის ამ ერთციცქნა მიჯნაზე ყვითელ სილაში კაცთან ერთად ბედის რაღაც ჩუმი ირონიატ გახლდათ დამარხული. ისე კი იღბალი არ ჰქონია ანტონის ცხოვრებას. სული რომ ორი თვით ადრე გაეცხო, ახლა უფრო ზევით მეპურე ხესტიდო რომ მარხია, იქ იქნებოდა დასაფლავებული, მაგრამ საიქიოს წასვლა სიბრძნის თვით შეაგვიანა და იმ მიწის ნაგლეჯის დაპატრონება ხესტიდომ დაასწრო.

თუმცა აქა-იქ კიდევ გახლდათ დარჩენილი რამდენიმე გაუყიდავი სასაფლაო. უკვე მოზომილი, შემოღობილი, ყოველნაირად მომზადებული აქედან წასული კაცისათვის. ათიოდე ასეთი მიწა ცდებოდა ამ შეპოვარენში, თვითეულ ნაკვეთზე ჯვარის მაგიერ გრძელი უშნო ბოძი იდგა და მაჩუქეთი გაპრიალეზულ ფირფიცარზე ფლომასტერით ეწერა 10 ათასი პესეტი, ათიათას ორასი, ათიათას სამასი და ასე შემდეგ... პირდაპირ ცეცხლი ეკიდა, ცეცხლი კი არა, დიდი, უშველებელი კოცონი.

იცოდა ორასიომ, ამ მიწის მუშტარიც რომ გამოჩნდებოდა და არ ჩქარობდა... ანტონიოს კი უკანასკნელ პერანგამდე გაღლეტილი ერთი შვილი დარჩა და აბა ის ღეთის გლახა რისი მიმცემი იყო. ორი ათასი პესეტი ძლივს ჩაუყაჭა და ახლა მამის ფეხები წყალში რომ ლებოდა, თავი ხმელეთზე იხრწნებოდა.

ორასიომ ხის დიდ ჯვარს, ანტონიო კიროვას სასაფლაოზე რომ იყო დამხობილი, ხელი შეახო და რაღაც ჩაიბუტბუტა. ნელა გაუარა, ვიწრო ბილიკს დაადგა.

აქეთ-იქით, მარჯვნივ და მარცხნივ, სულ სასაფლაოები იყო ჩარიგებული. უბრალო, სადა სასაფლაოები, გაურანდავი კოპის ხის ფიცრებით შემოკავებული. ასევე ხის მალალი ჯვრებით სოკოებივით რომ იყო მოფენილი მიწაზე. აქა-იქ ისეთი სასაფლაოც ერია, ირგვლივ ლითონის გისოსები რომ ერტყა. ასეთ საფლავებს რომ გახედავდით, ღმერთო შეგცოდე, იფიქრებდით მაგარ ვოლიერში კაციჭამია მხეცას მაგივრად ჯვარი შეუდგიათო.

ორასიოს არ უყვარდა რკინის გისოსებიანი სასაფლაოები. შორიდან ფაუვლიდა ხოლმე და ერთადერთ განიერ ბილიკზე გადიოდა. ერთადერთს იმიტომ ვამბობ, რომ ადრე აქ ბევრი ბილიკი იყო, მერე ორასიომ ბილიკები სასაფლაოებად აქცია და მხოლოდ ერთადერთი დატოვა, რომლითაც მიცვალებულები შემოაქვთ ამ თალხიან მიწაზე.

ორასიომ ნელა გაიარა. ტინის კლდეებთან რომ მივიდა, მარჯვნივ გაუხვია, ერთმანეთზე მიჯრილ საფლავებს შორის ძლივს გაიარა და პატარა ხევში ჩავიდა. აქ ხუთიოდე სასაფლაო კიდევ ჰქონდა გასაყიდად დარჩენილი. დღედღეზე ელოდა ქალაქიდან მუშტრის მოსვლას, მაგრამ ასე

მოხდა, რომ უკვე მეოთხე თვე მიდიოდა და სიკვდილს კი არავე აპირებდა.

ხანდახან კი პირიქით ხდებოდა. ერთ ძალიან მშვენიერ, ვარსკვლავებით მოჩახჩახებულ მშვიდობიან ღამეს, რალაცაზე ცეცხლს მიქელგაბრიელი და ადამიანებს დაერეოდა, წიოკობას აუყენებდა. ზედიზედ ხოცავდა ცოდვილებსა და სრულიად უცოდვილოებს. ამას მისთვის არავეითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა... მაშინ ორასიო და მისი ერთგულა შეგებრიდი ხულიო ძლივს ასწრებდნენ საფლავების თხრას.

ხანდახან კიდევ ის დალოცვილი, მიქელგაბრიელზე მოგახსენებთ, კარგად ნაპატიებ ჯორზე შესკუპდებოდა და ჩვენს ცოდვილ მიწაზე რა ცირკებიც არ უნდა დატრიალებულიყო, იმ წმინდა ცხოველის უნაგარიდან ძირს ჩამოსკუპებას არა და არ დაადგებოდა საშველი. რაც არ უნდა საქმებარი სიტყვები გეთქვათ, მსხვერპლიც რომ ბლომად შეგეწირათ, ყურსაც არ გააპარტყუნებდა.

მაგრამ ორასიომ კარგად იცოდა ერთი ჭეშმარიტება: ადამიანს დაბადების დღიდან თან დასდევს სიკვდილის აჩრდილი. რაც არ უნდა ისწრაფო ცისკენ და რაც არ უნდა იღბლიანი კაცი იყო, ამ აჩრდილს ვერსად დაემალევი. ერთ მშვენიერ დღეს თავს დაგადგება და მარადიული ტანჯვისათვის ნათხოვარ სულს ამოგზდის...

და ელოდა ორასიო სიკვდილს, სხვა კაცის სიკვდილს მშვიდად უცდიდა ორასიო.

\* \* \*

ხევის პირად შეჩერდა. ხელები წელზე შემოიწყო და ქორული მხერა ფერდობებს ნელა ჩააყოლა. ღელის პირამდე ყველაფერი კარგად რომ დაზვერა, სახე მოექუფრა. მერე ნიკაპიც დაუგრძელდა და ხევისკენ სწრაფად გააპურტყა.

ზღაზენით, წელის რხევით ჩაპყვა საცალფეხო გზას, ღელემდე ჩააღწია და დადგა. მის წინ კამკამა წყალში ოდნავ მოღუნული ადამიანის ნაცრისფერი ჩონჩხი ეგდო.

ორასიომ ზიზლით დახედა არარაობად ქცეულ ცხოვრებას, დაიხარა და ჩონჩხს ფერდებში ჩააფრინდა. ამავე დროს ჩახრინწული, ჩახლეჩილი, რალაც უცნაურად მიკნავებული და ჩახავებული ადამიანის სმაც შემოესმა.

-- ორასიო, მოიცადე, მოგეშველები.

მექსიკელს თავი არც კი აუწევია, ისედაც მიხვდა თუ იქ, ტინის კლდეებთან ვინც იდგომებოდა.



დილით ერთი გაღებული ქალი მოადგა. შუახნისაც არ იქნებოდა, მაგრამ ცხოვრებას გვარიანად ეთრია და მთლად ყვითელი სახე ჰქონდა დაკეცილი. ხუთი ისეთი ლაწირაკი ახლდა, ერთმანეთს ფეხზე რომ ვერ წამოაყენებდნენ. ჭუჭყიანები იყვნენ, გამურული და თმაგაბურძენილი.

— ორასიო, — თქვა იმ ქალმა, — ქმარი მომიკვდა. გახვრეტილი პესეტიც არ გამაჩნია. ქრისტიანები ვართ, ერთი გოჯა მიწა მომეცი, რომ ეს კაცი, როგორც წესია, ისე დაემარხო.

ორასიოს სახე დაეღრია. იმ ქალის წინ გააპურჭყა და ჩაახველა.

— ერთი პესეტიც არა მაქვს, თორემ მოგცემდი.

ქალმა კაბის ქობა აითრია და ცხვირი ხმაურით მოიხოცა.

თბილი დილა იდგა. დიდი წვიმების სეზონი საცაა უნდა დაწყებულიყო და ჰაერი ცხელი ორთქლით იყო გაყენებული. მიწას ბული ასდიოდა.

— მომეცი, ორასიო, ერთი გოჯა მიწა.

ჩექსიკელმა ქალის ფეხებთან ისევ დააპურჭყა და გაიარა.

მერე კამაჩო ქოხის წინ დიდ კუნძზე რომ დაჯდა, ხედავდა ექვსი გაღებული აჩრდილი ცხელი მიწის ხვატში როგორ გალასლასდა მთავარბილიკზე. წინ დედა მილოდავდა, უკან შვილები. ბილიკს რომ დაადგნენ, დედა ერთხელ კიდევ შემობრუნდა ორასიოსაკენ, მაგრამ ორასიო ახლაცისკენ იყურებოდა. იმ ექვს აჩრდილს ველარ ხედავდა.

შუადღისას ის ექვსი აჩრდილი ისევ გამოჩნდა. ახლა თან გაურანდავი ფიცრებისაგან შექვილილ კუბოს მოათრევდნენ. ლასლასით განვლეს მთელი ბილიკი და კუბო ტინის გორაკზე აათრიეს. იქ ერთ ფიქალზე დადგეს და ირგვლივ ყორე შემოუწყვეს.

საქმეს რომ მორჩნენ, ისევ ძირს ჩამოლასლასდნენ, მალე კი ტროპიკულ ბაღში მთლად გაუჩინარდნენ.

შუალამისას ორასიო აფთრების ჩხავილმა გააღვიძა. მიხვდა, რომ მძორიჭამიები გემრიელად ვახშობდნენ ადამიანის ხორციით.

ერთ კვირაში დიდი წვიმების სეზონი დაიწყო. ისეთი თქეში მოვარდა, წარღვნა გეგონებოდათ. მოდიოდა და მოდიოდა ნიაღვარი.

ორასიო შინ იჯდა და ყალიონს აბოლებდა.

წვიმამ რომ გადაიღო, სასაფლაოზე გაიარა. გამძლარი მიწის მსუყე სუნი იდგა. ხის დიდი, სველი ჯვრების ქვეშ ყველგან მწვანე ხასხასა ბალახი და მინდვრის ყვავილები ღვიაოდა. მზეს უკვე ძალაც მოცემოდა და წყლით გაჯერებულ მიდამოს თბილი ოხშივარი ასდიოდა.

ყველაფერი ეს ძალიან ჰგავდა შუა გაზაფხულის გაღვიძებულ ბუნებას. როცა განახლებული ტყისა და ბალახეულის მადლი და ხალისი

რადაც უხილავი ძალებით ადამიანის სულშიც შედის და ჩაძინებულ გრძნობების გაღვიძებას ცდილობს.

ორასიომ გაიარა მთავარი ბილიკი და ხეობასთან მივიდა. მასაც ვეცხენ სნა ხასიათი და ისე დაბლვერილი აღარ გამოიყურებოდა. მაგარა ვეცხენ გადაიხედა თუ არა, მაშინვე ხასიათი გაუფუჭდა. იქ გაღვიძებული ლელსპირას ადამიანის ჯერ კიდევ თეთრი, თოვლივით ქათქათა ჩონჩხი ეგდო.

კამაჩო, რასაკვირველია, მაშინვე მიხვდა, საიდანაც გაჩნდა ეს თეთრი საფრთხობელა. უსიამოვნოდ ჩაეშვა ხევში. ჩონჩხი ძლივს აათრია და დიდი წვალეებით ისევ ტინის გორაკზე აიტანა. პატარა ქვაბულში ჩაღო და ზევიდან ბლომად დააწყო ქვები.

ორი კვირა რომ გამოხდა, ისევ მოვარდა დიდი თქეში და დილით ის ჩონჩხი კვლავ ხევში ეგდო. ორასიოს არც ახლა დაუხევია უკან, ჩონჩხის ვაივაგლახით ტინის კლდეებში აათრია.

მას შემდეგ დიდი წარღვნა რომ დაიწყებოდა, ორასიო უკვე გრძნობდა თუ დილით ხევში რა ნობათიც უნდა დახვედროდა.

\* \* \*

თავი რომ შემობარუნა და თვალიც ფერდობს გაადენა, იქ ხულიოზა დაინახა. ბამბუკივით გრძელი, გაჩხინკული ხულიო აღონსი ფერდობზე სარივით ერჭო და კამაჩოსაკენ იყურებოდა. მერე პირი დააღო და დაჩხვავლა თუ დაიჩხვარიალა:

— მოიცადე, ორასიო, ახლავე ჩამოვალ და მოგეხმარები.

ორასიომ ნაცრისფერ ჩონჩხს ხელი უშვა. წამოდგა და სახემოქუფურულმა თავიდან ბოლომდე ჩათვალა სტუმარი.

— მე ვარ, ორასიო, ველარ მცნობ?

— როგორ არა, გიცანი. თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ ნამდვილად ენაჭარტალა ხულიო აღონსი ხარ და არა ავი სული.

— ნამდვილად მე ვარ, ორასიო.

ის გრძელი სარი ხევისკენ დაიძრა.

— შენ ისა თქვი, როდის ჩამოხვედი?

— დღეს ჩამოვედი, ორასიო.

— ნახე ის შენი ნათესავი?

— ვნახე, ორასიო.

— მერე, რა გითხრა.

— ძალიან ცუდი ამბავი მითხრა. ყელის კიბო გაქვს, ამოჭრას აზრობა არა აქვსო, სულ ერთია, სამ თვეში მაინც მოკვდებიო.

— ჰოო.

გააგრძელა კამაჩომ და შავი ბრილა თვალებით ახლა ხეობაში დარჩენილ, ჯერ კიდევ გაუყიდავ სასაფლაოს მიწას გახედა.

— ჰოო, სამი თვეც საქმეა.

მზერა სტუმარს გაუსწორა.

— ჰოო, სამი თვე ცოტა როდია.

იმეორებდა უაზროდ, თავში კი სულ სხვა ფიქრი უტრიალებდა.

ხულიო კრუსუნით დაიხარა, ჩონჩხს ბეჭებში ჩააფრინდა. ფეხები ორასიომ დაითრია.

— მჩატეა.

თქვა ადონსმა.

— ჰოო! მჩატეა... კაცმა რომ თქვას, სამი თვე ცოტა არაა... როდის ღვა სამი თვე.

მერე ნელა დაიძრნენ ფერდობისაკენ. ხულიო წინ მიდიოდა, უკან ორასიო, ხულიო შემობრუნდა.

— ხომ არ აჯობებდა სადმე მიწაში ჩაგვეფლა? მაინც ქრისტიანი იყო, ორასიო!

მექსიკელს სახე დაეღრჩა. ზედ ხულიოს ფეხებთან დააფურთხა.

— შენ ეი, ასე უბრალოდ რომ არიგებ მიწას, აბა, გადმომხედე, თავისუფალს ხედავ სადმე?

— არა, მაინც ქრისტიანი იყო, როგორ გაშავებულა. ადრე სულ ქაჩათი გაუდიოდა... ისევ მოვარდება ღვართქაფი, ორასიო! კვლავ დელეში ჩათრევს, ტყუილად მიგაქვს.

— იცი რა გითხრა, მგონი დროა საკუთარ სასაფლაოზე იფიქრო, ყველას თავისი ბედი უწერია.

— ჰოო...

ნიკაბი ჩამოუვარდა ხულიოს.

ჩონჩხი კლდეზე დაასვენეს. მერე ორასიომ ოთხი დიდი ლოდი არგვლივ შემოუწყო. ამ საქმეს რომ მორჩა, ზევიდან მუშტრის თვალით დახედა. ხულიო ჩამოჯდა.

— ორასიო, რაც არ უნდა დიდი ლოდები შემოუწყო, ღვართქაფი მოვარდება და ისევ წყალში ჩათრევს.

\* \* \*

ხულიო ადონსი სასაფლაოზე ამ წლინახევრის უკან გამოცხადდა. ყვითელი დაჭმუჭნული ვიწრო შარვალი ეცვა. ასე გეგონებოდათ, ზედვი ეძინაო. ზემოდან საყელო გაცრეცილი ხალათი ისე ჰქონდა მოხურული, საფრთხობელაზე რომ ჩამოკიდებენ ხოლმე.

შუადღის ხვატი იდგა და ორასიოს ქოქოსის პალმების ჩეროში ეძინა. ხულიო მოვიდა და მის წინ დაჯდა.

ორასიომ გაიღვიძა და ხედავს წინ რალაც ჟირაფივით გრძელი არსება  
და ზის. ზურგით პალმას მიწოლია და თვლემს.  
მასპინძელმა სტუმრის მიმართულებით გააპურტყა.



ხულიომ გაიზმორა.

— წყალი არა გაქვს? ორასიო, ყელი მიშრება. ლამისაა სული გა-  
ვაცხო.

ორასიომ ისევ გააპურტყა. მერე გულიანად დაამთქნარა.

ისეთი მომთენთველი სიცხე იდგა, ნორმალური კაცი დაამთქნარებო-  
და, აბა რა იქნებოდა.

— ღელეში ჩადი, გრძელო. თუ ძალიან გწყურია, აი ღელეში. ჩადი  
და იქ დალიე ცივი წყალი.

— ძალიან მწყურია, — თქვა სტუმარმა და წამოდგა.

როცა უკან დაბრუნდა, ორასიო ისევ იმ პოზაში დახვდა, პალმის ძი-  
რში გამხვებართული. ზურგით იწვა, ხელები თავქვე შეეწყო და თვალები  
მიეღულა.

— ორასიო — თქვა ხულიომ და ჯაყვა დანასავით დაიკეცა. — მშია,  
რამე გექნება. მადლია, სულს მოვითქვამ.

მექსიკელმა თვალები დააჭყიტა. მერე გადმობრუნდა და გააპურტყა.

— მე ათ ღელეში ერთხელ დავდივარ ქალაქში. მთელი ათი ღლის სა-  
გზალი მომაქვს. ნახე, იმ პარკში თუ რაიმეა. პური და ყველი მაინც იქნება.

— გმადლობთ, ორასიო.

მერე, იმ გრძელმა ხულიომ სული რომ მოითქვა, ხელები გულმკერდ-  
ზე დაიკრიფა და ზურგით ისევ პალმას მიეყრდნო.

— ღელეს მეპურე ალეხანდროს ცოლი მოკვდა. დიდი კაპასი ვინმე  
იყო ის დედაკაცი. მეზობლის ქალებმა ღრეობა მოაწყვეს საიქიოში მის  
წაბრძანებასთან დაკავშირებით. მალე მეპურე აქ გამოჩნდება. სამარის გა-  
თხრაში მოგებმარები, ორასიო.

ერთხელ, ამ ამბიდან სამი თვის შემდეგ, ვიღაც შნაიდერის თუ შნე-  
დერის საფლავი ღრმად რომ გათხარეს, ხულიო მოიკეცა, ბარს დაეყრდნო  
და ორასიოს უთხრა:

— ყელი მალევე მიშრება, როცა ცივი წყალს ვსვამ, მტკივა, ცხელს  
რომ ვსვამ, მაშინაც მტკივა, ლუკმას ვყლაპავ, მტკივა — ხმასაც ვკარგავ,  
ხომ ატყობ, ორასიო?

ორასიომ ბარი მიწაში ღრმად ჩაასო.

— ვატყობ, ალბათ გაცივდი.

— არა, სხვა საქმეა, მეშინია კიბო არ იყოს.

— ექიმთან წადი.

— მერე ექიმი სადაა? ჩვენთან მეაფთიაქე ისაკა არის ექიმიც, ფერ-

შალიც და ბებიქალიც.

მეოთხე დღეს, იმ შნაიდერს თუ შნედერს უკანასკნელი ბარი მიწა არამე მიაყარეს, ხულიო კვლავ ასლუქუნდა: ჩიკაგოში ჩემი ბიძაშვილი ცხოვრობსო, მთელი კლინიკა აქვსო. ცოტა ფულს რომ მასესხებო, მთელი ცხოველში ჩავალ და ვიმკურნალებო. ბიძაშვილს ფულს გამოვარბევ და მუშისას დაგიბრუნებო. კარგი საქმე იქნებაო, ორასიო!

ორასიომ ცას ახედა და ჩაილიმა.

— შენ ფიქრობ ამერიკელები ისე იარაოდ ფანტავენ ფულს? არა, ძვირფასო. საკუთარმა ბიძამ, რომელსაც ახალ ორლეანში ბარი აქვს, მხოლოდ ორჯერ ამომიყორა მუქთად მუცელი, მერე ჭიტლაყი ამომკრა და გარეთ გამონავდო.

ორასიომ გააპურჭყა.

— ორასიო, მე შინდა ჩიკაგოში წავიდე. ცოტაოდენი ფული მასესხე, ხომ ხედავ, როგორ უანგაროდ გეხმარები საფლავების გათხრაში.

— ხულიო, ფულს ვერ გასესხებ. თუ შენს ბიძაშვილს სინდისის ნასახე კიდევ შერჩენია, მისწერე, ფული გამოგიგზავნოს და მერე გინდა ჩიკაგოში წადი და გინდა მექსიკაში.

ბიძაშვილისგან ფული რომ მიიღო, ხულიომ მთელი ქვეყანა შეყარა. თვითონაც უკვირდა და ქვეყანასაც აკვირებდა, ასე იოლად რომ მოვიდა ქვეყნის სხვა კუთხიდან ბედნიერება. მხოლოდ ორასიოს არ შეუხრია წარბი. პალმის ჩეროში მიწაზე იჯდა, ზურგით ხეს მიყრდნობოდა და აღნავ მოჭუტული თვალებით ხულიოს მიჩერებოდა. ამ გამოხედვაში ირონიაც იყო და ზიზღიც, სიბრალულიც და დაცინვაც.

ეს მაშინ მოხდა, როცა ორასიოს ის პატარა ქოხი უკვე დანგრეულა ჰქონდა. ის ადგილი კი, სადაც ეს ქოხი მთელი სამი წელიწადი იდგა, თოქსპირად გაყიდა საფლავად. ის კი არა პალმების მოჭრაც გადაწყვიტა, მაგრამ ეს საქმე გადადო, რადგან ჯერ კიდევ ჰქონდა გასაყიდი მიწის ნაკვეთი. ბოლოს და ბოლოს ამ საქმეს ყოველთვის მოასწრებდა.

ახლა სასაფლაო ზედ ოკეანეს მიადგა და ორასიო იძულებული გახდა სახლი წყალში, მარჯნის რიფებს აქეთ აეშენებია.

ხულიო რომ ჩიკაგოში გაემგზავრა, იმ ღამეს ორასიოს ცუდად ეძინა. ჯერ იყო და ქარი ამოვარდა და ტალღებიც აამბოხა. მერე ქარი შესუსტდა, მაგრამ რული მაინც არ მოეკარა.

გათენებისას ჩათვლიმა და მაშინვე ცხვირწინ ის ესმერალდა გამოეცხადა. თეთრი კაბა ეცვა, ისე უხდებოდა, ორასიომ თქვა: ასეთი ღამაზე ქალი ჯერ არ დაბადებულაო.

იდგა ესმერალდა და გაბრაზებული შეჰყურებდა გრინგოს.

მაშინ ინანა, რატომ არ დათანხმდა... ხომ ადვილად შეეძლო ერთი უძილო ღამე თაფლწასმულ ცხელ ღუმელზე გაეტარებინა. ჯანდაბას ის მსუთი ოთასი პესეტი.

ახლაც ესმოდა ესმერალდას გაბრაზებული ხმა:

— გრინგო, აჰა ხუთი ათასი პესეტი... იცოდე, დიდ განძს კარგავ...  
შე ღვთის გლახავ, ერთი ღამე ჩემთან დარჩი და სამუდამოდ დაგვიტყვი  
არდება. ქალზე უკეთესი რა უნდა იგემო. სხვა ყველაფერი ტიფიანობაა.  
ვლის და მაგ უტვინო გოგრაში მოგონების ნასახიც კი არ დარჩება.

გრინგო, ფულს ბედნიერება ჯერ არავისთვის მოუტანია. არც შენ  
თქნები გამონაკლისი...

ესმერალდა ჰაეროვან რძისფერ ნისლში გაუჩინარდა. ორასიოს კო  
ძალიან ცუდ გუნებაზე გაელვია.

\* \* \*

ნაცრისფერი ჩონჩხი ქვებში რომ ჩააგდეს და პალმებისაკენ წამოვი-  
დნენ, ხულიომ თქვა:

— ორასიო, ვიცი მალე წერილს წავიღებ. წინასწარ მინდა მოგელა-  
პარაკო. სასაფლაო მომიყიდე, პალმებთან ახლოს მინდა დავიმარხო. ერთი  
კაცის ადგილზე არის. ღმერთს ჩემთვის გაუჩარხია საქმე, ცოლი მე არ მა-  
წუხებს და შვილი.

კამაჩომ ხელები დაიფერთხა.

— კარგი ადგილია, თხუთმეტი ათასი ლირს.

ხულიომ სიმწრით გაიღიმა.

— მოგცემ, მაინც ყველაფერი ოხრად მრჩება. კუბოს ფულსაც დავი-  
ტოვებ და მღვდლისასაც. შენ უნდა დამასაფლაო, მეტი გზა არაა. ნახე-  
ვარი ქალაქი მე და შენ აქ დავმარხეთ, ამ მიწაში. მე მივიღივარ, შენ რჩები  
და ახლა შენ უნდა დამმარხო...

\* \* \*

ოთხი თვის თავზე ხულიომ ფეხები გაჭიმა. ღამით მოკვდა. სულის  
შმაფრი შეხუთვა რომ იგრძნო, ადგა და ქოხიდან გამოვიდა. ორასიომ და-  
ინახა, რომ მილასლასებდა, მაგრამ არაფერი უთქვამს, თვალი გააყოლა.  
დილით, პალმებთან რომ მივიდა, ხულიო წინსწარ ნაყიდ მიწის ნაგლეჯზე  
ძალღვივით ეგდო და აღარ სუნთქავდა.

ორასიომ ის იმ დღესვე დამარხა. ჯუტის ძველ ტომარაში გაახვია და  
ისე დამარხა. ოღონდ იქ იმ ადგილზე კი არა, ხულიომ წინასწარ ოთუხ-  
ბირად რომ იყიდა, სადღაც ჯანდაბაში წაიღო და იქ ჩაფლა მიწაში. ის  
ადგილი კი, ხულიომ რომ შეიძინა, ისევ ისე დარჩა მეორედ გასაყიდად.

მერე ის იყო, პარასკევ დილით სიფთაზე ვიღაც ორი ახმახი მოვიდა,  
გაოფლიანებული ცხენები მოაჭენეს, ძირს არც კი ჩამოსულან, ისე ცხენ-  
დაცხენ გაიარეს სასაფლაოზე, სულ ბოლომდე, ხეობამდე მივიდნენ. მერე

შემობრუნდნენ და ბილიკს პალმებისაკენ გამოჰყენენ. ორასიო სწორედ პალმებთან იდგა. ზურგით იმ პალმას მიწოლოდა, ოკეანეს მხარეს რომ იდგა, და დაბღვერილი იყურებოდა.

— გრინგო, — თქვა ერთმა, წითელ შავრაზე რომ იჯდა და დაბღვერილად, — აქედან უნდა აიბარგო, დღესვე უნდა მოუსვა, აქ აეროდრომს ეაშენებთ. ქალაქი გაიზრდა, საჰაერო ტრანსპორტი გვჭირდება.

ორასიომ ვერაფერი გაიგო... შეიძლება კარგადაც გაიგო ყველაფერი, მაგრამ ისეთი სახე ჰქონდა, აქაოდა, შენ რომ ალთას ცხენს დააჭენებ, მე ბალთას მატყლს ვპენტავო.

— უნდა წახვიდე, გრინგო! ხვალ აქ ბულდოზერები მოვლენ და მიწას მოასწორებენ.

მექსიკელი პალმას მოშორდა. წინ მხოლოდ ერთი გაუბედავი ნაბიჯი გადადგა.

— მერე, საფლავები?!

— ჩვენმა კომპანიამ პატრონებს უკვე გადაუხადა ფული. ეგ ნუ გადარდებს, გრინგო.

— მე, მე რას მეუბნებით?

— შენ ეს!

იმ კაცმა, ქვეითად რომ იდგა, მექსიკელს ბრანწი აჩვენა.

ორასიომ შუბლზე ოფლი ზანტად მოიწმინდა. ასევე ზანტად დაიძრა და იმ ფამფალა ხიდზე შედგა, ოკეანეში ჩადგმული მისი ქოხისაკენ რომ მიდიოდა. ისე გაიარა მთელი მანძილი იმ ნაცოდვილარამდე, უკან ერთხელაც კი არ მოუხედიო. მერე ქოხში გაუჩინარდა... ხუთ წუთში ისევ გამოჩნდა ხიდზე. ხელში ტყვიებით გაძეპილი ვინჩესტერი ეკავა.

ხიდიდან რომ ჩამოვიდა, თავი მხოლოდ მაშინ ასწია. იმ კაცთან მივიდა, პალმებთან რომ იდგა, და თოფი ფეხებთან დააგდო. თვითონ კი ხელი ვოლტერის ღია ბუდეზე დაიდო. იყურებოდა კუშტად, დაბღვერილი. ნესტოები კორიდის დაღლილი ხარივით ებერებოდა და ყელზე მომდგარი ბოღმა ახრჩობდა.

იმ კაცმა კი თოფს ღიმილით დახედა და ორასიოს წინ დააბურჰყა. მერე მარჯვენა ფეხი სწრაფად გაიქნია და სქელლანჩიანი ფეხსაცმელა ჩახმახს ამოჰყრა.

ორასიოს ეგონა თოფი გავარდებოდა, მაგრამ არცერთ ლულას არ დაუჭექია. კონდახი მიწაზე აცურდა და ზღვისკენ გასრიალდა.

— გრინგო, შენი თოფი დაქანგულია. ამით ყვითელგულა მაკაოსაც ვერ გაუხეთქავ გულს. დილით მოვალთ და აქ შენი ბურღლაც არ იყოს, თორემ ციხეში გამოგალბობ. გაიგე, გრინგო?

იმ წითელ შავრას ზურგზე მოევლო და დეხები შემოჰყრა.

ორასიომ, რასაკვირველია, ყველაფერი კარგად გაიგო, ანდა რა იყო გაუგებარი. ნიავე უკვე აშრიალდა და საცაა გრივალაც უნდა ამოეფარდებოდა.  
ლიყო.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

\* \* \*

მეორე დღეს ქარი მართლაც ამოვარდა. ცივი ნორდოსტი უბერავდა და მარჯნის რიფებზეც გამოჩნდნენ კამკამა გრუხუნა ტალღები.

ყვითლად შეღებილი ბულდოზერები სასაფლაოზე ფუნის ხოჭოებივით რომ შემოლოდნენ, ორასიო ხევში სიბ ქვაზე იწვა და ცას შეჰყურებდა, ბულდოზერების ხმა რახანია ესმოდა, მაგრამ წარბიც არ შეუხრია.

ხევიდან მთვრალი კაცივით რომ ამობანცალდა, იმ ყვითელ ხოჭოებს პალმები უკვე მოეთხარათ და ანტონიო კიროგას საფლავზე აღმართული დიდი ხის ჯვარიც ზედ მიეყოლებინათ.

მერე გრინგომ ისიც დაინახა, მის ფარღალალა ქოხს როგორ გამოაბეს ფოლადის მაჯისსიმსო გვარლი. გვარლის ერთი ბოლო ბულდოზერზე იყო მიბმული. ბულდოზერმა რომ დაითუხთუხა და გაიწია, ქოხმა საცოდავად დაიჭრიალა, თითქოს და საშველად ორასიოს ეძახდა. მერე ბნელიანივით შებარბაცდა, ჯერ ზევით წამოიწია, შემდეგ ნაპირისაკენ და ძველი თეთვშივით დაიფშენა.

ორასიომ შეჰყვირა, მაგრამ ბულდოზერების ხმაურში მისი ყვირილი არავის გაუგონია. ქარმა დაისისინა და ჰაერში აახვია მის მიერ წლების განმავლობაში ფარღალალა კედლებში ჩაწყობილი დოლარები და ფუნტები, პესოები და კრონი, გულდენი და ლირა, ფრანკები, ყველა ქვეყნის დაწყველილი ფულები, რომლებიც უშველებელ კოცონებს ანთებენ დედამიწაზე.

ქოხმა რომ თქვენი ჰირი წაიღო და ოკეანის ტალღებში ჩაიმაჩხა, ორასიომ წყლის ლურჯ ფონზე ღვთის სალოცავივით წამომართული მარჯნის რიფები დაინახა.

ეკლესიის გუმბათებივით წამოსულიყვნენ ცისკენ მეწამულისფერი ლამაზი რიფები. მხოლოდ ჯვარი აკლდათ, უბრალო ხის ჯვარი, ასე უხვად რომ დგამდა ორასიო კუნძულ მეგონის ერთადერთ სასაფლაოზე, იმ გუმბათების თავზე ჯვარიც რომ ყოფილიყო, აა მაშინ კი ნამდვილად ეკლესია იქნებოდა, ღვთის სალოცავი.



## მატარებელში გაბონილი ლექსი

მატარებელი გავიდა. სად ლექსი და სად ვაგონი?  
რა ვქნა ახლა, რომ აღარ ვარ შენი სიმღერის გამგონი?!  
რა ვქნა ახლა, რომ აღარ ვარ შენი ფიქრების მზვერავი?  
მე ვიცი, იმას ჩემს მეტი ვერ წაიკითხავს ვერავინ!  
მატარებელი გავიდა. — მთებს მიეფარა მერანი,  
მე ვიცი, შენს ფიქრს ჩემს მეტი ვერ წაიკითხავს ვერავინ.  
ვერავინ ვერ წაიკითხავს ფიქრის ფთილებს და ზეფირებს,  
მე ვიცი, იმათ ჩემს მეტი ვერავინ დაიზებირებს.

## ბავშვებს, რომლებიც ბურთს თამაშობენ

თქვენი თამაში — მცირე ომი.  
თქვენი განგაში — მცირე რომი.  
ახალი ბურთი მოგიტანეთ,  
აჰა. ბურთი და მოედანი.

ბურთი მრგვალია, მოედანი...  
სხვა არის მისი სიგრძე-განი.  
ახალი ბურთი მოგიტანეთ.  
რომ ძნელი ბურთი გაიტანოთ.

## შეყვარებულ გოგოზე კოსმოსიდან

### ბამოგზავნილი ლექსი

ახლა სხვა არის მთვარის არია, მთვარე მთვარეა, რაც მთავარია,  
უფრო მთავარი და უმთავრესი. მაგრამ არ არის მიწა მთვარეზე.

# ფიჭვნარის არქეოლოგიური გათხრები და წარწერა ოქროს ბეჭედზე



ეროვნული  
ამირან კახიძის  
ზიზლინიტიკა

ბოლომდე შენი ერთგული  
დავრჩი  
რახან ამხელა მყავი სიკეთე.

ჩემი აწმყოდან შენს მომავალში  
ვიჩეკები და ბუდეს ვიკეთებ.

\* \* \*

შენ ამოიჭერი ჩემს ცხოვრებაში  
ზენა ქარივით და დამარწიე.  
სად დაიკარგა ნეტა ის ბავშვი,  
რომლისთვის ოქროს წლები გავწირე.  
მე ახლა უცხო ნაპირზე შევერჩი,  
გაწბილებული ცხოვრების ზვირთებს.  
ანგელოსები მოდიან ჩემში  
და ნაკუნ-ნაკუნ მაპრიან თითებს,  
და თითებიდან თოთო წვეთები  
ყვავილებივით ეცემა მიწას.  
და ეს ჭიუტი სულისკვეთება  
ავი ძალღივით დამდევს და მიცავს.  
და თუ სიკვდილი შემეფეთება,  
ხმალივით შუბლში ვახლი კაფიას,  
დაიწერება სისხლის წვეთებით  
ჩემი პატარა ბიოგრაფია.

## წარწერა უცნობი პომეის საფლავის ქვაზე

ეს საფლავი დიდიაო  
მამაზეციერმა ბრძანა.  
საკუთარი საფლავიდან  
ამაყენეს ძალისძალად.  
მავრამ ისევ ამარიდეს  
წუთისოფლის ქარს და წვიმებს.

წამიღეს და სხვის მაგიერ  
სხვის საფლავში ჩამაწვინეს.  
ახლა სხვის საფლავში ვწევარ,  
ნება სურვილია უფლის.  
მიჭერს ვიწრო სასაფლაო,  
როგორც ნაქურდალი ტუფლი.

მდინარეები,	ჭრელი პეპლები,	დიდი მგლები,
ქალაქები,	დიდი სოფლები,	დიდი ძაღლები
მატარებლები,	დიდი გზები,	მომდევნ უკან.
შავი ტყეები,	დიდი სახლები.	მე მივდივარ და
ყვავ-ყორნები.	დიდი დათვები,	მივიმღერი.

\* \* \*

საქართველო — ნუგეში,  
თავს ჩავიდებ უბეში.  
სიბერეშიც მეყვარები, როგორც სიჭაბუკეში.

მე ვარ შენი ლიდერი, შენი ლელოს გამტანი.  
შენი გაზაფხული ვარ, ზაფხული და ზამთარი.  
როცა თეთრად დაათოვს,  
ხუდადოვს და მადათოვს.  
საქართველოს ვენახები ჩემმა სუნთქვამ გაათბოს.

საქართველო — ნუგეში,  
თავს ჩავიდებ უბეში.  
სიბერეშიც მეყვარები. როგორც სიჭაბუკეში.

მარგალიტი ამოდულდა არწივების ბუდეში,  
არწივს ფრთების გაშლა უნდა,  
ცა უნდა და ნუგეში.

მწვერვალების ზვერვა უნდა.  
ლაქეარდების თაყვანი.  
ყრმას სოსელოს დილა უნდა,  
ბაზალეთის აკვანი.

ბაზალეთის ტბა უნდა და წიწამურის ნუგეში,  
არწივს გავიძიება უნდა საქართველოს ბუდეში.  
საქართველო — ნუგეში,  
თავს ჩავიდებ უბეში,  
სიბერეშიც მეყვარები, როგორც სიჭაბუკეში.

არის უივილ-ხივილი,  
 ელურტული და გალობა.  
 ჩიტო—გვრიტი—მარგალიტი  
 გალობს ვიწრო წყალობას.  
 ჩიტებივით ფართხალებენ  
 ჩიტისხელა გულეები.  
 მზემ მალლიდან ჩამობელტა  
 ჩვენი სიხარულები.  
 იქით ივრის ჭალებია,  
 ჭალებს იქით იორი,  
 ჩიტო—გვრიტი—მარგალიტო.  
 ჩიტო,  
 ჩიტო,  
 ჩიორა!  
 მშვიდობა შენს შემოფრენას.  
 მშვიდობა შენს გალობას.  
 საქართველოს მიწა-წყალი  
 არ მოგაკლებს წყალობას.  
 ჭიკ-ჭიკ!  
 ჭიკ-ჭიკ!  
 ტია-ტია!  
 გუ-გუ!  
 გუ-გუ! გუგული!  
 საქართველოს მწვანე ტყიანს  
 დიდხანს მინდა ვუყურო.  
 იქით მწვანე სერებია,  
 ფერიების წყალობა.  
 ბულბულს მოუსურვებია  
 ჩემს ბაღჩაში გალობა.  
 ჭიკ-ჭიკ!  
 ჭიკ-ჭიკ!  
 ტია-ტია!  
 ღამე გაუათენოთ!  
 აი თითი!  
 აი ია!  
 აი საქართველო!  
 შაშვი.

მწყერი,  
 ქედანი.  
 ტყე-ჩიტების ტყვე  
 და ბიბლიის დედანი  
 საქართველოს ტყე.  
 ჭვანის წყალში კალმახი,  
 გორას ტყეში ქორი.  
 მაისში მაქვს ნანახი  
 სამყურაზე თქორი.  
 შავი შაშვის ჭახჭახი  
 და გავარდნა მეხის,  
 წალდითა და ნაჯახით  
 ტყეში წასვლა გლეხის.  
 მოთელავს და მოკაფავს  
 წიფელას და თელას,  
 ხოხობი და კაკაბი.  
 სკვინჩა. გულყვითელა, —  
 ელურტულებენ. გალობენ,  
 — კაფე-თესე, გლეხო!  
 ქარს შორს მიაქვს იმათი  
 ჟრიამულის ექო.  
 კარჩხალი და თეთრობი,  
 ჩხიკვები და ჩხართვები,  
 ბავშვობიდან ვეტრფოდი,  
 მაგრამ თავს ვერ ვართმევდი.  
 ფრინველების გალობას  
 ვთვლიდი ღვთიურ ჰანგად.  
 ბავშვობა და ჰანგები  
 ერთად დამეკარგა.  
 დავკარგე და ვიპოვე  
 (ცას ვეწიე მაშინ)  
 ტოროლების სტვენაში.  
 ბულბულების ხმაში.  
 ბუნებამ გვიწყალობა  
 და გვასმინა ყველას,  
 ფრინველების გალობა  
 და უკვდავი ენა.

თბაკ სანიტორი

## მ ზ მ ი ა ნ მ ბ ა

ალეი ჯანიბე

„ეს მოთხრობა ყმაწვილკაცობაში დაეწერე, მაგრამ გამოქვეყნება მაშინ ვერ გავბედე. ახლა იგი ცხონებულ დედაჩემის წიგნებში ვიპოვე, წავიკითხე და მომეწონა. არ ვიცი რატომ არ მომწონდა წინათ და მივიგდე სადღაც. არც ის ვიცი, რატომ მომწონს ახლა. ალბათ, იმიტომ, რომ ის მაგონებს ჩემს საყვარელ დედას... რაც არ უნდა იყოს, ძვირფასო ჯანიბე, ეს მოთხრობა ახლა ჩემთვის ყველაზე ძვირფასია და მას თქვენ გიძღვნიო.“

აი რა მიაბზო ახმედ სეჰრან ბეიმ.

მაშინ მე ოცი წლისა ვიყავი. მამაჩემი, რომელსაც ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებაში დიდი თანამდებობა ეჭირა, აღშფოთებული იყო ჩემი აღვირახსნილი ცხოვრებით. იგი მოეთათბირა დედაჩემს და ხანში შესულ მამიდას. ერთხმად გადაწყვიტეს, გამაგზავნონ სამუშაოდ სადმე პროვინციაში. იანის ვილაეთის ინსპექტორი მამაჩემის მეგობარი იყო. მე ამ ვილაეთის ერთ-ერთ უბანში უნდა წავსულიყავი, ფოსტის მოსამსახურის თანამდებობაზე.

— ძალიან გამხდარი ხარ, შვილო, წახვალ, ისე იქნები, როგორც კურორტზე... ქვეყანას გაიცნობ და დაისვენებ კიდევ, — სიყვარულით მითხრა დედამ.

— არსადაც არ წავალ, ვერ ეღიროებით ამას!

დედა მისხნიდა, როგორ იმოქმედა მამაზე ჩემმა ბოლო საქცეულმა.

თან მეფიცებოდა, მამაშენს რამდენიმე თვეში უკანვე დავაბრუნებო  
შენს თავსო.

მე სურვილი მქონდა მენახა ის ადგილები და ამიტომ დავემხრონენ  
— წავალ, მხოლოდ სამი თვით!

კარგი თანამდებობა, ჯამაგირი 450 ყურუში — ყოველივე ეს არ იყო  
ცუდი. მაგრამ სამი თვით როგორ განვმორებოდი ჩემს საყვარელ მხა-  
რულ სტამბულს, რომლის გულისთვისაც არსად არ წავსულვარ ამ ხუთი  
წლის მანძილზე... მომავონდა, როგორ სასიამოვნო და საინტერესო იყო  
მგზავრობა კრეტიდან, სადაც მამაჩემი მსახურობდა. მამის ბავშვი ვიყავი,  
ახლა კი კარგად ვავერთობი; პირველი ნავსადგური, სადაც შეეჩერდებით,  
სალონიკია, შემდეგ იზმირი, შეიძლება ბეირუთი, მერმე პირეი, ათენა,  
გავივლით პელოპონესს, პრევესს, გავჩერდებით იანინაში. აქედან კი გა-  
ვემგზავრები ჩემს სამუშაო ქალაქში. კარგი მოგზაურობაა, არა!

დადგა გამგზავრების დღეც. მასსოვს ოჯახთან დროებითი გამოთხო-  
ვების ცერემონიალი და მამაჩემის დარიგებანი... ავირბინე ტრაპი და აღ-  
მოვჩნდი გემბანზე. სალონიკში გავჩერდით ორი დღე. ორი ღამე გავატა-  
რე მხიარულ და ხმაურთან დაწესებულებაში, იზმირშიც ორ დღეს უნდა  
გავჩერდეთ, მაგრამ გადაწყვეტილი მაქვს, მოვეშვა ყოველგვარ ვართო-  
ბას. ამას ათენშიც მოვესწრები. არ მინდოდა გემზე დარჩენა ღამით. რო-  
გორც ამას ჩემი თანამგზავრი ჩალმიანი მუსულმანები აკეთებდნენ, და  
ავიღე ნომერი ერთ-ერთ სასტუმროში.

ვახშობისას შევნიშნე, რომ ჩემს გვერდით მაგიდასთან მჯდომი  
წვერიანი მამაკაცი ცნობისმოყვარეობით მათვალისწინებდა. ამას მე არა-  
ვითარი ყურადღება არ მივაქციე. ბოლოს მან მკითხა სახელი, დაინტე-  
რესდა ვინ იყო მამაჩემი, გამოწვდილი მსუქანი თითები ტუჩებთან მო-  
მადლო და მითხრა:

— ემთხვევ ბიძის ხელს...

შევეცადე გამეხსენებინა რა ვიცოდი ამ კაცის შესახებ. იგი ჩვენი  
საელჩოს მდივანი იყო ირანში. ბავშვობაში მასწავლიდა სპარსულ ენას.  
წელიწადში ერთხელ მუშარების თვეში ის ავზავნიდა მისალოც წერილებს.  
ძალიან სასიამოვნო შეხვედრაა.

ბიძაჩემი სტამბულში ბრუნდებოდა. გამომკითხა როგორ არიან ჩემი  
დედ-მამა. გვიან ღამით დავბრუნდი სასტუმროში. ბიძაჩემის ოთახი პირ-  
ველ სართულზე იყო.

— ღმერთი იყოს შენი მფარველი, შვილო ჩემო! დილით ადრე გა-  
მავიძე.

ქეიფისა და დროსტარების ნაცვლად ღმერთმა ასეთი შეხვედრით  
დამასაჩუქრა. იმედი მქონდა, სტამბულისაკენ დილის გემით მიმავალი  
ბიძაჩემი ორდერ სიტყვას შემაწევდა მშობლებთან.

მეორე დღით გვიან გავიღვიძე. სწრაფად ჩავიცვი და ჩავედი  
კვით. ბიძაჩემი უკვე ჩაცმული იყო და ფესს წმენდა.

— დილა მშვიდობისა! გამაცილებ დღეს?

— ვამაყობ ასეთი პატივით, ჩემო ბატონო! — ვუთხარა მე.  
ყურადღება მიიპყრო უცნაურმა ნივთმა, რომელიც ნოსზე იდო. რა არის?  
გავიფიქრე მე, თეთრი ბეწვი თუ პატარა ლეკვი. მივუახლოვდი, ორი პა-  
ტარა შავი თვალი მიყურებდა. ეს არც ძალლი იყო და არც კატა.

— რა ლამაზია! — წამოვიძახე ჩემდაუნებურად.

— მართლაც ლამაზია, — მითხრა ბიძაჩემმა. — ეს მაიმუნი ერთმა  
ინდოელმა ვაჭარმა მაჩუქა, როდესაც თავრიზიდან მოვდიოდი. დამენანა  
მისი გადაადება ან გაყიდვა.

— როგორ, ეს მაიმუნია? თეთრი მაიმუნი არასდროს არ მინახავს.

— ეს იშვიათი ჯიშისაა, რომელიც მხოლოდ ინდოეთში გვხვდება.  
ისინი ძალიან ჭკვიანები არიან, — მითხრა ბიძაჩემმა და გადაუსვა ხელი  
თეთრ, ფაფუკ ბეწვებს. — ვიცი ძალიან მოგეწონა და შენი იყოს. მი-  
ჩუქნია.

\* \* \*

რამდენიმე საათის შემდეგ ბიძაჩემი სტამბულში წავიდა და მე და-  
ვრჩი ჩემს მაიმუნთან ერთად. ის მართლაც არაჩვეულებრივად ჭკვიანი იყო.  
არ ჰქონდა არასასიამოვნო ჩვევები, რასაც მისი ჯილაგი აჩუღავებდა  
ხოლმე. ხელში რომ ავიყვანე, პირველად წყნარად იყო და სიამოვნებ-  
საგან კატასავით კრუსუნებდა.

ჩვენ გემბანზე ავედით, მგზავრები ცნობისმოყვარეობით და გაკვირ-  
ვებით აკვირდებოდნენ ჩემს ლამაზ მაიმუნს, არავის არ ენახა ასეთი თე-  
თრი, ფაფუკი, ლამაზი მაიმუნი.

იზმირის შემდეგ პირეში გავჩერდით. ვცადე გამეყიდა ჩემი მაიმუ-  
ნი, მაგრამ საბერძნეთი ღარიბი ქვეყანა აღმოჩნდა, არავინ არ მომცა ათ  
ლირაზე მეტი. ჩემი მგზავრობა მთავრდებოდა. ბოლოს მივედი იმ ადგი-  
ლას, სადაც უნდა მემსახურა ფოსტა-ტელეგრაფში. ძალიან სასიამოვნო  
ადგილი იყო, ყველგან ბაღები და ვაზის ხეივანები, მწვანე ველები და  
მთები. ჩემი კანტორის მალალი ფანჯრებიდან სასიამოვნო ნიავი შემოდო-  
ოდა. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ბერძნები იყვნენ. პირველ დღეებში  
ადმინისტრაციული საკითხების მოგვარებას მოვუწიდი, ვიცოდი აქ კარგა  
ხანს მომიწევდა ყოფნა და არა „სამი თვით“, როგორც ამას დედაჩემი  
მეუბნებოდა. ამიტომ გადავწყვიტე შემექმნა ჩემთვის ხელსაყრელი პირო-  
ბები. დავასუფთავებინე სამუშაო ოთახი და სავარძელზე ახალი ნაჭერი  
გადავაკვრევი. ამ საკითხების მოგვარების შემდეგ მშობლებს წერილი

გავუგზავნე, და შევუდექი ჩემს საქმიანობას. ტელეგრაფისტი ესალმებოდნენ ჩემს ჩამოსვლას.



— კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა. — გვითხულობდი დის ლენტეზე.

— მოხარული ვარ გაცნობოთ, — ვპასუხობდი მე და, რომ დამეღწია თავი, დავძენდი: — ცოტა შეუძლოდა ვარ!

ტელეგრაფისტის ცხოვრება სულ სხვა სამყაროა, ზიხარ მარტოდ აპარატთან და გაქვს კავშირი ყველა კოლეგასთან, რომელიც შენგან შორს არის. პირველად გვეითხებიან რა გქვია, რამდენი წლისა ხარ, ცოლიანი თუ უცოლო. რამდენიმე დღის შემდეგ ეს უხილავი კოლეგები თავს ნებას აძლევენ და გვეითხებიან ისეთ რაიმეს, რასაც შენი ბავშვობის მეგობარიც კი თავს არიდებდა. ჩემთვის ცნობილი იყო ეს ამბავი და მათ ისეთი ტონით ვპასუხობდი, რომ ვერ ბედავდნენ ზედმეტი შეკითხვა მოეცათ. ფანჯარაში ზღაპრული ბუნება ჩანდა. ჯანმრთელობა უკვე უმჯობესდებოდა. ძილის წამალს იშვიათად ვღებულობდი.

თეთრი მაიმუნი ჩემი მეგობარი და თანაშემწე იყო, მე თუ მეძინა და ტელეგრაფის აპარატი დარეკავდა, ის მალვობდა.

ერთხელ, სადილის შემდეგ, დავიძინე სავარძელში. რაღაც შეგობნებამ გამომადგინა. ვიღაც ფრთხილად მისვამდა ხელს თმაზე. ნელ-ნელა გავახილე თვალი და დავინახე ჩემი მაიმუნი. მე ისევ მივეცი თავი ძილს. როდესაც გავიღვიძე, ის სავარძლის სახელურზე იჯდა, სახეში შემომქცეოდა. ასე გრძელდებოდა ყოველდღე.

ერთ დღით ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა ბერძენი გოგონა და მთხოვა მშობლებისათვის გამეგზავნა დეპეშა, რომ მან კარგად იმოგზაურა. მამამისი საბაყლოს მფლობელი იყო ათენში, თვითონ კი აქ დეიდასთან ჩამოვიდა დასასვენებლად. მომეჩვენა, რომ ამ გოგოს მოვეწონე. დიდი ხნის საუბრის შემდეგ, ჩვენ როგორც მეგობრები, დროებით გამოვეთხოვეთ ერთმანეთს.

ჩვენი მეგობრობა დღითიდღე მტკიცდებოდა. საათობით ვსეირნობდით ჩემი კანტორის წინ. გოგონას ელენე ტეოტორი ერქვა. ათენში ფრანგული ენა ესწავლა.

ერთხელ, ნაშუადღევს, ვსეირნობდით ხეივანში და ყველა წვრილმანზე ვსაუბრობდით. უცებ დავინახე, ჩვენსკენ თეთრი მაიმუნი მობოდა.

— რატომ მორბის? — მკითხა მან.

— არ ვიცი, — ვუპასუხე, — ვნახოთ როგორ მოიქცევა.

ჩემს მაიმუნს ჰქონდა სპეციფიკური ხმა, რომელსაც ტელეგრაფის სიგნალის დროს გამოსცემდა. ახლაც ამ ხმით ხრიალებდა.

— მაპატიე ქალიშვილო, — გუთხარი მე, — ალბათ დეპეშა მოვიდა და უნდა მივიღო.

გავიქეცი კანტორისაკენ, მაიმუნი არ წამომყვია, არავითარი რეპრეზენტაცია არც ზარის ხმა არ ისმოდა. „ალბათ, მაიმუნმა მომატყუა“, გავიფიქრე და უკან დავბრუნდი. უცბად რაღაც კვილი მომესმა, შორიდან ჩემს გოგონას სახე ხელებით დაეფარა. თავქუდმოგლეჩილი გავვარდი. გაოცებულმა ვკითხე, რაში იყო საქმე.

— მაიმუნმა სახე დამიკაწრა! — მითხრა მან. მოვიყვანე ექიმი. საბედნიეროდ განაკაწრი არ იყო სერიოზული.

მე მკაცრად გავუჯავრდი მაიმუნს, იგი ჩემს ოთახში იჯდა, თვალები უბრწყინავდა. წავაკლე კისერში ხელი და ოთახიდან გავაგდე. მიწას დაეხეთქა და ისეთი საწყალი თვალებით შემომხედა, რომ მისი დავიწყება არ შემიძლია.

მთელი ღამე მესმოდა, როგორ ფხაჭნიდა კარებს, მეძახდა, კენესოდა, კრუსუნებდა, მაგრამ კარები არ გავუღე. მეორე დღეს აღარ გამოჩნდა. გავიდა სამი დღე და მაინც არ ჩანს. მეოთხე დღეს ვილაც გლეხმა მომყვანა ცოცხალ-მკვდარი.

— მდინარესთან ვიპოვე კლდის პირას, — მითხრა მან.

მისი თეთრი, ფაფუკი ბეწვი გაჭუჭყიანებული იყო. თვითონ მოთენთილი, საცოდავად იყურებოდა, ეტყობა, მშიერი იყო. მისი უსაყვარლესი ნიგოზი მივეცი, მაგრამ ზედაც არ შეუხედავს. თვალები დახუჭული ჰქონდა. ფრთხილად შეირხა, რაღაცნაირი გულისმომკვლელი კრუსუნი გამოსცა. მე მომჩვენა, რომ ის ტიროდა. მინდოდა, ძალად მეჭმია რამე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. არც ჰამდა და არც სვამდა. ათი დღის შემდეგ მოკვდა. შიმშილით თავი მოიკლა. პატარა, ღამაზმა დედალმა მაიმუნმა იეჭვიანა, რომ გავუჯავრდი, ვერ აიტანა შეურაცხყოფა და თავი მოიკლა შიმშილით. მისი უძრავი თათები რამდენიმე ხნის წინ თმებზე მელურსებოდა. გული სინანულით ამევსო ამ პატარა მხეცის მიმართ და მინდოდა მეტირა. მაიმუნს მართლაც რომ ვუყვარდი.

\* \* \*

ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, გულში ჩამრჩა სასიამოვნო და სამწუხარო მოგონება ამ ამბისა. ჩემთვის ახლაც უცხოა ეჭვიანობის გრძნობა. როდესაც ვიგონებ ჩემს თეთრ მაიმუნს, გულში რაღაც სინანული ამიტოკდება.

რამდენიმე თავისებურება ცხოველებში უფრო მკვეთრად გამოასახება, ვიდრე ადამიანებში: ჭიუტობა — ვირებში, ერთგულება — ძაღლებში, შურიანობა — კატებში..

შეიძლება ეჭვიანობაც ასეთი თავისებურება იყოს.

თურქულიდან თარგმნა ოთარ გობუშაძემ

აკაკი შონია

## ს ა რ ვ ე თ ი ს ს ა ნ თ ე ლ ი

სულეიმან დემირჩი ბურსის ციხეში მოხვდა, ბიძაშვილებს კი სერფეთში ეგულებოდათ. სულ არ უცდია თავის მართლება არც პროკურორთან და არც სასამართლოში. ნერვებმა უმტყუნა, თაღარს გადააბიჯა, სახლგარეშე კანონის დამცველს, იმ წოპწობა იუზბაშს ურიგო სიტყვა აკადრა. არ უნდა ექნა, მაგრამ ახლა რაღა დროსია. გაბრაზებული კაცის სიტყვას რყვია ვერ დაეწევა, გაფრენილი ჩიტი ხომ არ არის, ძირს ჩამოაგდო.

უსიტყვოდ ვერ შეელია მემლექეთის ნობათებს. უფრო იმან დასწყვიტა გული, ნაირფერად დასურათებულმა ბაღვების ქითაბმა. ასკერებმა დაკვირვებით ფურცლეს იგი, დიდხანს უკირკიტეს და ჭკუაში დაუჯდათ, ოღონდ სხვა ენაზე რომ იყო დაწერილი, ის გაუკვირდათ—მაჰმადის კაცს სხვა ენაზე ნათქვამი რაღა უნდაო. გულჯიბეშიც რომ იგივე ანბანი უნახეს ლათინურთან ერთად, თვალები გადმოკარკლეს, აქ რაღაც ამბავიაო...

ციხის საკანში სიზმრებმა დაჭამეს სულეიმან დემირჩი. პირველ დამესვე ბევრი იხეტილა მთვარის ბორცვებზე და დაღლილ-დაქანცული დაეშვა ძირს. მაშინვე ბაბაი დაადგა თავზე. იგი არც ჯეჰენემიდან მოსულს ჰგავდა და არც ჯენეთის ბინადარს. ისევე ისე იყო, უბრალოდ, გლეხურად-ხორკლიანი თითებით თმა გადაფვარცხნა შვილს, ნიკაპზე ხელი ამოსდო, თავი გადაუწია და თვალეში ჩახედა, საკნის სარკმლიდან შემოსული მთვარის შუქზე ფერმკრთალი და დასუსტებული ეჩვენა.

— სულია! — წაიჩურჩულა მამამ ისე, რომ ციხის კედლებსა და ჭერს არ მისწვდენოდა. იქნებ არც კი ამოუღია ხმა და ეს სახელი შვილს მოესმა, ასე უნდოდა და იმიტომ.

სულიას სიმწრის ოფლი ჩამოსტიროდა სახეზე, ენა დაება, მამის საცოდაობით დაიწვა. იგი შვილის წინ ქედმოხრილი იდგა, დარცხვენილი და გაფითრებული; შენდობას თუ ითხოვდა.

ბეჩავ მუჰაჯირს ალბათ დარდი მოეძალა, მემლექეთიდან სულოას და-  
ბრუნების შემდეგ უფრო იგრძნო, რომ შვილს თაჯისი სოფელ-ქვეყანა  
დაუკარგა.



— ჩ-ჩუუუ... — ვილაცას აჩუმებს სულია. რალა დროს ძველი ანგარი-  
შებია, დახურეთ ძველი დევთერი, არ დააფრთხოთ ბაბაი, იყოს აქ, თუნ-  
დაც ერთი ღამე გაათიოს მასთან ერთად ამ საკანში...

ამბობენ, როცა შვილს ძალიან უჭირს, მაშინ გამოეცხადებო მშობ-  
ლის აჩრდილი. ამაზე დიდი ვაჭირვება არ დასდგომია სულიას. ამგვარი  
მარტოობაც არ განუცდია, არც ამისთანა უსაძველო კედელი უნახავს.  
სარკმელი კარგად აჩენს ციხის კედლის სისქეს. ბინა-შენობის ოთხ კე-  
დელს რატომ არ ეყოფა ამ ერთი კედლის სისქე! სარკმლიდან თუ შემოა-  
ღწია ბაბაიმ, თორემ კედელს რას უზამდა.

თუ დაჰკვირებიხართ, საღამოყამის მოახლოებისას, როცა მზის ნაკ-  
ვალევი ჯერ ისევ ჩანს, მაგრამ თანდათან იცრიცება და უსახურდება, —  
ხეთა ჩრდილები როგორ კარგავენ ფორმას, როგორ განზავდებიან ხოლმე  
ბინდში. აი, ასე გაუჩინარდა სულიას ბაბაი.

— ააა!!! — თითქოს უზომოდ დატვირთული, თავაწყვეტილი ავტო-  
მანქანის საბურავი გასკდა. ისე დაალო მაგრად მოკუმული პირი სულიამ  
და შემზარავი ხმა გამოსცა. ზეზე წამოიჭრა, მიიხედ-მოიხედა, გონს მოე-  
გო. ღამეულ მდუმარებაში საკუთარი გულის ძვერა ესმოდა მხოლოდ.  
თვალეებზე ცრემლი მოადგა, მის ფშრუჟუნს გარეთაც გაიგონებდნენ, მა-  
გრამ არავენ იყო გამგონე. ღამე ებურა ყველაფერს.

საწოლზე ჩამოჯდა. გული კი სთხოვდა წამოწოლასა და სხეულის მო-  
სვენებას, მაგრამ გონება ეურჩებოდა, ძილს ებრძოდა სიზმრების შიშით.  
შაბათი იყო და დიდი ნენეს ნათქვამი გაახსენდა: შაბათის სიზმარს ჭკუა  
არ ეკითხება, მიცვალებულმა ზურგზეც რომ მოგივიდოს, იმ ქვეყანაში  
ვერ წაგიყვანსო. ზურგზე თუ იწეკი და ხერხემალი გიხურდა, მაშინ ხომ  
სულ არაფერია, გინდა ჯუმა დღე იყოსო.

სულია ზის და გათენებას ელოდება. წამდაუწუმ გაჰყურებს სარკ-  
მელს. ახლა უფრო ირწმუნა, რომ ყველაზე დიდი სასწაული ბუნებისა  
მზის ამოსვლა და ჩასვლაა. რაც იგი ამქვეყნად ცხოვრობს, რამდენი დღე-  
ღამე გაუცილებია და გადაუყრია საღდაც, მაგრამ ერთხელაც არ დაფიქ-  
რებულა — საიდან მოდის დრო, ან საით მიდის ასე გაუთავებლად. ახლა  
კი ფიქრობს ამაზე იმიტომ, რომ დრო კამეჩივით ჩაწვა და აღარ იძვრის.  
მაინც რა უსაშველო ყოფილა პირველი ღამე ციხეში. ნეტავი თავისი ფე-  
ხით არ მოსულიყო. ეს მოსახდელი ვალი შეეძლო ცოტა მოგვიანებით  
მოეხადა. ფარა რომ ჰქონოდა, სულაც აიცდენდა ციხეში ჯდომას. კანონმა  
თავისი მსახურის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის შეიძლება ჯარიმაც

გაკმაროს. ყველგან ფარაა ძიავ საქირო. არა გაქვს? ა, ციხე, შენი ფეხი მიუტუნკულდი.

ფუხარად არ მიმიღონო, სულია კობტად ჩაცმული გამოცხადდა ხეში. ის შავი კოსტუმი ეცვა, რომლითაც აჭარა, თბილისი და მოიარა. ქუდი არც ახლა ეხურა. პიჯაკის ჯიბიდან სასამართლოს დადგენილება და მომართვა ამოიღო. ზედ კეწკეწი ბაშფორთი დაადო და მისაღებოთაში მორიგეს გადასცა. როგორც წესი და რიგია, ისე გააფორმეს ყველაფერი. აქ წესის დარღვევა თურმე არ შეიძლება. უსათუოდ უნდა გაიარო სამედიცინო შემოწმება. ციხეს ვირის აბანოს კი ეძახიან, მაგრამ ნამდვილი აბანოც აქვს. იქ ცხელ ორთქლში გაგატარებენ და ცოდვებისაგან თუ არა, ჭუჭყისგან მაინც განიწმინდები. მერე ტუსადის ფორმას ჩაგაცმევენ. სხვანაირად არ შეიძლება. ყველა პატიმარი ამ ფორმას ატარებს, რომ არავინ იყოს გამოჩეხული, აქ მაინც სუფევდეს თანასწორობა, საზოგადოების პატიოსანი წრიდან შემთხვევით გასულ ადამიანთა შორის.

— ცოდვებისაგანო. — გაიმეორა პატიმარმა ცოტა გვიან ვამოჭერილი სიტყვა. რა ცოდვები აქვს სულიას. მართალია, ერთხანს კი დასტოვა მაჰმადის მთვარე და აჭარაში ბიძაშვილებთან გაინავარდა, მაგრამ ალაჰი დიდია, იმან იცის პატივისადები მიზეზების გარჩევა და შეწყნარება. მოგზაურობასა და სტუმრობაში ნამაზი რომ გამოტოვა, ახლა აანაზღაურებს. ციხეში რა აქვს მეტი საქმე. რაც შეეხება წონიარისის ჩხავერს, თვით ფეილამბერიც აიღებდა მის ჭაშნიკს და მერე ვინ იცის კიდევ რას იზამდა. ნასწავლი ხალხი, ვისაც მუსლიმანთა საღვთო წიგნი ყურანი წაუკითხავს, ამბობს, რომ წინასწარმეტყველს ღვინის სმა არ აუკრძალავს. ეს კარგანის შემდეგ მოხდა თურმე. ლოთები დღეში ხუთჯერ ნამაზს ვერ აღავლენდნენ და ამიტომ მაჰმადის მიმდევრებმა ღვინოს ყადაღა დაადვეს, მისი დაღვევა ცოდვად ჩათვალეს. ბაბი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, წვეთი ღვინო არ ჩაუშვია პირში. თონეში შებრაწული გოჭი ხომ თვალით არ უნახავს. სულიამ კი ნახა ბათუმსა და აჭარის სოფლებში, თბილისსა და მცხეთაში, საგურამოში, თელავში... სადაც კი მიიწვიეს, ის ოხერი სუფრაზე ყველგან ფაშასავით იყო წამოჭიმული. გეგელიძეებში ბიძაშვილებმა სთხოვეს, ერთი ნაჭერი აიღე, გემო ნახე, ჯერ ამას რძის მეტი არაფერი უჭამიაო. არ გაეკარა. ისინი კი შეპიწკინებულ კანს ისე ამტვრევდნენ, ძვლებს ისე ტკვირავდნენ, ღვთის შიში სულ არ ეტყობოდათ. სულია ფხალეულსა და ლობიოს ჭამდა, ხაშსა და ჰაშლამას, ინდაურის საცივს...

სარკელიდან მზის სხივმა შემოანათა და ფიქრის ძაფი გაუწყდა პატიმარს. წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და საშინელი სისუსტე იგრძნო. ახლა გაახსენდა, რომ ჯუმა დღის შემდეგ არაფერი უჭამია. თავს ძალა დაატანა, ლოგინი გაასწორა, ხელ-პირი დაიბანა, ფეხი დაისველა, სარკელთან მიდგა და დილის ლოცვა აღავლინა.



ალაპს დაჩოქილი კაცი უყვარს, ამა ქვეყნის ბატონ-პატრონებს კი დაოთხილი ურჩევნიათ, ადვილად მოაჯდებიან და აჭენებენ და უხეშობის ვიღრე სიქას არ გააცლიან. ბურსის ციხეს დღესაც ახსოვს თურქი კომუნისტი პოეტი ნაზიმ ჰიქმეთი, დუელში რომ გამოიწვია ალაპიცა და მუქთახორების საზოგადოებაც. იგი თორმეტი წელიწადი იჯდა აქ და ამ ციხეს საქვეყნოდ გაუთქვა სახელი. აქედან ისროდა ლექსების ნაღმებს. აქ ქალაქის ნაგლეგებისაგან მალულად შეადგინა საბჭოთა კავშირის ვერგრაფიული რუკა და მასზე ითვლიდა ჩვენი არმიის ნაბიჯებს. მის პატარა საკანშიც ისმოდა დიდი ომის სუნთქვა.

სულიამ იცის ის საკანი. საღამოხანს, როცა ციხის ეზოში გამოჰყავთ პატიმრები, მაშინ ურჩვენებენ ხოლმე ჩუმად, მალულად.

სულიამ ჰიქმეთის სახელი პირველად ბათუმში გაიგონა, მოსკოვში კი მეგზურმა სახლიც უჩვენა, სადაც იგი დიდხანს ცხოვრობდა სამშობლოდან დევნილი.

ნაზიმ ჰიქმეთმა მოსკოვს ახალი სამყაროს მექა უწოდა.

სულიამ ბავშვობიდან იცის, რომ მექა მუსლიმანთა სალოცავი ადგილია. ვინც ამ წმინდა ადგილს მოინახულებს, საპატიო წოდებას იმსახურებს: თუ სულეიმანი ჰქვია, ჰაჯი-სულეიმანს უხმობენ. ბაბაიც ოცნებობდა მექაში წასვლაზე, მაგრამ, ღმერთო შეგცოდე და, გეგელიძეების ძიწა უფრო ენატრებოდა. ვერავითარი სარწმუნოება ვერ წაშლის კაცის გულში მშობელი მიწის სიყვარულს. სულიასაც მიუწევდა გული წმინდა ადგილისაკენ, მაგრამ ბაბაის მიწამ გადასძალა.

ხომ გინახავთ ტბის მოკრიალებულ ზედაპირზე ნიავი რომ გადაიქროლებს და შეარხევს, ნაკეცებსა და ჭავლებს გააჩენს; სწორედ ისე გადაუვლის ღიმილი სულიას სახეს, როცა გეგელიძეებში, ბათუმსა და თბილისში, მოსკოვში გატარებულ დღეებს იხსენებს. ის დღეები კი სულ თვალწინ უდგას და საკანის უქმურს ავიწყებს...

აი, ბაბაის კბილა გარეთა ბიძა მაჰმუდი, გეგელიძეებიდან დაბლა, ზღვისპირას ჩამოსახლებულა მახინჯაურში. ლამაზ ფერდობზე დიდი ორსართულიანი ქვეითკირის სახლი აუშენებია. შორიდან რომ გაუხედავ. მარტო სახურავი ჩანს, წითელი კრამიტი, ირგვლივ კი მწვანე ჩარჩო აკრავს. დიდებული ბაღი აქვს, ვენახიც. ყურძენს გვიან შემოდგომაზე კრეფს, კარგად რომ დამაქრდება, სულ კაკალ-კაკალ არჩევს, ასუფთავებს და თავანკარა ღვინოს აყენებს. ჭაჭას მეზობელს აძლევს, მაგრამ შთლად არ შეარგებს; რომ გაუბრაზდება, პირში მიახლის — ნაწყალობეკ ჭაჭაზე დაყენებული ღვინო ხარო. იგიც, ვითომ ხურდა იყოს, ისე მიუჯდება — მაგიტომაც არ ჩამდის ყელშიო, და გაუცინებს.

ახირებული მოხუცია. ღვინოს თავისი ხელით აყენებს, სვამს, ნაქა-  
ფსა და რამაზანს კი იცავს. ვიდრე მეუღლე ცოცხალი იყო, ორივე ერთ-  
გულად ასრულებდა მაჰმადის წესს. შვილები, შვილიშვილები, შვილიშვილები  
შვილები მუშაობენ, მსახურობენ, სწავლობენ, იმათ რა ერამაზანსა  
დარჩა მოხუცი მარტო. მაგრამ ახლა მგონი კი გაუღიმა ბედმა — სერვე-  
თიდან ჩამოსულს მოისვამს გვერდით. მისი ბაბაი და მაჰმუდი სულ ერთად  
იზრდებოდნენ. მთის კორტობებზე უყვარდათ ასვლა და იქიდან გადმოხე-  
დვა. სულიაც ძალიან ცოცხალი, მკვირცხლი კაცი ჩანს.

რამაზანის პირველ დღეს სტუმარ-მასპინძელს ლუკმა არ ჩაუდვიათ  
პირში. ერთი წვეთი წყალი არ დაუღვევიათ. მაჰმუდმა ექიმის გამოწერი-  
ლი წამალიც კი გვერდზე გადადო. კარგად რომ შეღამდა, მაშინ მიუსხდ-  
ნენ სუფრას. რძლებმა ჯერ აჩმაძაკარინა გამოუტანეს, ძალიან მაწიერა  
ხაჭაპური. მერე, ოხშივარი რომ ასდიოდა ისეთი ჰამლამა მიართვეს. ბო-  
ლოს ბაქლავა შესთავაზეს, მაგრამ ხელი არ უხლიათ, ღვინო ცოტა მეტი  
მოუვიდათ და მალე ჩაეძინა მოხუცს, წამლის დაღვევა დაავიწყდა. ამ  
წამლით კი უდგას სული.

მეორე დღეს ბიძაშვილები „ვოლგით“ მოვარდნენ და ბერიკაცს ზე-  
ლიდან გამოგლიჯეს სტუმარი. გზაში უსაყვედურეს — ამ ხათას რად გა-  
დაეკადე, გაგანია სიცხეში უქმელ-უსმელი რა გამყოფებსო. ხათრი ვერ  
გატეხა, საღამოს კვლავ დაბრუნდა მახინჯაურში. კვლავ გაიშალა ორი კა-  
ცის სუფრა. და ახლა ბიძაშვილების საყვედური ითქვა.

ბოლოს მაინც სიყვარული მოერია ბერიკაცს, სადღეგრძელო დალია,  
იმათ ვეყურბანეო. ღვინო რომ მოეკიდა. ცხოვრების სამდურავი გაურია  
— წუთისოფლის ქარმა და ხვატმა ისე გამომაშრო, სიკვდილი ბურღლა-  
სავით წამიღებსო.

ვის უნდა ძიავ ამ ლამაზი ქვეყნიდან წასვლა. არავინ მოგატყუოს.  
ერთი ნახე, საღამოჟამს, მზე რომ ჩადის, ჩრდილები როგორ ითრევენ  
ფეხს. კაციც აგრეა, შარშან, ამ დროს მაჰმუდსაც მოუკაკუნა სიკვდილმა.  
მაგრამ იძალა, იმფერი ხველა ასტეხა, ღმერთიც და ეშმაკიც ყურღბს  
იციობდნენ.

სულია სულგანაბული უსმენდა მაჰმუდ ბიძას.

ასე გაგრძელდა ერთხანს — დღისით ბიძაშვილებთან ნაყრდებოდა,  
ღამით კი რამაზანის ულუფას იღებდა.

იქნება ამ ცოდვამ უწია მაშინვე, როგორც კი მაჰმადის საუფლოს  
დაადგა ფეხი და იუზბაშს მწარედ წაუენა.

ვინ იცის!

სულია გლეხკაცია, მაგრამ წნელის ღობეში ჩათელილი ალაგე კი არ  
არის, ვინმემ ზედ გადაალაჯოს. იგი მარტო ალაპს უხრის ქედს და სჯერა,  
რომ ყველა კეთილ საქმეში მისი ხელი ურევია. ღვთის მსახურებთან, მო-

რედებით რომ ვთქვათ, ცოტა უკაცრავად არის; რამდენი ხანია „ხოჯის ვა-  
ხშამი“ არ გადაუხდია, არც ფიორე-ბაირამის ფული დაუდვია, დიდ ბი-  
რამობისთვის ყურბანი არ დაუკლავს. ბაირამი იმისია, ვინც რამხანავეს-  
რულვებს. რაც ბაბაი აღარ არის, სულიას ოჯახში რამაზანი რა  
იციან. მაზინჯაურში მაჰმუდ ბიძას დასდო ხათრი...

მეჩეთშიაც ბიძას გაჰყვა. რკინის კარებს რომ მიადგნენ, ბერიკაცმა  
თავი დასწია და ისე შევიდა ეზოში. სულიამ ახლა შენიშნა, წინ მიმავალს  
მხრებამდე სწვდებოდა. ხოჯა გამოჩნდა. მაჰმუდმა სტუმარი წარუდგინა  
და ხელით ანიშნა, იქიდან არისო. ხოჯა მუსლიმანური წესით მიესალმა.  
მაგრამ გაკვირვება ვერ დამალა: მეჩეთში თავშიშველი მლოცველი შემო-  
ვიდა და ისიც იქიდან ჩამოსული!

სულია არ დაიბნა, თვალი გაუსწორა ალაჰის მსახურს: ახლა იქ ასეთა:  
აქ დავა არ შეიძლება. იქიდან ჩამოსულმა უკეთ იცის. ხოჯამ უხერ-  
ხულობა იგრძნო.

სულიას გუნებაში ეცინება. ვინ უყურებს ახლა ქუდს ან თავს.. ისტა-  
მბულის დიდ სალოცავში ძუძუებგადმოყრილი დიაცები შედიან. ზოგს  
ძვირფასთვლებიანი ბაჯალლო ოქრო ისე უბრწყინავს მკერდზე, ვერ გაარ-  
ჩევ — სამკაულია თუ ქრისტეს ჯვარი. ჯინსიანი. თმამოშვებული ყმაწუ-  
ლები ხომ სარნაყლაპივით დგანან და ევედრებიან უფალს.

კაცმა რომ თქვას, სულიამ რატომ უნდა დამალოს მაღალ შუბლზე  
დაყრილი ოქროსფერი ხუჭუჭი თმები. ძალიან უხდება მის წითურ სახეს.  
აღერ ციხეშიც უქუდოდ მოვიდა, მაგრამ რომელმა ჩიტმა დაასკინტლა.

\* \* \*

ვიწრო, უსწორმასწორო ქუჩებით ულუჯამესაკენ ისწრაფვის უქუდო  
კაცი. აჩქარებული ნაბიჯებით მიჰყვება კვიპაროსებისა და ჩინარების ხე-  
ვნებს. სხვა დროსაც გაუვლია აქ. მაშინაც თეთრი, წითელსახურავიანი  
სახლები იყო ჩარიგებული. ახლა აქა-იქ სამი და ოთხსართულიანი შენო-  
ბები წყვეტს ამ რიგს. ეს ახალი სანატორიუმები და სასტუმროებია.

უქუდო კაცი უახლოვდება ულუჯამეს.

ბევრი მეჩეთია ბურსაში. მათი გუმბათები და ქათქათა მინარეთებ-  
საუკუნეების სიმაღლიდან დაჰყურებენ ქალაქს. ულუჯამე გამოირჩევა  
თავისი ოცი გუმბათით. ემილდჯამეც კარგი სანახავია, მაგრამ ულუჯ  
მაინც ვერ შეედრება.

უქუდო კაცმა დაღლა იგრძნო და ძელსკამზე ჩამოჯდა. მუხლებში  
თითქოს ჭიანჭველები ჩაუსახლდნენ, ფუსფუსებენ და მოსვენებას უკარ-  
გავენ. მთელი თვე უმოძრაოდ ყოფნა, ოთხ კედელს შორის, მიიმე სასჯე-  
ლი ყოფილა. რა იქნებოდა გარეთ გაეგდოთ, ყანაში, ნახირში... კოსტუმის

ჯიბიდან ქალაღდის ნაღლეჯს იღებს. ციხიდან მალულად გამოატანეს. რუ-  
რქული წერკა-კითხვა რომ იცოდეს, მაინც არ წაიკითხავს. რა მისო საჭეც  
ულუჯამეს იქით, მეხუთე სახლში ქალაქის ინჟინერს ენვერ იაუჯის ვენდ  
ჩააბაროს, ანდა მის ხანუმს ხატიჯეს. ამ ქალაღდის ნაღლეჯით ვენდ  
ხარობელი არ იქნება. ეს იცის და ფეხს ითრევს.

ქეშიშის მთას გაუხედა. ბურსა მის ძირშია გაშენებული და ხეხლის  
ბაღებს მიაქვს. ახლა ვერსად დაემალები შემოდგომის სურნელებას, ვერც  
ყვითელ ფერს. ძელსკამზე აღვის ფოთოლი დაეცა. სწორედ ეს დრო იყო,  
აქ ბაბაი რომ ჩამოიყვანა, ფეხებდახუთული. მაშინ გოგირდის აბანო მო-  
უხდა. მთელი ორი კვირა იყვნენ გურჯის ოჯახში. ერთი ღირა არ გადა-  
ახდევინა. მერე თავლით დატენილი ფიჭები ჩამოუტანა სერვეთიდან,  
ამაზეც შეწუხდა, რა საჭირო იყოვო. ქალაქგარეთ, ბურსის ველზე გურ-  
ჯების სოფლებია, ლამაზი ოდა-სახლები უდგათ და დოვლათიანი ბაღების  
პატრონებიც არიან. მაჰმუდ ბიძის სახლთან აბა რას მივლენ, ან მის ციტ-  
რუსების ბაღთან, მაგრამ თვალს კი ახარებენ.

ძელსკამზე კიდევ დაეცა აღვის ფოთოლი. უქუდო კაცმა, თითქოს  
ამას ელოდა, მყისვე დასტაცა ხელი, ცქაფად წამოდგა და ქუჩას გაუყუ-  
ადვილად მიაგნო იაუზის ბინას. პირველ სართულზე დააკაკუნა და მალე  
კარი გაიღო. ხმელ-ხმელი, უკვე შექალაქავეებული, სათნო სახის კაცა ვა-  
მოჩნდა. უბრალოდ ეცვა, საშინაოდ. გარეგნობაშიც ეტყობოდა, ნასწავ-  
ლი და წესიერი კაცი უნდა ყოფილიყო. მის დაღლილ თვალებში ჩამდგა-  
რი სევდა უფრო აძლიერებდა პირველ შთაბეჭდილებას.

— ენვერ იაუზი?

— დიახ.

— აი, ეს ციხიდან გამოატანეს. — და ისე გაუწოდა ქალაღდის ნაღ-  
ლეჯი, თითქოს ბოღიშს უხდიდა, უპატივეცემულობად ნუ ჩამომართმევთო.  
ცუღის მაუწყებელი იყო. კაცმა წაიკითხა და შეწუხდა.

— ხატიჯე! — გასძახა უმაღ.

— რა იყო? — ქართულად გამოეპასუხა ქალი.

სტუმარი გაოცდა.

ეს არ გამოჰპარვია მასპინძელს.

— გურჯიმსინ?! — ჩუმაღ შეაპარა ვითომ.

— ჰო.

მასპინძელმა ყურს არ დაუჯერა და ახლა ხმას აუწია.

— გურჯი ხართ?

— ჰო, ჰო, ქართველი... — ცოტა შეფერხებით თქვა, როგორც იმი  
ბავშვმა, პირველად რომ გატეხა ეგ სიტყვა.

ენვერ იაუზმა იცის, რომ „ქართველს“ იქ უხმობენ, საქრისტიანოში.

„გურჯს“ კი აქა, სამუსლიმანოში. ეს ასეა, მაგრამ ბურსის ციხეში საიდან მოხვდა, რა უნდოდა!

სულია მიუხვდა მასპინძელს და პასუხსაც არ აყოვნებდა, მაგრამ უფრო სობაში ქალმა გამოიხვდა: ეტყობოდა, რომ ქართულ სიტყვებს უხერხულად ყური და ქმარს უსაყვედურა, სტუმარს კარში რატომ აჩერებო. მისი მიამიტი ხმა გულის სიბოზს ამჟღავნებდა. ეს ხმა და ქალის გარეგნობა მაინც და მაინც არ იყო ერთმანეთს შეწყობილი. ტანად დაბალი ჩანდა, ჯმუხი, ღონიერი. ენვერ იაუზისთან კაცს მხრებზე შეისვამდა და ატარებდა ქვეყნის დასაღიერამდე. მზემოკიდებული სახე ამბობდა, რომ ბუნების წიაღში იყო გაზრდილი. თმაში ჭაღარა ჯერ არ გარეოდა და ესეც საღსალაშათად აჩენდა.

სულიას წამით თავისი მეუღლე დაუდგა თვალი. ფატყუმეც ასეთი ფეროვანი და ჯანიანი, მაგრამ ოდნავ მაღალი. მერიემი რომ გათხოვდა, ოჯახის სიმძიმე მარტო მას დააწვა. ქალის საქმეს ბიჭებს ხომ არ გააკეთებობს...

— მობრძანდით, ეფენდი, შინ შემობრძანდით! — დიასახლისის ხმამ კვლავ ბურსაში დააბრუნა სულია.

სასტუმრო ოთახში მარტო სურათები იქცევა ყურადღებას. ერთი მათგანი იცნო. მას გეგელიძეებიდან დაწყებული მოსკოვამდე ყველგან ხვდებოდა. აქ ბატის ფრთა უჭირავს ხელში და ქითაბს წერს.

ამ დალოცვილ ნენეს ენას რა ძალა აქვს. სულიამ ის იყო ფეხი შედგამანამდე უცნობ ოჯახში და მაშინვე გაშინაურდა. საწყენი ამბავი კი მოუტანა, მაგრამ არ დაიმჩნიეს.

ხატიჯეს ბიძაშვილი რეჯებაი თურმე პირველად არ მიუყვანიათ ბურსის ციხეში.

— ჩეთნიკობს. — სინანულით თქვა ქმარმა.

— მაგ ყურბანლიანს ვერაფერი შევასმინეთ, — დაუმატა ცოლმა.

სულიამ მაინც ვერ გაიგო, რას აშავებდა რეჯებაი, და ეს აგრძობინა მასპინძლებს.

— ბავშვობას რომ ეთხოვებოდა, ერთმა გამვლელმა თურქის ბიჭმა მაგრად სცემა. ეს ჩაიღო გულში და შემდეგ ვერაფრით ვერ ამოიგდო. სადაც კი მოიხელთებს გამომწვევი აღნაგობის თურქს, მოუთეთქვავს არ გაუშვებს. ამ ცემა-ბეგვაში ისე გაიწაფა, რომ ახლა ორი-სამი კაცი ვერ დაუდგება წინ. — დაახსიათა ენვერმა ცოლის ბიძაშვილი.

— მისი მუშტი რომ ნახოთ, შეგეშინდებთ, მჭედლის უროს გავს. ეს ურო ისე დააქვს, გეგონებთ, სადაც არის უნდა მოიქნოსო. თვალეში ხომ ჯერაც არ განელეზია რისხვა. — დაასრულა სურათი ხატიჯე ხანუმა.

სულია ახლა მიხვდა, რომ ციხიდან გამოსვლის ხანს ვინც ქალაღის

ნაგლეჯი ჩუმად ჩაუდო პიჯაკის ჯიბეში და მისამართი ჩაუკაცლა, ის არ იყო რეჯებაი. იმ კაცმა კარგი სიტყვა დააწია: აქ თითო აგური უკლებს და ღმერთმა ნუ ქნას, მისკენ გამოსახედი კიდეც დაგირჩეს. ნაციხარმა ლაზად შეიცნო იგი და მადლობის ნიშნად გაუღიმა, თუკი გონივრულში გაუყარა. ასე იცის კეთილმა ადამიანმა, შურიანი კი ფეხებში გიყურებს, როდის წაიბორძიკებს და დაეცემაო.

სულიას წარმოდგენა არა აქვს იმ საოცრებაზე, რასაც ადამიანის თავში აზრის ჩასახვა ჰქვია. რა ქნას, წერა-კითხვის უცოდინარი კაცია. და მაინც შენიშნა, რომ ამ ბოლო დროს მისი ჭკუა-გონება სულ სხვანაირად აეწყო. როცა აგერ ღობე-ყორის ამბავს უყვებიან, მაშინვე იქ, დიდ გზებზე ნანახ-გაგონილი ამოუტივტივდება თავში; აქ ვინმეს შეხვდება, იქაურს ამოუყენებს გვერდით; ან კიდეც წარსულიდან გამოანათებს მადლმოსილი სახე და ნათელ სვეტად დაადგება თავზე.

ასე მოხდა იაუზების ოჯახშიც.

გოგონა უკანა კარიდან შემოვიდა და უცხო კაცი რომ შენიშნა, დაიმორცხვა, პირზე ღიმილი გაუქრა, სტუმარს მოკრძალებით მიესალმა.

— ჩვენი ქალიშვილი თამარი. — წარმოადგინა ხატიჯე ხანუშმა.

ეს იყო სილამაზის, სინაზის, სიმშვიდის განსახიერება, ნამდვილი ანგელოზი, მაგრამ არა უსხეულო. ტანი უკვე აყვარა, დაემშვენებინა. დედას ამოუდგა გვერდით და ახლა უფრო ტანკენარი გამოჩნდა.

თამარის ხსენებაზე სულია ფიქრით ვარძიას მისწვდა, კლდეში გამოკვეთილ ქალაქს, მის სამლოცველოს, კედელზე გამოსახულ თამარ დედოფლის ღვთაებრივ სახეს. აქედან თბილისს გადასწვდა, ხელოვნების მუზეუმის სეიფს, სადაც თამარ მეფის სამკერდე ჯვარი ინახება, ძვირფასი თვლებით შემკობილი. შემდეგ აჭარისწყლის ხეობას დაუყვა და თამარის ხიდებს მიაპყრო მზერა. რვა საუკუნე გადიოდა ამ ხიდებზე და მაინც უძლებდა დროის სიმძიმეს.

სულიამაც გამოსცადა ეს ერთმალეანი ქვითკირის ხიდები, ზედ გაიარ-გამოიარა და გარემიდამოსაც მიმოავლო თვალი. მათი ბურჯები, თლილი ქვებით ნაგები თალები ბუნების ნამოქმედარსაც ამსგავსა, მასთან ისეა შერწყმული და შეხავსებული.

მოგონებებმა მიმართულება იცვალა, როცა მასპინძელმა ვაჟიშვილის სურათი გამოიტანა.

ივერია თამარზე ერთი წლით უფროსია. მამის ხელობა ამჯობინა და რზმირის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შევიდა. თამარი გაისად შეაღებს სამედიცინო ინსტიტუტის კარებს. უმაღლეს სასწავლებლებში არ არის დიდი თავის მტვრევა. გურჯები უფრო ეტანებიან და დერეფნებსა თუ აუდიტორიებში ხშირად მოჰკრავთ ყურს ქართულ ლაპარაკს. ასევე ლაზურსაც.

თამარი!

ივერია!

გულში ლოცვასავით იმეორებს სულია ორივე სახელს.  თბილისის სასტუმრო „ივერიაში“ გაგონილი სიტყვები: „ილხანე“ და „მხარე“ მხარეო“.

— ბაშფორთში თუ წერენ ამ სახელებს? — დაინტერესდა იგი.

— ძალუანი არ უნდოდათ, მაგრამ არ მოვეწვი, მივეძალე... — ისე ლაპარაკობს ენვერ იაუზი, თითქოს ერთი ომი მოეგოს.

მამას უხარია, რომ კარგ ქართველებს ზრდის. თუმცა ამას უფრო ნენეს გულსა და მეცადინეობას მიაწერს. ქალაქელი ქალი შეეძლო შეერთო, მაგრამ სოფელი არჩია; ენას ინახავს, მამა-ბაბათა წეს-ჩვეულებებს პატივს სცემს. ხატიჯეს სოფელი ბურსის გარეუბანშია, სიმონეთი ჰქვია. იქ აჭარის სიმონეთიდან გადმოხვეწილი მუჭაჯირები და მათი შთამომავლები ცხოვრობენ მეტწილად. სოფლის სახელიც იქიდან გადმოჰყვათ.

ხატიჯე ხანუმი და მისი ქალიშვილი სამზარეულოში ტრიალებენ და: დროდადრო თუ მოჰკრავენ ყურს მამაკაცების საუბარს.

სულიამ თავისი ბედდამწვარი ბაბაის ამბის მოყოლა რომ დაიწყო, საქმეს ხელი უშვეს, სმენად იქცნენ.

სერვეთელმა ოჯახიც ასხენა; ქალიშვილი გათხოვილიაო, საქორწინოდ შედერებულნი ბიჭები მყავსო.

სამზარეულოში დედა-შვილმა ერთმანეთს გაუღიმეს.

ოჯახის უფროსი სულიას მოგზაურობით დაინტერესდა.

— თურქეთის რამდენი მთავრობის მეთაური გადამდგარა ისე, რომ მოსკოვისთვის თვალიც არ მოუკრავს... — ხუმრობით თქვა და სტუმარს აგრძნობინა, ეს რა ბედი გწვევიაო.

სულიამ იცის, რომ იგი „განგების ღამეს“ არ არის დაბადებული და მაინც არ ამბობს ბედის სამდურავს. განა განგებამ არ გადმოუგდო ქალაქის ნაგლეგი, რომ ამ ოჯახში მოეტანა! ხომ შეიძლებოდა რამდენიმე წუთით ადრე გამოსულიყო ციხიდან და იმ ლაზს ასცდენოდა! არა, სულია განგებამ მოიყვანა აქ! ეს უფრო მაშინ იწამა, როცა ბაღვების ქითაბი, სწორედ ისეთი, საზღვარზე იუზბაშმა რომ გამოართვა, კარადიდან გამოიტანა და წინ დაუდვა ენვერ იაუზმა. მერე ერთი საკმაოდ დიდი დევაყერი მოაყოლა. გადაუფრცლა და იმ ადგილს დახედა, სადაც ეწერა „სოფელი სერვეთი“. შემდეგ ანბანის მიხედვით შედგენილ სიას გაადევნა თვალი და დემირჩების გვართან შეჩერდა. სულემანიდან დაწყებული ნაბოლარა ნადიმამდე ყველა ჩამოკაკლა. მერიემიც ამ სიაშია. მაშინ ჯერ კიდევ გაუთხოვარი ყოფილა.

სულია გაოცებული შეჰყურებს კაცს, რომელიც ისევ იქ იხედება.

დევთერში და ამოწმებს, ყველაფერი თუ მაქვსო სწორად ჩაწერილი.  
ორასი ათასზე მეტი ქართველია შეტანილი ამ დევთერში და ყველა  
ვინ იცის რამდენია აღურიცხავი. ენვერ იაუზს თავისი ფეხით ამგუსქმეოჯ  
ლილი ბევრი ქალაქი და სოფელი. სერვეთშიც არის ნამყოფი. მხოლოდ  
ისინი ჩაიწერა, ქართული რომ იციან. მშობლიური ენის არმცოდნე კაცი  
ერისთვის დაკარგულად მიიჩნია. ამ წესით აგრძელებს დაწყებულ საქმეს.  
ენვერ იაუზი პატივს სცემს თურქ ხალხს, მის ენას; არ იცის რა  
არის სხვა ერის სიძულვილი, მაგრამ ძალიან ცდილობს იმ სხვაში არ აი-  
დღვიბოს.

კაცი რაც მეტს ივლის წუთისოფლის გზებზე, უფრო შორდება  
ღმერთს. ასე მოუვიდა ენვერ იაუზს. ბევრი ქვეყანა მოიარა, ბევრი რამ  
ჩაახა, ენები შეისწავლა, რელიგიურ-ფილოსოფიურ სისტემებს გაეცნო და  
ალაჰის რწმენაც თანდათან განუქარდა. ახლა ისტამბულში რომ ჩადის,  
დიდ მეჩეთს კი არ ეწვევა, ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში შედის და  
მღვდლის, გვარად იაკობაშვილის, სასურველი სტუმარია. მან აჩუქა საბა  
ორბელიანის ლექსიკონი, 1881 წელს რაფიელ ერისთავის რედაქტორობით  
გამოცემული.

სამუშაო მაგიდაზე დევს ეს წიგნი. აქვეა გადაშლილი „ვეფხისტყაოს-  
ნის“ ქართული და ფრანგული გამოცემები. ენვერ იაუზი დიდ ჯაფას ეწე-  
ვა — თურქულ ენაზე თარგმნის რუსთაველის პოემას. სულიას წაუკითხა  
„იყო არაბეთს..“

საუბარი სუფრაზეც გაგრძელდა.

სულია ჭიჭვი ფხალის შეკამაღს მიეძალა და მიიძღა. დიდი ხვეწნის  
შემდეგ ცხვრის ყაურმა გადაიღო ცოტა. ბასტურმაზე ხელი არ უხლია.  
ღვინო დაიღია.

სადღეგრძელოები ითქვა.

ალაჰის სადიდებელი გამორჩათ!..

ღვინო რომ შეუჭდათ, ენვერ იაუზი ხუმრობის ხასიათზე მოვიდა.

— ძიავ, სათქმელად არ გაძლევ და ი ჩვენი ღმერთი დაბერდა,  
თვალს ვერ უწვდენს ამ ღუნია-ქვეყნის კიდეებს. სიმართლე თუ გინდა,  
ცენტრშიც მთლად დაწყობილი ვერა აქვს საქმეები...

დედა-შვილს ეტყობოდა, რომ პირველად არ ისმენდნენ ამ ხუმრობას.  
სულიას სახე მოელუშა.

მამამ თამარს გაუცინა, რაღაც ანიშნა. გოგონა მეორე ოთახში გავიდა  
და ფირზე ჩაწერილი სიმღერები ააუღერა.

სულიკო...

ციცინათელა..

ხასანბეგურა...

განდაგანა...

მღეროდა ქალაქ ბურსის გუნდი, ერთადერთი ქართული სიმღერისა და ცეკვის გუნდი მთელს თურქეთში.



— სერვეთში არ მღერიან. — ჩუმათ, თითქოს საკუთარ თავს ვაუმხილა სულიამ და გაახსენდა, იქ, გეგელიძეებში, მთაქორტოხზე დიდა და პატარა, ყველა რომ მღეროდა, უკრავდა, ცეკვავდა...

ავტობუსი მიჰქრის ბურსა-იზმითის გზაზე და მისდევს შემოდგომის ჩამავალ მზეს.

ჩვენი სულია არხეინად ზის ავტობუსში და „დედაენას“ ფურცლავს, ფერად სურათებს ათვალეირებს. ცალკე ფურცელი რომ გამოატანეს, ამასაც დასცქერის. იქ ქართული ანბანია დასტამბული და ყველა ასოს გვერდით უზის შესატყვისი ლათინური ასო.

დაბინდა. „დედაენა“ დაკეცა და ახლა იაუზების ოჯახს დაუბრუნდა. თამარს უღიმის. როგორ წყდება გული, რომ მერცხალივით ბიჭები უსწავლელი ყავს. ერთი რამ ვერ გაუგია — განათლებული ხალხი რატომ უნდა იყოს ურწმუნო...

— ალლაჰ ბილ ალლაჰ! — ღვინო ჯერ არ ჰქონდა გამონელებული და ცოტა ხმამალა დაუჩა ნათქვამი. წინ მსხდომებმა მოუხედეს.

ყურადღება არ მიუქცევია. იმაზე დაფიქრდა, ენვერ იაუზმა რომ უთხრა, ჩემი ოჯახის სარწმუნოება სამშობლოს და ქართული ენის საყდარულიაო.

ერთხანს კიდევ ფიქრობდა საკუთარ თავთან განმარტოებული. დაილა და ჩაეძინა.

სიზმარი ნახა.

ეს არ იყო შაბათის სიზმარი.

გეგელიძეებსა და სერვეტს შორის უზარმაზარი ხიდი გაიღო. ბურჯებო არ ჩანდა, მალეები კი ზეცას წვდებოდა. დროდადრო ხიდი ირყეოდა და ზოგი მალი იკარგებოდა სივრცეში. მერე ისევ გამოჩნდებოდა და გამოელებული ხიდის ჩრდილი ეცემოდა მთებსა და ველებს, ყანებსა და ბაღვენახებს. თავისუფლად მიმოჰქროდნენ მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები. არსად არ ჩანდა ის წოპწოპა იუზბაში...

სულიამ მანქანის გაჩერება იგრძნო და გამოეღვიძა.

ავტობუსი სერვეთში იდგა.

ძირს ჩამოვიდა.

სიზმრიდან ახალგამოსულმა ზევით აიხედა.

ცაზე კუზიანი მთვარე მიზოზინობდა.



ვერდიანი შაკაშიძე

# ბათუმის კომიტეტი მხარს უჭერდა ლენინს

(პარტიის მეორე ყრილობის 75 წლისთავის გამო)

ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან არსებობს, ამბობდა ვ. ი. ლენინი. ეს ახალი ტიპის პროლეტარული რევოლუციური პარტია შეიქმნა რსდმპ მეორე ყრილობაზე და ამაშია ამ ყრილობის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა 26 ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია. აქ წარმოდგენილ პარტიულ კომიტეტებს შორის იყო რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი, რომელიც 1903 წლის მარტის დამლევს შეიქმნა.

ვ. ი. ლენინი კარგად იცნობდა კავკასიის კავშირის საქმიანობას. მიმოწერა ჰქონდა მასთან, საკმაოდ იყო ინფორმირებული საქარ-

იველოში მუშათა მოძრაობის პირველი ნაბიჯების შესახებ და მას ფართოდ ეხმაურებოდა „ისკრის“ ფურცლებზე.

ლენინურ „ისკრაში“ დაიბეჭდა 50-ზე მეტი კორესპონდენცია, რომლებშიც გაშუქებული იყო საქართველოს პროლეტარიატის, მათ შორის ბათუმელ მუშათა ბრძოლის ღირსშესანიშნავი ამბები. პირველი კორესპონდენცია ბათუმიდან დაიბეჭდა 1902 წლის „ისკრის“ მე-16 ნომერში სათაურით — „ბათუმი. მუშათა მოძრაობა კავკასიაში“. მასში ძირითადად აღწერილია ბათუმის ორი დიდი საწარმოს — როტმილდისა და მანთაშევის ქარხნების მუშათა მძიმე მდგომარეობა, ახსნილია მისი მიზეზები.

ვ. ი. ლენინი შემდეგშიც იჩენ-

და ინტერესს ბათუმისადმი. 1904 წლის 29 ნოემბერს მან წერილი გაუგზავნა რსდმპ ბაქოს კომიტეტს. აი, ამ წერილის მინაწერი: „P. S. ბათუმში რა ხდება? როგორია იქ განწყობილება?“

რსდმპ მეორე ყრილობაზე ამიერკავკასიიდან მიწვეული იყო კავკასიის კავშირი თავისი ძირითადი ორგანიზაციების — თბილისის, ბაქოსა და ბათუმის კომიტეტების სახით. თითოეულ მათგანს ორი ხმა ჰქონდა, ყრილობაზე შეძლო გაეგზავნა ორი დელეგატი. რსდმპ ბათუმის კომიტეტის დელეგატად ყრილობაზე გაგზავნილი იყო ა. გ. ზურაბოვი, რომელიც გამოდიოდა ბეკოვის, ხან კიდევ რაშიდ-ბეკის პარტიული სახელით. მას ორი ხმა ჰქონდა.

ყრილობაზე თავი იჩინა განხეთქილებამ, რაც განაპირობა იმ დროს პარტიაში სხვადასხვა იდეური მიმდინარეობის არსებობამ.

ბათუმის კომიტეტის წარმომადგენელი ყველა ძირითად საკითხში მხარს უჭერდა მტკიცე ისკრელებს, ვ. ი. ლენინის წინადადებებსა და ფორმულირებებს. პარტიის პროგრამისა და წესდების თაობაზე გამართულ დისკუსიაში ბათუმის კომიტეტის წარმომადგენელმა უყოყმანოდ დაიჭირა ვ. ი. ლენინის პოზიცია.

ყრილობაზე მწვავე კამათი ვაიმართა ბუნდის ადგილის შესახებ პარტიაში. აქ აშკარად იჩინა თავი ორმა, ერთმანეთის საწინააღმდეგო ტენდენციამ — პროლეტარულმა ინტერნაციონალიზ-

მმა და წვრილბურჟუაზიულმა ნაციონალიზმმა.

ბათუმის კომიტეტის წარმომადგენელი დგენელი სიტყვით გამოვიდა მეექვსე სხდომაზე. მან გააკრიტიკა ბუნდის წარმომადგენლის მ. ვოლდმანის (ლიბერი) მოხსენებაში მოცემული მცდარი დებულებები. და მიუთითა, რომ სოციალ-დემოკრატია უნდა ესწრაფვოდეს ყველა ორგანიზაციის მტკიცედ გაერთიანებას და არა თავისი წესდებისა და პროგრამის მქონე ეროვნული ორგანიზაციების შექმნას.

რსდმპ მეორე ყრილობაზე წარდგენილი იყო მოხსენება ბათუმის კომიტეტის საქმიანობის შესახებ. მასში გაშუქებულია ბათუმის პროლეტარიატის ეკონომიკური და პოლიტიკური ბრძოლის მნიშვნელოვანი მომენტები, ის ღონისძიებები, რომლებსაც ადგილობრივი სოციალ-დემოკრატები ახორციელებდნენ მუშათა მასებში პოლიტიკური თვითშეგნების შეტანისა და რევოლუციური განწყობილების ზრდისათვის.

ბათუმში პირველი სოციალ-დემოკრატიული წრეების შექმნა მომხსენებელი უკავშირებს 1901 წელს. მას მხედველობაში აქვს რსდმპ თბილისის კომიტეტის გადაწყვეტილებით ბათუმში ი. ბ. სტალინის გამოგზავნა და სოციალ-დემოკრატიული წრეების ახალ ყაიდაზე შექმნა. სინამდვილეში აქ მარქსისტული წრეები მანამდეც არსებობდა და ბათუმელ მუშებს შორის საავიტაციო მუშაობაც სწარმოებდა. ჯერ კიდ-

დედ 1895 წელს რუსმა მარქსისტებმა ი. ლუზინმა და გ. ფრანკესკიმ ბათუმში მოაწყვეს მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული წრე, რომელმაც 1898 წლიდან იარსება. ამ წრემ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია მუშათა პოლიტიკური თვითშეგნების გაღვივებისათვის. მან შექმნა მუშათა სალარო, დასტამბა და გაავრცელა მარქსის ფოტოსურათი, პარველად ქართულ ენაზე თარგმნა და ჰექტოგრაფზე დაბეჭდა „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ცალკეული თავები. მოხსენებებში განსაკუთრებით ხაზგასმულია ბათუმის მუშების ერთსულღვნება და სოლიდარული განწყობილება, რაც ქარხნების მეპატრონეთა წინააღმდეგ ბრძოლაში ბევრჯერ გამხდარა მუშათა გამარჯვების საწინდარი.

მოხსენებებში ლაპარაკია იმ დონისძიებებზე, რომლებსაც ბათუმის კომიტეტი ახორციელებდა ხელმძღვანელ პარტიულ მუშაობაში პროლეტარული ელემენტების ჩაბმისათვის.

კომიტეტი ზრუნავდა, რომ მოემზადებინა მუშა-პროპაგანდისტები. ამ მიზნით უფრო განათლებული მუშებისათვის შექმნა მოწინავე წრე. აქ მომზადებული მუშები წარმატებით ართმევდნენ თავს პროპაგანდისტის რთულ მოვალეობას.

ბათუმის სოციალ-დემოკრატიული წრეების პროპაგანდისტებად მუშაობდნენ, როგორც ადგილობრივი, ისე თბილისიდან გა-

მოგზავნილი ამხანაგები, მაგარიშვინც შეინიშნებოდა პროპაგანდისტთა კადრების ნაკლებობის გამო.

პროპაგანდისტის ცოცხალი სიტყვის გარდა, სოციალიზმის იდეების ქადაგებისათვის, კომიტეტი ფართოდ იყენებდა არალეგალურ და ლეგალურ ლიტერატურას. ბათუმელი მუშები გატაცებით კითხულობდნენ ლენინურ „ისკრას“, „ზარისას“, „ბრძოლას“ და სხვა გაზეთებს. განსაკუთრებით ეწაფებოდნენ ისინი პროკლამაციებს, რომლებსაც ხშირად ბეჭდავდნენ ბათუმის კომიტეტის არალეგალურ სტამბაში, აგრეთვე იღებდნენ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტისაგან.

ბათუმის კომიტეტის გამგებლობაშია, — ნათქვამია მოხსენებაში, — მუშათა სალარო, რომელსაც სპეციალური კომისია განაგებს. სალაროს შემოსავალია ან არიცხები მუშათა ხელფასიდან, რაც თვეში საშუალოდ 600-700 მანეთს შეადგენს. ამ თანხიდან ასი მანეთი იგზავნება კავკასიის კავშირის კომიტეტის ფონდში, დანარჩენი ხმარდება ბათუმის კომიტეტის საჭიროებას (ტრანსპორტი, დახმარება პატიმარ მუშებსა და მათი ოჯახის წევრებს და სხვა).

მოხსენებებში თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი ბათუმელი მუშების 1902-1903 წლების მარტის პოლიტიკური დემონსტრაციების აღწერას. მითითებულია, რომ საგაფიცვო მოძრაობის საფუძველზე მუშების პოლიტი-

კურ აღზრდასა და რევოლუციური ბრძოლების გაფართოებას შედეგად მოჰყვა პროლეტარულ მობრძობასთან სოციალიზმის შეერთების ლენინური პრინციპის განხორციელება. მოხსენებაში ნათქვამია: „1902 წლის უდიდესმა დემონსტრაციამ მუშებს დაუმტკიცა, რომ მათი ყველაზე ძლიერა მტერი — ეს არის მთავრობა, რომელმაც დახვრიტა გაფიცულები. თავისუფლებისათვის ტანჯულ მებრძოლთა ცამეტი საფლავი (უნდა იყოს 15 — ვ. შ.) მჭევრმეტყველურად ეუბნება ბათუმელ მუშებს, ვისთან უნდა იქონიონ ჭრჭერობით საქმე“.

ქალაქის პროლეტართა შორის მუშაობასთან ერთად ბათუმის კომიტეტი ყურადღებას უთმობდა სოფლის მოსახლეობას. იგი სოფლებში ავზავნიდა თავის წარმომადგენლებს, პროპაგანდისტებს, ავრცელებდა არალეგალური ლიტერატურას. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აგრეთვე 1902 წლის 9 მარტის პოლიტიკური დემონსტრაციის მონაწილე მუშებმა, რომლებიც პოლიციამ გაასახლა ბათუმიდან. სოფლად მუშაობისათვის ბათუმის კომიტეტთან არსებობდა ვანსაკუთრებული კომისია.

მოხსენებაში მოტანილია მასალები გურიის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შედეგების შესახებ. კერძოდ, ხაზგასმულია, რომ გლეხები უარს აცხადებდნენ

დაემუშავებინათ მემამულეთა მიწები, აჩეხეს ტყეები და დაწყეს ყამირი მიწების დამუშავებას. გურიის გლეხობის რევოლუციური ალტყინებით შეშინებული მახრის უფროსი გლეხებს დაპატიმრებით დაემუქრა და მოუწოდა კვლავ დაემუშავებინათ მემამულეთა მიწები, მაგრამ გლეხებმა მტკიცედ დაიცვეს თავიანთი გადაწყვეტილება. მოხსენების დასასრულს აღნიშნულია, რომ საჭიროა ჯარისკაცთა შორის პროპაგანდის გაძლიერება, რასაც წინათ კომიტეტი ნაკლებ ყურადღებას უთმობდა.

ბათუმის კომიტეტის მოხსენებაში ძირითადად სწორადაა წარმოდგენილი ბათუმში წარმოებულ რევოლუციური მუშაობა, მაგრამ რამდენიმე საკითხი გამოჩენილი, ან არასწორადაა გაშუქებული. ამის მიზეზი ის არის, რომ ბათუმის კომიტეტის დელეგატი ა. გ. ზურაბოვი იმყამად ბათუმში არ მუშაობდა და კომიტეტის მრავალფეროვანი საქმიანობის კურსში არ იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ მას ხელთ ჰქონდა გაგზავნილი მასალები, რომლებიც საკმარისი არ აღმოჩნდა უფრო სრულყოფილი მოხსენების შესადგენად.

ბათუმის კომიტეტის დელეგატმა ყრილობაზე ხელი შეუწყო რევოლუციური პროლეტარიატის ნამდვილი პარტიის შექმნისათვის ბრძოლაში ვ. ი. ლენინისა და ლენინელების გამარჯვებას.

## დიდი ცხოვრების სათავე

ვინ არ მოხიბლულა მაისის ქუთაისით, მის გზებსა და ბილიკებზე დარჩეული „ციცინათელასა“ და „სულიკოს“ გულშიჩაქვდომი ჰანგებით. პირველად აქ ახმიანდა ჰაინეს „ტურფავ. ტურფავ“. უცხო სტუმრები იხიბლებოდნენ ქუთაისელი ქალების ნატიფი სილამაზით. ახალგაზრდებს თავბრუს ახვევდა საშა ჩიქოვანის „უზუნდარა“. ქუთაისში ცხოვრობდა სილამაზით განთქმული მერი შერვაშიძე... აქ დაიწერა გალაკტიონის „მერი“ და „მე და ღამე“.

იწყებოდა გალაკტიონი, იწყებოდა მისი დიდი შემოქმედება, რომელსაც ბეჭდად ესვა „იასაჰნის ტოტი“, პოეზიის უტყუარი სიმბოლო.

ძნელი გამოსაცნობი არ არის, თუ რით სუნთქავდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოწაფე გალაკტიონი. მის სასთუმალთან დაედოთ ბინა მე-17-ე

საუკუნის ქართული, რუსული და ევროპული მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლებს, გულის სიმებზე ეწერა „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავი სტრიქონები.

გალაკტიონის ცხოვრების დასაწყისი, მისი ჭაბუკობისა და ყრმობის პერიოდი მტკიცედ უკავშირდება იმდროინდელ ეროვნული კულტურის პარნასს — ქუთაისს.

გალაკტიონის პირველი წიგნიც ქუთაისში დაიბეჭდა.

...პარიზიდან დაბრუნებულ გალაკტიონი ქუთაისში ჩამოვიდა და სწორედ მაშინ დაწერა თავისი ცნობილი ლექსი „წყალტუბოდან ქუთაისში“, რომელიც პირველად ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნდა.

დავით კასრაძე პირველად რომ ჩამოსულა ქუთაისში, მას უკვე მოვლილი ჰქონია მრავალი ქვეყანა. მაშინვე გალაკტიონი მოუძებნია. ერთად დაუთვალაიერები

ათ ქუთაისის ძველი სანახები და ახალი უბნები, რომლებსაც დღესაც შენარჩუნებული აქვთ იმდროინდელი სახელები — მწვანე ყვავილა და საფიჩხია, კახიანაური და ბალახვანი, თეთრამიწა და ბაკისუბანი... ეს ის დროა, როცა ქუთაისი მიყრუებულ, პროვინციულ ქალაქს წარმოადგენდა. საფიჩხიასა და სალორის მიდამოებში გაუთავებელი ღრეობა იყო, ბალახვანში განუწყვეტლივ ისმოდა ერემია ქუთათელაძის განთქმული არღნის ხმა. თეთრი ხიდიდან და რესტორან „იალტიდან“ სხვადასხვა ილეთით ხტვობდნენ ბიჭები. სამტრედიის, წყალტუბოს, ხონის მიმართულეობით მიქროდნენ არღნიანი ეტლები.

გალაქტიონმა უთხრა დავითს:

— ამაზე ლამაზი რა არის ქვეყნად, როგორ განვიციდი ეფემერულ ტკობას. აი ეს ყვავილებია ჩემთვის ყველაფერი. ქუთაისური ვარდებია ჩემი პირველი დამატობელი, ჩემი უმაღლესი სიამოვნება, ნეტარება და პოეზია.

შემდეგ ისინი დაიძრნენ გელათისაკენ, ალტაცებით ეგებებოდნენ ქართული ლექსის ახალგაზოდა მეუფეს.

ეტლი გასცდა ქუთაისის სასტუმრო „გრანდ-ოტელს“, ქალაქის თეატრის წინ გამოკრული იყო ფირნიში — კოტე მარჯანიშვილის თეატრი.

— ეს არის ქუთაისი, პატარა პარიზი.

ილიმება გალაქტიონი.

— კი, ეს არის ქუთაისის ბაღის კიდე. პარიზში ხომ გინახავს მინდვრები ან ლუქსემბურგის ბაღი? მარჯვნივ მიიხედე, ეს არის მთავარანგელოსის ეკლესია „ნოტრ დამ დე პარი“ პარიზის ლეთისმშობლის ტაძარი, — ღიმილმორეული გალაქტიონი განაგრძობს — აი ეს არის ჩილინგარაშვილების საშაქარლამოება, რომელთა ნამცხვარი თავისი ხარისხით აღემატება კაფე „პასკალისას“. ეს კი ლალიძის წყლებია მლაზიებია, აქ, ხუმრობის გარეშე რომ ვთქვათ, პარიზელებსაც არ ექნებათ ისეთი საუკეთესო სურნელოვანი ლიმონათი, როგორსაც ჩვენ ვამზადებთ.

გელათის კარიბჭესთან ვეებერთელა ქვა გამოიკვეთა. ეს ქვა თვითონ დავითმა ამოიტანა საკუთარი მხრებით. პარიზში ნაპოლეონის ბრძანებით, ძველი მემფისიდან ორი წყვილი ცხენით გადაიტანეს მთლიანი ქვის სვეტი. ეს ქვა იმ ობელისკზე მეტია.

გელათის კარი ღია დახვდათ, წინ შემოეგებათ ბერი მათე კერესელიძე, რომელსაც მთელი საქართველო ფეხით ჰქონდა მოვლილი, თან დაჰყვებოდა ფილიმონ ქორიძე და ნოტებზე გადაჰქონდათ საგალობელი „შენ ხარ ვენახი“, „შენ გიგალობ“, „ლირს არს ჭეშმარიტად“ და მრავალი სხვა.

ლაპარაკობენ გალაქტიონზე: ჩვენი მწერლების ახალი ღმერ-

თია, თანამედროვე ქაბუკებში არა ჰყავს ტოლიო.

— როგორ თუ ტოლი? — საუბარში ერევა დავითი.

— ამას თვითონ ამბობს ვალაკტიონი თავის ერთ-ერთ ლექსში „შემოქმედება“: „ვარსკვლავთა შორის, სხვათა ტაძარში, არ მკვდება ტოლი“.

ვალაკტიონი მოკრძალებით წითლდება, წუთით ეთიშება მათ, ხარბად შეჰყურებს გელათის ვუშბათს. მოზაიკურ მხატვრობას, უნიკალურ სიდიადეს.

— მოდი, ვიმღეროთ, ჩემო დავით!

— რა ვიმღეროთ?

— „შენ ხარ ვენახი“.

მათე აწრიალდა.

— გაგვიძნელდება... სასულიერო არ არის, საეროა...

შემთხვევითი არ იყო, რომ ამ მდიდარი ლიტერატურული ტრადიციების მქონე ქალაქში, აკაკის ქალაქში გაისმა ვალაკტიონის ჩანგის ჟღერა, რომელმაც საუკუნის უდიდესი ქართველი მგოსნის სახელი მოუხვეჭა მას. აქ დაფრთხიანდა იგი, როგორც პოეტი. აქ შექმნა შედევრები, აქ გამოქვეყნდა მისი პირველი წიგნი და აქვე ეზიარა პირველ სიყვარულს, რიონის ტალღამ მგზნებარე სული შთაბერა ყმაწვილს და მისი ნაპირიდან ქვეყნიერებას გადასწვდა ვალაკტიონისეული პოეტური სმა.

სიზმარივით გაირბინეს ბავშვობის დღეებმა. მოგონებასავით უკან დარჩნენ ნისლით დაფარუ-

ლი მთები, მეფისქალა, სოფლები გოგო-ბიჭები...

ქუთაისი...

მისი სიცოცხლისა და სიყვარულის დასაწყისი.

ქუთაისის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდმა უცნაური და ამავე დროს დადებითი შემოქმედება მოახდინა პოეტის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ეს იყო პერიოდი, როცა მეცხრამეტე საუკუნე თავის არსებობას ამთავრებდა, ბრძოლითა და შრომით გათეთრებული დარბაისელი ბერიკაცი თავს დაბლა ხრიდა, რათა ესტაფეტა მომავლისათვის გადაეცა.

რევოლუციის გაროქრაჟი თანასწორობას ქადაგებდა, წერაღიბურჟუაზია პოზიციების შენარჩუნებას ცდილობდა. ვაჭრობის სადავეები ქართველ და ებრაელ კომერსანტთა ხელში იყო, ისტაბლის განაჩენი მათ შეგნებამდურ დასულიყო. თავდაზნაურები ჯერ კიდევ მედიდურად ზვერავდნენ ქუთაისის ბულვარს, ძველებური „ხაბარდათი“ მიაქროლებდნენ ეტლებს რაყდენ მიქელთაძე და იაგორა აბზიანიძე რიყის ქვით მოკირწყლულ ქუჩებში...

ბორკილებივით შემოწყობოდა ცარიზმის დიდმპყრობელური პოლიტიკა ქუთაისს.

ამგვარ ატმოსფეროში აღმოჩნდება უეცრად სოფლელი ბაჭისა-ალალმართალი სამყარო, რომელსაც ჰყვიშიდან მემკვიდრეობად ვულწრფელობა და მოყვასის სი-

ყვარული გამოჰყვა. იმდროინდელი ქუთაისის პატიოსნების მაღალ სავარძელში ამაყად ფეხმორთხმული განისვენებდა გაიძვერა და მექრთამე...

სიყვარულითა და სათნოებათ გაცისკროვნებული მოზარდის ამჟამადი სული, ცხადია, ვერ ეკუთვნობდა მაშინდელი ქუთაისის ერთობ დახუთულ ვითარებას.

დასრულდა ბავშვობა.

გაფრინდა ბავშვობის დღეები, მინდვრები, ვალები, ტყეები, უეტრად მოვიდა შავებით სხვა ბავშვი შორეულ დაბიდან. მწუხარე ფერხულში დაბინდა. ბალახი, მდინარე, ხეები, დღეები, ბავშვობის დღეები...

...1911 წლის მაისი ილეოდა. პოეტმა სასამართლოს მახლობლად, ებრაელების უბნის დასაწყისში, ორსართულიან სახლში დაიქირავა ერთფანჯრიანი ვიწრო ოთახი. მთელი დღე გადააყოლა მის დალაგებას. მეორე დღით ქალაქის მმართველობაში გამოცხადდა და მასწავლებლის ადგილი ითხოვა. კანცელარიის მდივანმა აღმასკრად ჩაათვალიერა მოსული და ჩაიქირჩილა.

— ვინც აქ მოდის, ყველა მასწავლებლის ადგილს ითხოვს, ჩემო ბატონო. ამდენი ბავშვიც არ არის სწავლის მსურველი...

ყოველი შემთხვევისათვის მისამართი ჩააწერინა მდივანს და გულდაწყვეტილი გამობრუნდა უკან. გარეთ ციოდა და საცივე ძვალ-რბილში ატანდა. თხელი, ყვლთან შეკრული იმერული ჰე-

რანგის საყელო აიწია; ამანაც ვერ უშველა. არ უნდოდა მოკუნულს გაევილო ბალის კიდეზე. მხრები ამაყად გაშალა. ჩაუარა ჯგუფ-ჯგუფად შეყრილ ყმაწვილებს... თვალწინ დედის შეწუხებული სახე დაუდგა. მკვილის უმუშევრობას ვერ იტანდა მრავალჭირნახული ქალი. ლექსების წერას კი საქმეს არ ეძახდა იგი. რა იცოდა დედამ და კანცელარიის იქედნურად მოქირჩილე მდივანმაც...

1905 წლის რევოლუციამ მარცხი განიცადა. რეაქცია გამარჯვებას ზეიმობდა.

დრო მოვა და ისევ პროლტარიატი მაისის ვარდებით სიცოცხლეს აივსებს. სალამი იმ დღეებს, სალამი იმ ბროძეებს, იმ ნათელ გაწვევას, იმ პირველ მაისებს!

იწყება ძიებისა და შემოქმედების რთული, დაძაბული წლები. გალაკტიონი დაეძებს იდეალს, რომელსაც ცხოვრების სიტუაცია მსხვერპლად უნდა შესწიროს. ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე ბობოქარი სული, დიდი ემოციურობითა და განცდებით პოულობს იდეალის სრულყოფილ სახეს და თუმცა მოგვიანებით წერს ქვემოთ მოყვანილ სტრიქონებს, მაინც მაშინდელი დალი ატყვია მათ.

ჩვენ ხომ იმისთვის გაეჩენილვარა, და ის გვაქვს მიზნად, მივცეთ სიცოცხლე თუ გაქრება დღე უხამიანი —

შეუღლდევალ არსებობღეს  
ამ სოფელ-ქვეყნად  
თავისუფალი და ძლიერი  
ადამიანი.

„...იცი, საყვარლო სოსო, —  
სწერდა გალაკტიონი იოსებ გრი-  
შაშვილს, — ამ ბოლო დროს რა-  
ღაც უჩინარი სენი მეპარება, სა-  
შინელი სენი მარტოობისა, ესეც  
ხომ თავისებური ავადმყოფობაა!  
და ვით სიკვდილით დასასჯელი  
სახსრობელის წინ, თვალით ვე-  
ძებ მონათესავე სულს...“

ამჟამად ვგრძნობ ჩემი სულის  
აბლობას, ჩემს უთვისტომობას,  
ჩემს მარტოობას, ჩემს არარაო-  
ბას...“

საყურადღებო ფაქტია: იმ ხა-  
ნებში გალაკტიონი თვითონ ვერ  
გარკვეულიყო, რა თვალსაზრი-  
სით მისდგომოდა ცხოვრებას და  
ამიტომ არ გააჩნდა იდეურად  
მთლიანი, თანმიმდევრული პოზი-  
ცია — სასოწარკვეთილებისა და  
განწირულების მოტივებთან ეო-  
თად ბრძოლისაკენაც მოგვიწო-  
დებს იგი. შავბნელი ძალების გა-  
მარჯვებამ მის პოეზიას, მართა-  
ლია, ერთგვარი საყრდენი გამო-  
აცალა, სამაგიეროდ მას დარჩა  
აზრი — გაბედული და შეურყე-  
ველი, დარჩა სიტყვა, რომელსაც  
ახალი ჟღერადობა და ძლიერი  
აღმაფრენა შთაბერა.

მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში,  
ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები,  
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი.  
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ჰქრიან ლურჯა ცხენები!

გალაკტიონ ტაბიძე მხატვრუ-  
ლი სიტყვის უზადლო ოსტატისა-

შეეძლო თუ არა გალაკტიონს  
ნაცვლად ლექსებასა — „მესაფ-  
ლავე“, „მე და დამე“, „ცხენები“  
„ეჭვოვნად“ შეექმნა სულ სხვაგვარი  
ქედრადობის პოეტური ქმნილ-  
ებები? და თუ შეეძლო, როგორი  
ქმნებოდა მაშინ ხალხის რეაქცია  
მისი შემოქმედებისადმი? — მარ-  
ალაცდა, როგორ შეხვდებოდა  
მის საყვარელ ქალაქში, ქუთაის-  
ში 1914 წელს გამოცემულ პირ-  
ველ წიგნს მშობელი ერი, თუ  
დასახელებულ ნაწარმოებთა ნაც-  
ვლად იქ სულ სხვაგვარ აზროვ-  
ნულ ნაკადს ვიხილავდით, ორგვა-  
რი აზრი აქ შეუძლებელია — გა-  
ლაკტიონის ეს პირველი ნაბიჯი  
მეუმჩნეველი დარჩებოდა და  
აჯი აღარ იქნებოდა ხელიხელსა-  
ვოგმანები. მაინც რა იზიდავდათ  
ამ ლექსებში გალაკტიონის თანა-  
ჰედროვებს, რომელთაც წიგნის  
გამოსვლისთანავე აღიარეს იგი?  
— მწუხარება, სულიერი ტანჯვა  
და არარეალური სამყაროს წარ-  
მოდგენა იყო მათი აღფრთოვანე-  
ბის მიზეზი? რასაკვირველია, არა.  
ქართულ მიწაში ღრმად ფესვებ-  
გადგმული მშობელი ხალხის ფი-  
ქრთა მპყრობელი გახდა. მისი მი-  
სწრაფებაც ხომ სწორედ ის იყო,  
ძლიერი, დინამიკური სიტყვით  
და „ჩქარი გრგვინვა-გრიალით“  
ოცნებათა უბეში მიეყვანა იგი.

თვის დამახასიათებელი სიმსუბუ-  
ქით უზადოთ ასურათებს რეაქცი-

ის შემდეგდროინდელ სინამდვილეს, ამავე დროს ცდილობს გაუსხლტეს მას.

შენს მოლოდინში გულს ნუ მიდაკავ, დაჰკარ, დაჰქუხე ახლო ტალღა!

...ინისის შუა რიცხვები იდგა. გიორგი ქუჩიშვილისა და ია ეკალაძის თაოსნობით გაიმართა გალაკტიონის შემოქმედებითი საღამო. ლიტერატურული ქუთაისი შემოქმედის სიხარულსა და გამარჯვებას ზეიმობდა. საღამო ხანს ტევა არ იყო თეატრის შესასვლელთან. საზაფხულო ვარდებით აევსოთ დარბაზი. პრეზიდენტში აკაკი ბრძანდებოდა, ჭალა-

რა წვერ-ულვაში ვერცხლისფერად უბზინავდა. მომავალი თაობის ქვეშარიტი სიტყვის ძლიერ გავლენა ტაცებული ეგებებოდა მგოსანნი.

საღამო დაიწყო. ოვაციები აზანზარებდა დარბაზს. თრთოდნენ ვარდები — უამრავნი და ულამაზესნი, ისეთები, მხოლოდ ქუთაისში რომ ყვავიან ხოლმე.

ლექის წაკითხვა თხოვეს გალაკტიონს.

ნელა წამოდგა, ვარდებოფრთხილად გადადო გვერდზე, ალტაცებისაგან გაფითრებულა. მისი მთრთოლვარე, მაგრამ ერთობ მომაჯადოებელი ხმა კოცონივით გადაენტო დარბაზს.

ველარ ვცნობილობ მშობლიურ ხეებს —  
ზამთარს ბილიკი დაუტანია...  
„დიდი ხანია?“ — მივმართავ ტყეებს  
და ტყე გუგუნებს: — „დიდი ხანია!“  
შეხავსებია კლდეები კლდეებს,  
იქ ვილაც ვენესის დიდი ხანია.  
„ამირანია“?, მივმართავ ტყეებს  
და ტყე გუგუნებს „ამირანია!“

პოეტის ბოლო სიტყვები ბეთხოვენის სიმფონიაში ჩაიძირა.

როცა 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ - დემოკრატიულმა რევოლუციამ იქუხა, გალაკტიონ-

გათენდა, ცეცხლის მზე აენთო, აცურდა,

დროშები ჩქარა!

ეს მოწოდება წმინდა გალაკტიონისეულია — თავისუფლებისმოყვარე კაცის ოცნებითა და აზრით გამთბარ-გაშუქებული. სხვა-

ნი ქუთაისში იმყოფებოდა. რითა გამოხატა მან თავისი აღფრთოვანება? — ერთხელ კიდევ გავიხსენოთ მისი ბრძოლის უინით ანთებული მიქუხარე მოწოდება:

გვარი გამოხმაურება ახალი დღის დაბადებისადმი მას არ შეეძლო... დაიწყო გალაკტიონი, ახალ რევოლუციური გალაკტიონი!



## პავლე ნახვილიძე

# ერთი მხატვრული სახე წიგნსა და ფილმში

თენგიზ აბულაძის ახალმა ფილმმა „ნატერის ხემ“ მეათე საკავშირო და საერთაშორისო კინოფესტივალებზე პირველი პრიზები დაიმსახურა. ეს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ და ამ კინოფილმის შემქმნელი კოლექტივის დიდი გამარჯვებაა; მაგრამ ამ გამარჯვების გვირგვინად ჩვენ მაინც თენგიზ აბულაძის ორიგინალურად, მაღალმხატვრული, ფილოსოფიური თვალთახედვით გააზრებული რეჟისორული ნამუშევარი მიგვაჩნია.

რასაკვირველია, ამ გამარჯვების საფუძველთა საფუძველია დიდი ქართველი პოეტის, მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატის გიორგი ლეონიძის ცხოვრების სიღრმეებიდან ამოზიდული მხატვრული სახეები, ხალხის წიაღიდან მოსული ჯავარიანი ქართული რეალისტური, მხატვრული ხედვა. მისი მოთხრობების მომაჯა-

ღობელი პოეტური საღებავები, ფილმის ავტორებს ფასდაუდებელ მასალას აძლევს, რომ მოუხმონ ფანტაზიას. ამ ფილმის წარმატების საიდუმლოებაც იმაშია, რომ ავტორები ერთის შეხედვით ერთგულად მიჰყვებიან გ. ლეონიძის მოთხრობების მხატვრულ სტილს, ისინი მაქსიმალური სიზუსტით იყენებენ მწერლის მიერ გამოძერწილ მხატვრულ სახეებსა და ემოციური ქვეტექსტებით დატვირთულ ლექსიკურ მასალას; მაგრამ სინამდვილეში ქმნიან ღრმად ორიგინალურ, ახალ, გლეონიძისაგან განსხვავებული მიზანდასახულობით შთაგონებულ, ფილოსოფიურად გააზრებულ მხატვრულ დეტალებს და ამით ზრდიან ფილმის მხატვრულ-ესთეტიკურ, ემოციურ ღირებულებას. ამისი შესანიშნავი დადასტურებაა ფილმის ერთერთი ცენტრალური მხატვრული სახის ცი-

ციკორეს რეჟისორული გააზრება. გიორგი ლეონიძის მოთხრობებში გამოყვანილ მრავალფეროვან გმირთა გალერეაში ციციკორე ერთ-ერთი გამორჩეული სახეა, რომელიც ავტორის სიმპათიას და პატივისცემას იმსახურებს. ამის მაუწყებელია თუნდაც მოთხრობის დასაწყისი სტრიქონები: „ჩვენი სოფლის შარავნაზე დარბაისლურად, მხნე ნაბიჯებით მოაბიჯებდა გრძელ, ჩერქეზულ ჩოხაში გამოწყობილი ახოვანი, ბრვე, სახიერი, თეთრულვაშა ციციკორე — სოფლის დარბაისელი, თავისი განუყრელი ურძნის ლიტაო ჯოხით“ (გ. ლეონიძე, „ნატურის ხე“, ყრმობის მოგონებები, 1962, გვ. 205).

ეს გულთბილი სიტყვები, ჰუმანური მადლით დამწვენებული თხრობის სტილი თავიდანვე მიახვედრებს მკითხველს, რომ ციციკორე ავტორის საყვარელი და ამავე დროს საინტერესო გმირია მთელი თავისი სიავკარგით. სიავკარგით, იმიტომ ვამბობთ, რომ, როგორც შემდეგ დავინახავთ, ციციკორე ნამდვილი ცხოვრებისეული ადამიანია, რომლისთვისაც არავითარი ამქვეყნიური უცხო არ არის. პირიქით, გ. ლეონიძე უშუალოდ გვაუწყებს ციციკორეს დადებითი და უარყოფითი თვისებების შესახებ, მკითხველი გრძნობს ამ პიროვნების რთულ ხასიათს, მისი ბუნების წინააღმდეგობრივ, უცნაურ გამოვლინებას. გ. ლეონიძისათვის ციციკორე არის გამრჯე, მშრომელი, „სო-

ფლის მერჯულე“, „გამგებელი და უფროსი“, „კაცური კაცი“, „მოყვრისათვის გულდაგონური“, „რდაპირი და მართალი“, „სამართლიანი და პატიოსანი“, „სოფლის გამამაგრებელი და გამამხნევებელი, ვავლენიანი“, „დიდად კეთილი“, „საქართველოს ერთიანობის დიდი ერთგული“.

ამასთან გ. ლეონიძის ციციკორე არის გულდიდი და გულზეიადი, თავმოყვარე და თავისი პრინციპის ჯიუტად დამცველი. მწერლის თქმით, გაუნათლებელი და თავის კერას მიჯაჭვული ციციკორე ადვილად მოექცა ცხოვრების ტყვეობაში. მან მეტისმეტად ირწმუნა ქართველი ერის დრომოჭმული ტრადიციები და ბოლომდე მის ჯიუტ დამცველად მოგვევლინა. მან ალლო ვერ აულო ახალ ცხოვრებას და მასთან ჭიდილში გალია თავისი მშფოთვარე ცხოვრება. მაგრამ ჩვენ ხაზგასმით მივუთითებთ, რომ გ. ლეონიძის მოთხრობების მიხედვით ციციკორე გულწრფელი და თავდაჯერებულია. მისი რწმენა უებროა, ალალი, უტყუარი. მას ნამდვილად სჯერა, რასაც აკეთებს და ბოლომდე ამ რწმენის ერთგული რჩება: „საოცარი იყო, ციციკორე—მართას სიცოცხლის ხელმყოფელი, სოფლის ამტირებელი სულაც არ იტანჯებოდა, მას მართალი ეგონა თავი“ (იქვე, გვ. 260-261).

შეგნიშნავთ, რომ რეჟისორი თენგიზ აბულაძე ძირითადად ეთანხმება ციციკორეს სახის გ.

ლეონიძისეულ გაგებას. თ. აბულაძის ციციკორეს ახასიათებს უკლებლივ ის დადებითი თუ უარყოფითი ადამიანური თვისებები, როგორც გ. ლეონიძემ დახატა თავის მოთხრობებში. საოცარი ის არის, რომ თ. აბულაძე ციციკორეს პიროვნების გამოსაქანდაკებლად თითქმის უცვლელად იყენებს მწერლის ლექსიკას და მაინც რეჟისორის მიერ ციციკორეს სახე ახლებური, ორიგინალური თვალთახედვითაა გააზრებული. აბულაძის ციციკორეს თითქოს წართმეული აქვს კერძო, კონკრეტული ნიშანთვისებანი და იგი ზოგადი ასპექტითაა წარმოდგენილი. აბულაძისეული ციციკორე არ არის მარტოოდენ მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართველი გლეხის კონკრეტული სახე, იგი წარსულის, აწმყოსა და მომავლის ზოგადი ადამიანია, მთელი თავისი სიავკარგით.

იყენებს რა გ. ლეონიძის უაღრესად კონკრეტულ ქართულ ხასიათს უკლებლივ თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით და ძირითადად აქსოვს კიდევ თავის მხატვრულ სახეში ამ თვისებებს. თ. აბულაძე ციციკორეს სახეს ზოგადადამიანურ ფილოსოფიურ გააზრებას აძლევს, ისე, რომ საეგებით უნარჩუნებს ამ სახეს რეალური ცხოვრებისეული ადამიანის ტიპურ ნიშნებს.

როგორ გვესახება ჩვენ ის პატარა ნიუანსი, რამაც კერძო კონკრეტული ციციკორეს სახე, ზოგად კონკრეტულ ციციკორეს სა-

ხედ აქცია და ამ სახეს დიდი მხატვრული დამაჯერებლობა და ოციურობა შეჰმატა. ჩვენი აზრით, თ. აბულაძე ბოლომდე ვიწინააღმდეგეთაა დარჩა გ. ლეონიძის მოთხრობათა სტილისა და არსად მკვეთრად არ დასცილებია მის ჩანაფიქრს, მაგრამ თ. აბულაძის დამსახურება იმაში გამოიხატება, რომ მან შესანიშნავად გაითავისა გ. ლეონიძის პერსონაჟები, დეტალურად ჩაწვდა ამ ხასიათების თვისებებებს, ზოგი თვისებებზე ამ ხასიათებისა, რომლებიც ავტორის თვალთახედვით მიჩრდილული იყო, წინ წამოსწია, გაათვალსაზრისწინა და მეტი მხატვრული ძალა მიანიჭა. მაგალითად, გ. ლეონიძე თავის მოთხრობებში მეტნაკლებად შენიშნავს, რომ ციციკორე იყო ამაყი, თვითდაჯერებული, მეტად პრინციპული, მაგრამ ამავე დროს კეთილი, მშვიდობისმოყვარე, ზედმეტად მიმნდობი, მეგობრობის, ერთიანობის მქადაგებელი. მოთხრობებში ციციკორეს ეს თვისებები თითქოს არ არის ხაზგასმული. თენგიზ აბულაძემ თავის ფილმში მოთხრობების მიხედვით ციციკორეს ეგ თვისებები წინ წამოსწია, კეთილი ხასიათი, მშვიდობისმოყვარეობა, შრომისმოყვარეობა განგებ აამაღლა, ააღვარა. კიდევ ერთი თვისება არის თ. აბულაძისეულ ციციკორეში წარმოჩინებული. გ. ლეონიძის ციციკორე ბოლომდე მართალი და გულ-

წრფელი პიროვნებაა, ამიტომ იგი ხალხის თანაგრძნობას იწვევს, ხალხი ბოლომდე ენდობა მას და პატივს სცემს, მიუხედავად არაერთი დაეჭვებისა. ფილმში დახატული ციციკორე კი ზოგჯერ არაგულწრფელია, ხალხი კიდევ გრძნობს, რომ იგი ხანდახან იძულებულია თავისი რწმენის საწინააღმდეგო მოქმედება ჩაიდინოს, განგებ გაამრუდოს სამართალი, ამიტომ ფილმის მიხედვით ციციკორეს მიერ ჩადენილი ბოროტება უფრო ხელშესახებია, უფრო საგრძნობია და ამ ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გრძნობაც უფრო წარმოჩინებულია. მიგმართოთ მაგალითებს.

ფილმის დასაწყისში მაყურებელი ხედავს ყორიანის აბიბინებულ ველ-მინდვრებს, ყაყაჩოების ელვარებით აჩახახებულ მადამოებს. ერთი სიტყვით, ბუნებაში სიმშვიდეა, სილამაზეა, ჰარმონიაა. ამ ბუნების სილამაზის ფონზე ფილმის ავტორებს შემოჰყავთ ადამიანები: ღარიბი მწყემსი გედია — სიწმინდის, პატიოსნების, სილამაზის უზადო, გულწრფელი დამცველი, რომელშიაც ცხენის სიკვდილი იწვევს დიდ სულიერ ტრავმას; და ციციკორე, ასევე მშვიდი, ღმობიერი, კეთილი, პატიოსანი მშრომელი, რომელიც იძულებულია უღალატოს თავის მრწამსს და დაღვაროს სისხლი, ყელი გამოჭრას ცხენს, რომელიც აქ სიწმინდის, პატიოსნების, სამართლიანობის სიმბო-

ლოდაა გამოყვანილი. მე ვხვდები ვუსვამ იმ თვალსაზრისს, რომ ციციკორე იძულებულია განაგრძოს მრწამსის საწინააღმდეგო მოქმედება ჩაიდინოს. იგი, თვით სიმართლისა და სიწმინდის დიდი თავიანთისმცემელი, იძულებულია წავიდეს თავისი რწმენის წინააღმდეგ და დაღვაროს სისხლი; აი, სწორედ აქ, რწმენის ღალატის ფონზე, ეყრება საფუძველი ბოროტებას. თვით უბოროტო და კეთილი ციციკორე ცხოვრებამ აიძულა თავისი ბუნების საწინააღმდეგო მოქმედება ჩადენა და თუმცა დიდი სულიერი ტკივილების ფასად, მაგრამ მაინც ვაჟკაცურად, გმირულად შეხვდა ამ აქტს. საქმე ის არის, რომ ციციკორემ ძალიან კარგად იცის, ცუდს სჩადის, ღალატობს რწმენას, მაგრამ იძულებულია და სხვა გამოსავალი ვერ უნახავს. „მაინც არაფერი ეშველება ცხენს, უთუოდ მოკვდებაო“, ეუბნება იგი დამწუხრებულ გედიას და თავისას არ იშლის, ცხენის სისხლით წითლად ლებავს გარემოს. მოკვდა ცხენი, დაიღვარა სისხლი, შეიბღალა სამართალი, ეგ ძალიან კარგად აქვს შეგნებული ციციკორეს, მაგრამ მაინც ჯიუტად იყენებს თავის უზარმაზარ ავტორიტეტს დასახული მიზნის შესარტყლებლად და წარბშეუხრელად იწყებს ყორიანს მინდვრის შემოღობვას; ვაჟკაცურად იგერიებს თავის არჩეულ გზაზე ყოველგვარ შემოტევებს (გავიხსენოთ ანარქისტ იოველის ბოზოქრობა, ისიც

რომ ერთი მუქა ბალახი შექამა და მშვიდად თქვა, „კუჭსაც არ ამიშლისო“).

თ. აბულაძისეულმა ციციკორემ იძულებით იწამა თავისი არჩეული გზის სისწორე და ბოლომდე მისი ერთგული დარჩა, თუმცა შესანიშნავად იცის მან, რომ ეგრემენა იძულებითია და არა მისი ადამიანური ბუნებიდან გამომდინარე. გ. ლეონიძის მოთხოვნებსა და ფილმში ასახულია მსგავსი დეტალები. ციციკორე ბაქრაძე გ. ლეონიძის მოთხოვნების მიხედვით სოფლის ნამდვილი პატრონია, ხალხის მამა და მეურვე, დიდი ძალის მქონე პიროვნება, ხალხსაც ნამდვილად სჯერა მისი და თავის პატრონად თვლის. იმდენად დიდია მათი რწმენა ციციკორეს მიმართ, რომ ავადმყოფებიც მიჰყავთ მასთან სამკურნალოდ და ციციკორესაც სჯერა თავისი ძალისა; მაგრამ გ. ლეონიძის ციციკორეს იმისი უნარიც აქვს, განსაჯოს, როგორი მოქმედების უფლება აქვს. ეგ პატარა დეტალი თ. აბულაძემ შესანიშნავად გამოიყენა ფილმისეული ციციკორეს სახის გასახსნელად. ფილმის მიხედვით ციციკორესთან მოჰყავთ არა მართლა ავადმყოფი, გ. ლეონიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დაგოლეილი“ ბიჭი, არამედ ტანმრთელი, ფიზიკურად სრულიად ჯანსაღი, მაგრამ ცხოვრებისაგან სულიერად დაზღვიებული ახალგაზრდა და რა შესანიშნავად შეესაბამება ფილმისეული დიალოგი ავტორის მი-

ზანდასახულობას ციციკორეს სახის გახსნაში. შვილის უბედურებით თავზარდაცემული ლეონიძის ქურ მიიჭრება ციციკორესთან, სოფლის თავკაცთან და ემუდარება მას მოურჩინოს შვილი, სილა გააწნას და აზრზე მოიყვანოს. ციციკორე დაჯერებულად უხსნის გულდამწვარ დედას — „ჩემთან რა ხელი გაქვთ, ქალაქს წაიყვანეთ; იქ ბაგრატიონის გვარის კაცი სილას გაარტყამს და ავადმყოფობაც გაუვლისო“. — „შენ გაულაწუნე, შენი ჭირიმე, ოღონდ მორჩეს“ — შეევედრა ბავშვის დედა. — „როგორ იქნება, ერეკლე მეფის ჩამომავალი უნდა იყოს, მე ვინა ვარ?“ — პასუხობს ციციკორე.

აქ ქვეტექსტით მშვენივრად არის გაცხადებული, რომ ფილმის მიხედვით ციციკორეს არა აქვს უფლება „გაულაწუნოს“ ახალგაზრდას, მშვიდ და პატიოსან, მართალ ადამიანს. პატიოსანს პატიოსანმა უნდა „გაულაწუნოს“. ერეკლეს შთამომავლობა სწორედ ასეთი პატიოსნების, სამართლიანობის სიმბოლოდ არის დასახული ფილმის მიხედვით. ციციკორეს კი ცხოვრების ზემოქმედების შედეგად მრავალი უსამართლო მოქმედება ჩაუდენია და ეგ ძალიან კარგად იცის ციციკორემ, ამიტომ იგი ფრთხილია თავის მოქმედებაში. არ ამწვავებს მდგომარეობას, ზოგჯერ დათმობაზეც მიდის, რადგან ჭკვიანია და ძალიან კარგად იცის, თუ არ გეკუთვნის, მდგომარეობის გამწვავების

უფლებაც არა გაქვს, თორემ ეგ უსამართლო მოქმედება არ შეგარჩება. ეგ რომ ასეა, მშვენივრად ჩანს ფილმის სხვა კადრებიდანაც. გულდათუთქული დედა კარდაკარ დაატარებს თავის ვაჟს, მიჰყავს იგი სოფლის მღვდელ ოხროხინესთან და ისევე მიმართავს მღვდელს, როგორც ციციკორეს, თანაც დასძენს — „ხელცარიელი კი არ მოვსულვარ, ქათამი მოგიყვანეო“. მღვდელი გ. ლეონიძის მოთხოვნებისა და ფილმის მიხედვითაც გამოყვანილია, როგორც უსინდისო, მექრთამე, თავზეხელაღებული, პირადი კეთილდღეობისათვის მებრძოლი, რომელიც დაუფიქრებლად ჩაიდენს ყოველგვარ დანაშაულს, ოღონდ თავისი ჭარბი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. ოხროხინე ისე არის დაბრმავებული მოხვეჭის სურვილით, რომ არაფრად აგდებს დიაკვნის გაფრთხილებას — „არ გაულაწუნო, ხელს შემოგიბრუნებსო“. გაულაწუნებს და შედეგს კიდევაც ვხედავთ ფილმის მიხედვით, ოხროხინეს სულწასულობისათვის მიეზლო.

ოხროხინესათვის არ არსებობს სხვა მიზანი, გარდა მოხვეჭისა. პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა. ციციკორე კი სხვა პიროვნებაა. იგი პატიოსანი მშრომელი ადამიანია და ამავე დროს ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი, რომელიც ფიქრობს, აზროვნებს, დროისა და მდგომარეობის შესაბამისად მოქმედებს. ციციკორემ ძალიან კარგად იცოდა, რომ

„გალაწუნება“ და მდგომარეობის გამწვავება გამოიწვევდა ვითარების გართულებას, ხალხურ რიტეტის შელახვას, თავმოყვარეობის შერყევას, რაც ხელს შეუშლიდა მიზნის შესრულებაში. ამიტომ ოსტატურად აიცილა თავიდან მოსალოდნელი უხერხულობა.

რაკი თენგიზ აბულაძემ ციციკორე წარმოადგინა არა დროშაშემული ტრადიციების დამცველ, თვითდაჯერებულ, არამედ ცხოვრების მოთხოვნილებით რწმენაშეცვლილ ადამიანად, რომელიც განუხრელად ამტკიცებს თავისი პოლიტიკის სისწორესა და სამართლიანობას, ფილმში ასახული მოვლენებიც ლოგიკურად ამ მიზანსწრაფვის სრულყოფილად ასახვას დაექვემდებარა.

მოთხოვნების მიხედვით ციციკორე საბოლოოდ უმეტესად ტრაგიკულ პიროვნებად გვევლინება, რომელიც ალღოს ვერ უღებს ცხოვრებას, მასთან ჭიდილში მარცხდება და მკითხველში ერთგვარ სიბრალულსაც კი იწვევს. თენგიზ აბულაძის ფილმში კი მდგომარეობა გამძაფრებულია. ფილმის მიხედვით ციციკორეს ძალა, მისი გავლენა ხალხზე საგრძნობია, მაგრამ ხალხის წინააღმდეგობრივი განწყობილებაც წარმოჩინებულია. ფილმის მიხედვით იგი, პირიქით, ეგუება ცხოვრებას. იქმნება ილუზია, რომ თვით ციციკორე შეგნებულად არ არის ბოროტი და ავისმოქმედი, მაგრამ თავისი არასამართლიანი რწმენა-

სადმი ჯიუტი და უდრეკი დამოკიდებულებით ამჯერად თვით გახდა ბოროტების სათავე. მან შექმნა მონური ატმოსფერო, რაღაც ჯადოქრული მანქანებით დაიმორჩილა ხალხი: ხალხის გრძნობები თავის გონებრივ მიზანსწრაფვას დაუმორჩილა და შექმნა დაბრკოლება კეთილის განხორციელების გზაზე.

ფილმის დამდგმელი კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას: „ნატერის ხე“ მაყურებელს რგავს რწმენას, რომ ცხოვრებაში არ შეიძლება გაიმარჯვოს ბოროტმა, რომ კეთილი უკვდავი და მარადიულია და სილამაზეს გადაშენება არ უწერია.



შვიდონ ხალხები

# მეგობრობის გეობრაფია

ადამიანმა, თუ ქვეყანაზე ნამდვილად ცხოვრობ, შეუძლებელია კაცთა შორის დამკვიდრებული ამ საოცარი და ულამაზესი ვრძნობის — მეგობრობის გარეშე იარსებო.

მჯერა, რომ ყველას თავისი საკუთარი, პირადი გამოცდილება და ძვალითები შრავლად აოგნებება ამისათვის.

მეგობრობა ხომ ცხოვრების უმთავრესი შინაარსია. სხვათაშორის, ზოგჯერ მიფიქრია, რომ ბუნებამ ალბათ ადამიანს ღიმილი მეგობრობის გასახარად მისცა. მაართლაც საკუთარ ღიმილს ხომ ვერ ვხედავთ, იგი მხოლოდ სხვის დასანახავად გვეფინება სახეზე.

მე თუ ვიღიმი, ვიღიმი თქვენთვის, ანა ვინ ხედავს საკუთარ ღიმილს, სახეებიდან კეთილი კეთილს ერთვის და გულიც ხალხით ღვივის.

კარგია, როცა შენი მშობელი მიწა, შენი ხალხის ბუნება მეგობ-

რულ განწყობას აღუძრავს უცხო კაცს.

მახსოვს, გაზაფხული იყო, ჩემთან მოსკოვიდან ბათუმში ჩამოვიდა ქართული პოეზიის ერთი უკეთესი მთარგმნელი და მშვენიერი რუსი პოეტი სტანისლავ კუნიაცევი, მასთან ერთად იყო აგრეთვე მშვენიერი პოეტი და მთარგმნელი იგორ შკლიარევსკი. ერთ დღეს ჩაქვისთავში წავედიო. ასე მომთხოვეს, სადმე თქვენებური მთა-ხევეები გვაჩვენეთო. ბადეც წავიღეთ და ალაგ-ალაგ პატარა მორევეებში კალმახებიც დავიჭირეთ.

ჩვენებური წითლად დაწინწკლული კალმახების ნახვამ მოხიზლა და უსაზღვროდ გაახარა პოეტები, რომლებმაც მთელი ხეობა ფეხშიშველა იარეს. ერთგან იგორი ქვაზე ჩამოჯდა, ეკალ-ბარდებზე დასისხლულ წვივებზე ფოთლები დაიფარა, რამდენიმე სტრი-

ქონი ჩაიწერა ნაგლეჯ ქალღმერთს. დიდი ხნის შემდეგ „იუნოსტში“ წავიკითხე მისი ლექსები, სადაც ამბობდა, ქართულა კალმასი ქართველი კაცის მეგობრობასავით სუფთაა და ლამაზიო.

ხოლო ღიმილზე იმდენი ლექსი დაწერილა, რომელი გავიხსენო არ ვიცი. ამიტომ იყო წელან ისევ საკუთარ სტრიქონებს მივმართე. ზოგჯერ გულის სიღრმიდან ამოშუქებული ღიმილით იწყება არა მარტო გაცნობა, არამედ დიდი, ხანგრძლივი მეგობრობაც. ღიმილი სიტყვას ცვლის. მეგობარი რომ მოგენატრება, მისი ღიმილი წარმოგიდგება თვალწინ და თბილი, სასწაული ძალის მომგვრელი ყრუანტელი ტალღებად დაგივლას სხეულში. ეს შინაგახა სინაილეა, რომ გეხმარება აყო კეთილი ყველას მიმართ, გიყვარდეს შრომა, ოჯახი. ერთი სიტყვით, იყო კარგი კაცი.

ასლა ისევ ის, ჩვენი სახელოვანი პოეტი, ჩემი უფროსი მეგობარი, გიორგი ლეონიძე მიდგას თვალწინ. რა საყვარელი კაცი იყო! დიდთან დიდი, ბატარასთან ბატარა, თუმცა გიორგის კაცობას ჩემი დახასიათება რად სჭირდება.

მგონი 1963 წლის ზაფხული იყო. იმხანად ლეონიძე ხშირად ჩამოდებოდა აჭარაში. და აი, ერთ-ერთი ჩამოსვლის დროს, უცნაური მღელვარებით მითხრა: კაცო, მგონი შენგან ვამიგონია, აქ სადღაც ლეონიძეები ცხოვრობენ და სოფელი ლეონიძეებაც კი არისო. მოდი, წავიდეთ იქ, გავიცნობ ჩე-

მიანებს. გული მთხოვს ძალიან რას იტყვი, ხომ შეიძლება რამე გავაკეთოთ? 

— როგორ არა, ბატონო! რაი, სიამოვნებით. აი, ხვალვე წავიდეთ. ეგ სოფელი ბათუმიდან შორს არაა, სულ ათი-თხუთმეტი კილომეტრი იქნება, სოფელ ერგის ზემოდანაა, — დავამშვიდე სტუმარი პოეტი.

მართალია, ეს დიდხნის ვან-შორებულ თანამოგვარეთა შესვენდრა იყო, მაგრამ იგი მაინც თავიდან, უბრალოდ, მეგობრულა გულის კარნახით მოეწყო და აშაღლდა.

მეორე დღეს მართლაც იმ სოფლისაკენ გავემართეთ. კახაბრის ველის გავლით ჭოროხის ნაპირს აყვევით და მალე ერგეში შევეუხვიეთ. უძველესი ბზის ბუჩქებით მოქოჩრილი აღმართი, მიხვეულ-მოხვეული კოხტა გზები მშვენიერი ოდა-სახლების ეზოებში შედიოდა. აი, თვალწინ გადაიშალა ბატარა სოფელი ლეონიძეები. ყველანი ეზოში გამოთენილიყვნენ დიდებულის სახლიკაცის, დიდი მამულიშვილის გიორგი ლეონიძის შესახვედრად.

პოეტს თვალი საოცარი სიწაბლით აევსო. აკვირდებოდა დამხვდურთ, უღიმოდა, ეხვეოდა და მალულად ცრემლებს იწმენდდა.

ბოლოს, ერთ-ერთი სახლის წინ შეჯგუფულ ხალხში შეჩერდა, დამხვდურნი მოათვალიერა და ხმამაღლა გასძახა:

— ძმებო და დებო, თქენი ჭირიმე, თქვენ გწაიცვალეთ! გეხვე-

ვი თვითეულს და მიხარია, რომ ასე ვაქცაყურად გამოვიტარებოთ საუკუნეები მღვრიე მორვევებში ქართველკაცობის იერი და შნო, სიტყვა, ზნე და ხასიათი.

თავს ვხრი თქვენს წინაშე. მე ბედნიერი ვარ, ძმებო, ბედნიერი ვარ, რომ სამასი წლის ძეხვის შემდეგ მოგნახეთ თქვენ და შეგხვდით. ამ წუთს ველოდი მთელი სიცოცხლე.

მე ვხედავდი ასეთ პოეტსა და დეკაცს როგორ უთრთოდა მხრები, როგორ უსველდებოდა ქუთუთოები.

ეს იყო მეგობრობის, ძმობის, ნათესაობის ამაღლებელი ზეიმი. იგი, მე მგონია, სიმბოლურად მთელი ერის სიცოცხლისუნარიანობის, მისი გადარჩენის, მისი უკვდავების ამაღლებული დასტური იყო.

— ჩვენი გვარი შავშეთიდანაა. იმ ავბედითობის დროს დავიფანტენით, ვინ აღმოსავლეთს მიაშურა, ვინ დასავლეთს, ამიტომ ალბათ ჩვენ კახეთს აღმოვჩნდით, თქვენ კი აქ, აჭარას შეეფარენით. — თქვა გიორგიმ. ჩაფიქრდა, სახლისაკენ შებრუნდა და მასპინძლურად გადმოგვძახა:

— მობრძანდით. სტუმრებო! ეს ჩემი სახლია, გულით გეპატიჟებით.

შინაურივით ყველას წინ წავგიძღვა. შინ შეგვიყვანა, იქ უხვო, კარგი, ბედნიერი სუფრა რომ იხილა, უფრო გაიხარა. სუფრის თავს მოექცა, ყანწი აიღო და დიმილით თქვა:

— ამ სახლში თამადაობას სთავის დაუთმობ. ეს ხომ ჩვენი ლეონიძეების სახლია, მთავრად სტა ბიჭი ლეონიძე ვარ.

ბედნიერი მასპინძლები დიდებულ თამადას ლოცავდნენ და მის ახლოს ადგილებს იჭერდნენ. დიახ, უხდებოდა გოგლას თამადაობა. ყველას ნიბლავდა ორიგონალური საღვებრძელოებოთ, ბრძნული ენამზობით. მაგრამ სუფრის ამ საპატიო თავკაცობას იგი ბევრგან სიამოვნებით უთმობდა მეგობრებს... მის გვერდით თამადაობა კი ძნელი იყო.

წელანაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: ეს ძმობის, მეგობრობის სიახლოვის განუმეორებელი ზეიმი იყო. ამ ზეიმში ლეონიძისეული ხმა, ბუხბუხა, გამორჩეული, მეგობრული, დაუვიწყარია ჩემთვის:

მე მიხდა ის ხმა, თავად რომ მექმს, მოვა. ჩადგება სულში ვით რთველი, აღამიანზე, მიწაზე, ხეზე უკეთეს სიტყვის ვიქნები მოქმელი.

წამოსვლისას, ჩუმად შევნიშნე, ლეონიძე სევდიანი თვალებით ზღვის სივრცეში იცქირებოდა. იქ, გაღმა სხვა სოფელია, ჩვენებური, მაგრამ... ჰოდა, მეც უცხოეთში განცდილი მეგობრული შეხვედრები მახსენდება ახლა.

აი. მაგალითი იმისა თუ რა შეუძლია გააკეთოს თუნდაც უცხოეთის გულში დიდი ხნის დათესილმა მეგობრობის თესლმა.

1960 წელს ამერიკაში მოგზაურობისას, ვაშინგტონიდან ჩიკაგოში მატარებლით მივდიოდით.

გზად მატარებლის რესტორანში ვისადილეთ. მე შევიგვიანე და როცა შევედი ჩვენების მიერ დაკავებულ მაგიდებთან ადგილი იქნებოდა შევნიშნე, ამიტომ დავეკვიჩი სხვა მაგიდასთან, სადაც ერთი ამერიკელი იყო მხოლოდ.

უცნობმა ჩემთან გამოლაპარაკება მოინდომა. უმალვე ჩვენს მთარგმნელი მოგვეშველა. როცა ჩემმა მეზობელმა ამერიკელმა გაიგო, რომ ჩვენ ქართველები ვიყავით, ადგილიდან წამოიჭრა. ყველა ჩვენგანს ჩამოუარა, ხელი ჩამოართვა და პირლიმილიანი, ლტაცებით რაღაცაზე ლაპარაკობდა. მთარგმნელი ძლივს ასწრებდა შინაარსის გადმოცემას. უცებ ჩემმა უცნობმა მეზობელმა ზანგი ოფიციალტი მოიხმო, რაღაცა დაავალა და თავის ალაგას დაბრუნდა. მალე ყველა ჩვენთაგანის წინ კოხტად შეფუთული პატარა ბოთლებით კონიაკები ჩამოაჩივებს.

— „გენერალ მოტორსის“ ინჟინერი გახლავართ, — ამბობდა ის კაცი. — დიდი ხნის წინათ დნებრჰესის მშენებლობაზე ვმუშაობდით რამდენიმე ახალგაზოდა ამერიკელი სპეციალისტა. კვირა დღეს კიევში ჩავედით და ერთ-ერთ რესტორანში ვისადილეთ. უცებ ოფიციალტმა ჩვენს სუფრასთან მთელი ყუთით ღვინო მოგვიტანა. ჩვენ უარი ვუთხარით, არ გვინდა-თქო.

ართო, გაგვიმართა მომტანმა, აქ ქართველები სხედან, როცა გადგეს უცხოელი სტუმრები იყავით.

პატივი გცეს, რაც ამით გამოგატესო. და აი, ორმოცზე მეტი ლიწადია ვეძებ შემთხვევას, როცა მე ქართველი შემხვდეს და სავსე გიერო გადაუხადო. დღეს ბედნიერი ვარ.

მერე აღელვებულმა მოიკითხა რა პროფესიისა ვიყავი მე და როცა გაიგო ლიტერატორიაო, გიბიდან ამოიღო თავისი საუარმომო საწერი კალმისტრები და ვაღმომცა, გთხოვ ამით მშვიდობისა და მეგობრობისა დაწერო რამეო.

აი, რამდენი ხნის შემდეგ გამოიღებს თურმე ნაყოფს ოდესღაც დათესილი მეგობრობის კეთილი თესლი.

საფრანგეთში ამ რამდენიმე წლის წინათ, ქალაქ ტულუზას რომ ვეცნობოდით. ერთი იქაური მოხუცი მომიახლოვდა. ლაპარაკზე შეგატყვეთ საქართველოდან ხართო, განმიმართა. მე ფრანგი ბასკი ვარ და თქვენი ნათესავიო. სავიზიტო ბარათი მომცა და მითხრა, მიგულეთ აქა, როგორც ძმა-მეგობარიო. მე ამის რწმენაც მეყოფათ.

ხოლო მონპელიეს უნივერსიტეტის რექტორმა მთელი ჩვენი შეხვედრა იმ სურვილის გაცხადებას მიუძღვნა, რომ თბილისის უნივერსიტეტთან დამეგობრება გვინდაო. აქ, ჩვენს უნივერსიტეტში ზომ ოდესღაც, ცოტა ხნით თქვენი მწერალი ეგნატე ნინოშვილი ისმენდა ლექციებსო.

მაგრამ ყველაზე მეტად გულში ჩამრჩა ვიეტნამში მიღებული მეგობრული შთაბეჭდილებანი; მა-

შინ. ჯერ კიდევ ომიანობის ქაშის ვიეტნამში ჩვენდამი, საბჭოელი ადამიანებისადმი, კერძოდ, საქართველოსადმი გამჟღავნებული სიყვარული და პატივი.

ჰანოიში რომ აეროდრომზე დავიწვიეთ და თვითმფრინავის ტრაპზე ჩავდიოდით, შევნიშნე, ერთი ჩნდებოდა ვიეტნამელი ქალი, ყვავილების დიდი თაიგულით ჩემკენ გამოქანდა, მომხვია. აქვითინდა ყვავილები მომარჩია, „გამარჩობა, გამარჩობა“ — გაიძახოდა.

თურმე საქართველოში ყოფილა რამდენიმე ხნის წინათ, ყოფილა ბათუმში, შევხვედრივართ და ახლა მიცნო, პირდაპირ სახელით მომმართა. ცდილობდა თითო ღერი ქართულიც ეთქვა.

მე ამით არ ვამბობ, დელეგაციის სხვა წევრებს გულგრილად შეხვდნენ-მეთქი.

ჩვენს სტუკაციან დელეგაციაში ერთი ირკუტსკელი იყო, იქაური განათლების დარგის მოღვაწე. იმ დროს საბჭოეთისკენ მომავალი ვიეტნამელები უსათუოდ ირკუტსკში შეჩერდებოდნენ და, საერთოდ, ციმბირის მხარესთან ახლა უფრო ახლობლური, მეზობლური კავშირი აქვთ. ჰოდა, იმ ირკუტსკელს პირდაპირ გულში იკრავდნენ. რუსულად სიმღერაც კი უმღერეს, ხოლო ჩვენმა თანმხლებელმა დამხვდურთ მიართვა ციმბირული კედარის ნაყოფიანი ტოტები, რაც ვიეტნამში თურმე საოცარი მოწონებით სარგებლობს.

1964 წელი იყო. ამერიკელთა

სამხედრო მეკობრეები ჩრდილო ვიეტნამის თავზე ყოველდღე ფრინავდნენ. ქვეყანა დაქვეითდა ცხოვრობდა. მაგრამ ჩვენთან, ნაღდ მეგობრებთან შეხვედრისას, მასპინძლურ გულუხვობას, ღიმილს, სიყვარულის გამჟღავნებას საზღვარი აღარ ჰქონდა.

ბოლო დღეს პრეზიდენტმა ხო ში მინმა მიგვილო. არ დამავიწყდება ის წუთები. თავიდან არ ვაცოდით, თუ ასეთი მიღება შედეგებოდა. ამიტომ საბჭოური სუვენირები სულ გაცემულ-გაჩუქებული იყო.

მარტო მე აღმომაჩნდა ჩანთაში ერთი სვანური ქუდი და უბრალო წყვილი ყანწი, რაზეც ქართულად „ბათუმი“ ეწერა. დელეგაციის მეთაურმა მთხოვა, პირადად მე გადამეცა ეს უბრალო სახსოვარი პრეზიდენტისათვის. ვწუხდი ძალიან, ისეთი მცირე რამ როგორ შევკადრო ქვეყნის მეთაურს-მეთქი. მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო, არც დრო ითმენდა. შევხვებოდი ეს ჩემი საჩუქარი ქალაქში, ამოვიღე ილიაში და სასახლის კარებში შემავალთ გაუხვებდავად გავყავი.

ხო ში მინი უბრალო და თავმდაბალი კაცი იყო. ერთ პატარა მისაღებში შეგვიწვია, გვერდით მოგვისვა და საუბარი დაიწყო. დრო ვიხელთე და მოკრძალებით გადავეცი ის ჩემი პატარა სახსოვარი. პრეზიდენტი ფეხზე წამოვდგა, სვანური ქუდი უმაღვე თავზე დაიხურა და, აქვე ვიტყვი, მთელი მიღების პერიოდში არც



მოუცილებია. მერე ერთი ყანწი გამომართვა, ღიმილით დააკვირდა. გვითხრა, 1949 წელს მოსკოვიდან რომ რამდენიმე დღით საქართველოში მაცილებდნენ, კრემლში საუბრისას ხუმრობით გამაფრთხილეს. უფრთხილდი საუბე ყანწი ხელში არ მიიღო, თორემ ვერ დაცლი, არც უკან გამოგართმევენ და ვერც ძირს დადგამო. სულ ამ ყანწისა მეშინოდა. ახლა კი არ მეშინია, შინა ვარო.

ჩაასხა იმ ჩემ ნახუქარ ყანწვა ვიეტნამური სასმელი და ფეხზე მდგარმა ხო ში მინმა საქართველოს სადღეგრძელო დალია.

მართალია, ჩვენი დელეგაცია ოფიციალური იყო და იგი ორა მეგობრული სახელმწიფოს ურთიერთობის შემდგომი სიკეთასათვის იყო გამიზნული. მაგრამ ჭეყვანათა მეგობრობა მაინც ცალკეულ ადამიანთა კონკრეტულ კონტაქტებსა და ხასიათებში მიღავნდება და გვირისტდება. თუ შენ შენი თბილი გული და წრფელი სიტყვა არ აგრძნობინე იმ ქვეყნის კაცს, შესაძლოა ცუდა სამსახური გაუწიო საკუთარ სამშობლოს. შესაძლოა შენი ერთი მეგობრული ღიმილი და მართალი სიტყვა მთელი შენი სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკის ქეშმარიტი არსის გამომხატველიც გახდეს.

დავდიოდით ვიეტნამის მიწაზე და მეჩვენებოდა, რომ მიწა ჩვენსკენ ხელივით გამოიშვერდა ლერწამს, თითქოს გვეალერსებოდა.

ლერწამი ისე ეხვევა ნიავს, როგორც ქოროხთან, როგორც ფოთლებს დამიქნეს, სადაც გავიარა და მისმინეო, — თითქოს მასალებს. ვუთხარ: აქედან ისე არ წავალ, რომ საქობონე არ მომცე ლერო, — მსურს ვიეტნამის მწვანე ლერწამში ჩემი ქართული სული ჩაებერო.

საბჭოთა ქვეყნის დიდმა მეგობარმა, თავისი ხალხის ნაცადმა ბელადმა, მსოფლიო მასშტაბის გამოჩენილმა მოღვაწემ, უბრალო ადამიანური ურთიერთობისას, მეგობრული გულახდილობის წუთებში გვიჩვენა კაცურკაცობის მაღალი მაგალითი: საოცარი უბრალოების, თავმდაბლობის, სიხარულის მომნიჭებელი გრძნობა გვაჩუქა. რაა ეს? — მეგობრობა!

როცა ნახევარწელიწადს დიდსაოკეანო გემზე ვმუშაობდი, მახსოვს. იაპონიის ნავსადგურსაკადაში ვიდექით. საღამოს გემთან ადგილობრივი ახალგაზრდობსწარშომადგენლები მოვიდნენ. ჩვენ ისინი გემში მოვიპატიყეთ და საბჭოეთზე ვესაუბრეთ, ვუჩვენეთ ჩვენებური ფილმებო. ორიოდ რუსულის მცოდნეც აღმოჩნდა მათ შორის, მაგრამ საქართველოსი არცერთმა არაფერი იცოდა.

საღამოს დასასრულს საქართველოს შესახებ ერთი დოკუმენტური ქრონიკა ვუჩვენეთ. როცა ეკრანზე თოვლიანი კავკასიონის მწვერვალები აისახა, ხოლო ქვემოთ, ბარში, მწვანე ბექობებზე მიფენილი სვანური სოფლები ვამოჩნდა, სტუმართა შორის გაუ-

გებარი ჩურჩული და ჩოჩქოლი  
ატყდა. ორი ბიჭი მაინც განსაკუ-  
თრებით ხმამაღლა კამათობდა.

შეორე დღეს სწორედ ის ორი  
ბიჭი მოვიდა გემთან და მე მთხო-  
ვეს ქალაქში გავყოლოდი. დად-  
უნივერსიტეტში მიმიყვანეს და ერთ-  
ერთი დარბაზის კედელზე გრან-  
დიოზული ფოტო-პანო მაჩვენეს.  
ეს საქართველოს ჩემთვის ნაცნო-  
ბი პეიზაჟი იყო, წინა პლანზე  
ხანდაზმული ბერიკაცები ყანწე-  
ბით ხელში, მხრებზე გადაგდებუ-  
ლი ყაბალახებით მღეროდნენ.

— ეს ეგზოტიკური სურათი  
ვილაცისაგან შევიძინეთ. დიდი  
ხანია აქაა. მაგრამ არ ვიცოდით  
რომელი ქვეყნის პეიზაჟი იყო,  
წუხელ კი დავრწმუნდით, ეს სა-  
ქართველოა.

მოიტანა ერთმა მსხვილი შავი  
ფლომასტერი და პანოს ერთ კუ-  
თხეში იაპონურად ჩვენი მამუ-

ლის სახელი გამოსახა, მერე სი-  
წერი მე გადმომცა. მე ვიცი და  
იეროგლიფების ქვეშ ჩვენი ქუ-  
რად მივაწერე — „საქართველო“,  
რუსულის მცოდნე ბიჭმა ამიხსნა,  
ჩვენ დიდი სავაჭრო კომპა-  
ნიის თანამშრომლები ვართ, ამ  
კედელს მეგობრობის კედელს  
დავარქმევით. სიცილითა და ზეე-  
ვნა-ალერსით დავემშვიდობეთ  
ერთმანეთს.

შებინდებისას ჩემ კაიუტაში  
ვიჯექი და ილუმინატორში ვხე-  
დავდი იაპონურ ქალაქს ჭრელ-  
ჭრელა რეკლამებით, საოცარი წა-  
რწერებით, კოლორიტით. გარეთ  
თოვდა. მარტი თავისი თეთრი  
ფანტელებით თითქოს შუშუბზე  
რალაცას წერდა, მე და იმ იაპო-  
ნელმა ბიჭმა რომ მივაწერეთ კე-  
დლის დიდ პანოს, თითქოს იმ ნა-  
წერს აგრძელებდა. მაშინ უბის  
წიგნაკში გაჩნდა სტრიქონები:

თოვს, ჩემს შუშუბზე ფანტელებით იეროგლიფებს  
წერს იაპონია.

დილა მთებზე ნისლებს რომ მოხვეს,  
დავაჯილდოებ უცხო მხერით თოვლიან ქოხებს,  
საკვამურები დაართავენ ფიქრების მოხერს,  
დაწვება თოვლი ამ დაღალულ გემის ბანებზე,  
გამოვა ქალი და თვალებით თიფქო დამეძებს,  
არ ვიცი ენა, — ალბათ ისევ ღიმილებს გავცვლით.  
თოვს და შუშუბზე ფანტელებით იეროგლიფებს  
წერს იაპონია, უკვე როგორც ნაცნობი კაცი.

ამ რამდენიმე წლის წინათ,  
უფრო ზუსტად, 1968 წლის ზა-  
ფხულში ქართველ მწერალთა  
ერთი ჯგუფი თურქეთს გაემგზა-  
რა.

ვიდრე ზოგიერთ ეპიზოდს გა-  
ვიხსენებ, მინდა შეგინიშნო: ვფი-

ქრობ ზოგჯერ არც გინახავს. არ  
იცნობ, მაგრამ ისე, შორიდან წა-  
რმოგიდგენია მეგობარი. წარმო-  
გიდგენია და თითქოს კიდევ გეყ-  
ვარს. აი, ასეთი მეგობრების შე-  
ხვედრა-გაცნობას იღუმალად მკა-  
რნახობდა წინათგრძნობა. თურ-

ქეთში ხომ ძალიან ბევრი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს. ეს კედევ არაფერი, საოცარი ისაა, რომ ოთხი-ხუთი საუკუნით დედა-სამშობლოსაგან მოწყვეტილ ადამიანებს მშვენივრად შეეჩინარჩუნებათ მშობლიური ენა.

დღეს, როცა ჩვენი ქვეყანა ასე კეთილმეზობლურ, სამშვიდობო, სამეგობრო კავშირებს ახორციელებს თურქეთთან, უფრო მეტად მსიამოვნებს გავიხსენო ჩვენი იქ ყოფნის დღეებში თვითონ თურქი მასპინძლების მეგობრული დახვედრა. მათი განსაკუთრებული გულითადობა გურჯებისადმი, ჩვენდამი — ქართველებისადმი. ეს სიყვარული და პატივისცემა ჩვენ ფაქტიურად, იქ მცხოვრებმა თანამემამულეებმა მოგვიმზადეს. გურჯი თურქეთში სამეგობრო-სამეზობლო, ჭირში და ლხინში ვამოსადეგი კაცია. გულუხვი მასპინძელი და ხელისგამწყობი, კეთილი, ღმობიერი, სამართლიანი.

როცა ასეთი სახელი დაუმკვიდრებიათ იქაურ გურჯებს. უკვე ჩვენც გავვიადვილდა ნდობისა და ყურადღების მოპოვება.

მახსოვს, სტამბოლის ერთ ქუჩაზე წყლის დასალევად პატარა სავაჭრო ურიკასთან შეეჩერო. ბიჭმა წყალი დამისხა, იგრძნო უცხოელი ვიყავი. მკითხა, სადაური ხართო, როგორც გაიგო ვინაობა. უმალვე გადადმა მოთამაშე ბიჭებს გადასძახა თურქულად — ნიაზ, ნიაზ! შევტუხა ბიჭუნა მოვარდა, წაბლისფერი ქოჩორო

და თვალები მეცნო. მიცინოდა ვუცხოდი, უსიტყვოდ მოვიხუტე მკერდზე. მისი მეგობარი ეუბნებოდა, ხომ განახე თქვენებურიო. სხვათაშორის, ამ სტამბოლელმა ქართველმა ბიჭუნამ სუსტად იცოდა მშობლიური ენა. შემომჩვილა — ნენეი ადრე მომიკვდა და ქართული ამიტომ კარგად ვეღარ ვისწავლეო.

არ მაიფიქლება სევდიანად პირმლიმარი ის სტამბოლელი ბიჭი, მაგრამ არც ის წყლის გამყიდველი თურქი ბიჭი მაიფიქლება. თავისი მეგობრის გულისძგერისა რომ ასე იცოდა, მშობლიური ქვეყნის კაცს შეახვედრა. სახარული აჩუქა. ადრე დედაწართმეულ ქართველ ჭაბუკს, რომ ის თურქი მეგობარიც არ აღმოჩენოდა. განა თავისთავში გადაარჩინდა სიზმარივით შორეული, მშობლიური მემლექეთისადმი სიყვარულს და ნატვრას?

პროგრესული და პოპულარული თურქი მწერალი აზიზ ნესინი, რომელიც ყოფილა საქართველოში, ალალი მეგობრულობით თავს დაგვტრიალებდა ყოველდღე.

ერთხელ მან გვითხრა: არ ეიცოდი ჩვენი მწერალი და თეატრალური კრიტიკოსი ჰაიათ ასილიაზიჯი თუ ლაზი იყო. ლაზები კი ქართველთა მოდემისანი არიან, ასილიაზიჯის პატივისცემა გამოირკვედაო. აი, თურმე რატომ გამოირჩევა ის გულუხვობითა და მეგობრისადმი თქვენებური ერთგულებითო.

მე იქ უნახავ მაჰიდას შეეხვედი და უცნობი ბიძაშვილებიც აღმოვაჩინე. მაგრამ ნათესავთა შეხვედრა და ურთიერთ სიყვარული, რაც უნდა მღელვარე იყოს, ის მაინც ტრადიციულ, დაკანონებულ კალაპოტშია მოქცეული. იგი კანონიერია და ჩვეულებრივი, ამაზე აღარას ვიტყვი.

მაგრამ სტამბოლელ ხუთ ძმა—კორტანიძეთა შესახებ ნამდვილად არაფერი ვიცოდი. ისინი ძმობა-მეგობრობის გრძნობამ მოიყვანა ჩვენ სანახავად. უფროსი — ხასანი საქმოსანი კაცია, სტამბოლის ერთ-ერთ ახალ რაიონში მთელი უბანი აღუშენებია. სხვათაშორის. ქალაქის მერიას ამ უბნის მთავარი ქუჩისათვის „ხუთი ძმის“ ქუჩა უწოდებია.

მახსოვს, იმხანად კორტანიძეები თავის უბანში ახალი დიდი შენობის ფუძეს ჰყრიდნენ. ეს დიდი საკონცერტო დარბაზი იქნებაო, გვითხრეს და გვთხოვეს ღრმად გაჭრილ მიწაში. იმ ახალი წაგებობის ბალავრის ჩასადებაი რომ იყო გამზადებული, საქართველოდან ჩამოტანილი რაიმე ნივთი ჩაგვეგდო. ზოგმა ხურდა ფურული ისროლა, ზოგმა კიდევ სხვა რამ.

ხასანმა დაიფიცა, როცა შენობა მზად იქნება, სეზონს მხოლოდ საქართველოდან მოწვეულ საკონცერტო კოლექტივს გავახსენებო.

სალამო იყო, ირგვლივ დიდი ქალაქის ჩირაღდნები ელვარებოდა

მა მისი მძლავრი სუნთქვა გრძელ-მოღა.



უცხო, შორეულ, ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებით მტკივნეულად ნაცნობ ქალაქში რაღაც სხვანაირად შთამაგონებლად მოქმედებდა სულზე და გულზე ოდესღაც მუჰაჯირად წასულ ჩვენებურებთან შეხვედრა. კაცი, სტამბოლის სრულუფლებიანი მოქალაქე, მოლავაწი, მისი ახალი აღმშენებელი, თითქოს სხვანაირად აღზრდილი, სხვანაირად განათლებული, სხვა სამყაროში, სხვა იდეალებით ჩამოყალიბებული ზნე-ჩვეულებით, გელაპარაკება შენებურ ენაზე; მშობლიურ ენაზე. უფრო მეტიც, აჯი ლაპარაკობდა მამაჩემის, ჩვენებური გლეხიკაცის შინაურ ენაზე. ასეთი სოფლური, ჩვენებური აქარულ-შავშეთური დიალექტებით გაწყობილი ენა წაიღო ბაბუამისმა აქედან და უკვდავი სოცოცხლის ფესვი ჩარგო შევალთა და ბადიშთა სულებში.

როგორაა ჩვენი შემდეგეთ-საქართველოო, ყოველ წაბიჯზე გვეკითხებოდნენ. რაც უნდა ბევრო მეთქვა. მაინც ისევე ამას გვეკითხებოდნენ

სწორედ იმ დღეებში ამაზე ვახინდა ლექსი:

მითხარ, როგორია მემლექეთი,  
ჩემი სანატრელი საქართველო,  
რამე იმნარი გამაგონე,  
გული დაკოდილი გავამრთელო.  
მითხარ, როგორაა მემლექეთი  
მცხეთა, ქობულეთი, კახაბერი,  
იგი ნიდავ თუ არ ვახსენე.

მაშინ ერთი წუთიც დამაბერებს.  
მითხარ, როგორაა შემდეგეთი,  
ჩვენ აქ არ გავგონოთ ჩამქრალები,  
იზმითს, ეგეოსის ნაპირებზეც  
ვაგეთ საქართველოს სახლ-კარები.

ოჯახში მიგვიწვიეს. ახლო-მა-  
ხლო მცხოვრები ჩვენებურები-  
ქალები, ბავშვები სულ აქ შეყრი-  
ლიყვნენ. ბავშვები გვეხუტებოდ-  
ნენ, კიბეებზე გვეგებებოდნენ.  
წიგნებს გვთხოვდნენ. „დედა  
ენა“ თუ წამოგვიღეთო. ანბანი  
ქართული გვინდა ვისწავლოთ და  
ჩვენებურ ენაზე წერილი მოგწე-  
როთო, თქვენი ამბავიც მშობლი-  
ურად გვინდა წავიკითხოთო.

ჰოდა, შინ რომ შევედიო, დარ-  
ბაზში მოხუცებულები შეყრილი-  
ყვნენ. ცხონებული ბესო ჟღენტი  
არ დაიბნა. მოდიოთ, გვითხრა.  
ლექსები წავუკითხოთ აქ მოსულ  
თანამემამულეებს. ალბათ ქართ-  
ველი პოეტისაგან ლექსი ამათ  
არც მოუსმენიათ, რა იქნება ამა-  
ზე მეტი მადლი. აბა, პოეტებო-  
ხმა ამოიღეთ!

რატომღაც პირველი სიტყვა მე  
მერგო. არ ვიცი რატომ. მაგრამ  
პირდაპირ დავიწყე ლექსი თბი-  
ლისზე:

ნუ დამიძახებ სტუმარს იმიტომ,  
რომ უშენობა მწვავედა ასწლობით.  
შვილი მშობელთან ველარ მოვიდა.  
ველარ იცნობდა ნაცნობს ნაცნობი.  
მე მარადიდში დამრჩა მარჯვენა,  
ხიხანის ციხედ ვიყავ ქვეყნა,  
და შენი სიტყვის გადასარჩენად  
იღეწებოდა ჩემი სხეული.  
მე შენ მიწის ერთი კენჭი ვარ  
და შენი ზეცის ერთი მერცხალი,  
მე საქართველოს დიდი სიმღერა  
გულში ჩავინთე, ვით ნაკვერცხალი.

ამას თქვენი სახელითაც ვამბო-  
ბდი, მეგობრებო-მეთქი, ვუთხრა  
რი. ეს სტრიქონები ჩვენებურულ  
დიდ დარბაზებში მითქვამს  
მხურვალე ტაშითაც გამიხარა.  
მაგრამ იქ, სტამბოლელ ქართვე-  
ლთა თვალში დანახული კურცხა-  
ლი, მათი — მშობლიურ სიტყვას,  
დანატრებული გულების ფეთქვა-  
იმ ერთ ოთახში დატეული ოვაცია,  
საქვეყნო დიდებად მერგო, ავმა-  
ლლდი და კიდევ ერთხელ ღრმად  
დავიჯერე, რომ პოეზია მუდამ  
საჭიროა.

ამ ბოლო დროს საერთაშორის-  
სო ამბები, განსაკუთრებით ის  
ამბები, რაც საბჭოთა ქვეყანასა  
და თურქეთს შორის ხდება, ამ-  
ბები ჩვენი ორი ქვეყნისა და ხა-  
ლხის მეტი სამეგობრო დაახლო-  
ებისა, ჩვენი კულტურებისა და  
ხელოვნებათა მეტად გაცნობისა,  
თითქოს ამსუბუქებს იმ სევდას.  
თანამემამულეებთან მაშინდელ-  
მა განშორებამ რომ დატოვა  
ჩვენს გულებში. ეს კარგი ნაბი-  
ჯია, საიმედო, საჭირო.

შინმოსული უცხოელ მეგობ-  
რებს რომ გაიხსენებ, გინდა არა.  
მარტო ფიქრი, არა მარტო შენი  
გულის ზრახვანი, არამედ შენა-  
მიწის თვით ბალახიც, ხეც, ჩანჩ-  
ქერიც გრძნობდეს შენს განწყო-  
ბილებას. ხედავდეს დედამიწის  
ყველა კუთხეში შენს კეთილ მო-  
კეთეს, შენს მეგობარს, ასეთ,  
დროს მე მითქვამს:

ხე, როგორც მიწის მაღალი ხელო,  
ხე, რამაც ამდენ ავდარში გაძლო,  
ხალხებო, ცაო, ზღვაო და ხმელო,  
თქვენკენ ხელივით ვაწვდილა საქმოდ.

მეგობრობისა და სიკეთის და-  
ვიწყება არავის ძალუძს.

ასევე მინდა იმის მაგალითი ვა-  
ვიხსენო, თუ შორეულ ქვეყანა-  
შიც კი ხანდახან როგორ გაგაბე-  
დნიერებს კაცს ღოღმე შენი თა-  
ნამემამულის მიერ ოდესღაც და-  
ტოვებული მეგობრული სიკეთე.  
ამ რამდენიმე წლის წინათ უნგ-  
რეთში ყოფნისას, ბალატონის  
ტბასთან ერთ ვენახოვან სოფელ-  
ში გლეხთან მიმიწვიეს.

რთველი იყო. დიასახლისმა  
გრაფინით ქაფმოდებული ყურძ-  
ნის წვენი მოიტანა. უნგრულად  
მიგვიპატიყა, მაგრამ ერთი სიტყ-  
ვა ყურს მოხვდა „მაჰარი“.

თქვენც მაჰარს ეძახით ახალგა-  
ზრდა ღვინოს-მეთქი? — ვიკით-  
ხე გაოცებულმა, ხნიერი დიასახ-  
ლისი ღიმილით მოგვიყვა და თა-  
ნაც სარკმლიდან, იქით დიდ მინ-  
დორს გვიჩვენებდა. ომის დროს,  
საბჭოთა არმია რომ გერმანელებს  
მირეკავდა, აი ამ მინდორში ცეც-  
ხლმოდებული ტანკი დავინახეთ  
ქაღვბმა. გულმა გვიგრძნო, შიგ  
ადამიანი იქნებოდა. ტრანშეები  
გავძვერით. ახლოს რომ მივედი,  
შევნიშნეთ აღმოდებული კაცი  
ნახევრად ამოსულიყო და იწვო-  
და. მივეშველეთ, ცეცხლი ჩავუქ-  
რეთ. ძლივს სუნთქავდა. სოფელ-  
ში მოვიყვანეთ, მოვასულიერეთ  
და აი ამ სახლში ბინა მივეცით  
გამოკეთდა. გვითხრა, საქართვე-

ლოდან ვარო. შევეტუნა.  ვერძი.  
ლამაზი ბიჭი იყო. სესტრე-  
მიწურულს დაღწილ-  
ზვრებიდან თითო-ორიოლა კალა-  
თი ყურძენი ძლივს გამოგვექონდა.  
იმ ბიჭმა მოწურა წვენი, დააყენა.  
ორ დღეში დაგვალევიანა და თქვა,  
ამას მაჰარი ჰქვიაო. მერე, უნგ-  
ბურად, ყველანი ღვინოს პირველ  
დღეებში ჩვენც მაჰარს ვეძახათ.  
სხვა სოფლებშიც გადავიდა ეს  
გამოთქმა და, მგონი, მთელ უნგ-  
რეთს მოედო.

დიასახლისს ნენი ერქვა სახე-  
ლად. ეუთხარი, ჩვენში დედას  
მიმართავენ ასე-მეთქი.

და ომიდან ოცდაათი წლის მე-  
მდეგ ახალი მაჰრით უნგრელმა  
ქალმა იმ ბიჭის — ქართველი  
ჯარისკაცის სადღეგრძელო და-  
ლია, მე კი უნგრელი დიასახლისი  
დავლოცი, როგორც დედა.

აგერ, უფრო ახალი მაგალითა.  
თუ როგორ ეხმარება უბრალო  
ადამიანთა შორის ნდობისა და  
მეგობრობის გაღვივება სახელმ-  
წიფოთა და მთავრობათა ურთი-  
ერთგაგების მკვიდრი ატმოსფე-  
როს შექმნას.

საბჭოთა და გერმანელი ხალ-  
ხების დღევანდელი სამეგობრო  
ურთიერთობის ლამაზი მაგალი-  
თია საქართველოს და გერმანიის  
ფედერაციული რესპუბლიკის საა-  
რის ოლქის, ქალაქების თბილისი-  
სა და საარბრიუკენის კულტურუ-  
ლი ურთიერთობანი.

რა მომხიბლავი ადამიანური  
სითბო და სიყვარული დაგვახვე-

დროს შარშან საარბრიუკენის კულტურის მოღვაწეებმა, როცა იქ ჩავიდა ქართველ მწერალთა ჯგუფი მორის ფოცხიშვილის, ოთარ ჭელიძის, აწ განსვენებული ნოდარ რუხაძისა და ამ წერილის ავტორის შემადგენლობით.

ჩვენი დიდებული პოეტები მორის ფოცხიშვილი და ოთარ ჭელიძე ჩემი დიდი ხნის მეგობრები არიან. მაგრამ უცხო ცის ქვეშ გატარებულმა რამდენიმე დღემ სულ ახლად გაგვაცნო და შეგვაყვარა ერთმანეთი.

მარტინ ბუჰონი, შავულვაშიანი, მაღალი, მკვირცხლი ვაჟკაცი, პოეტი და ჟურნალისტი, მითავევა ამ წამოწყებებისა. იგი, აერთოდრომზე რომ დაგვხვდა, მოგვხვდია და თქვა, მე გერმანელი ქართველი ვარო. იმავე საღამოს თავის ბინაში წაგვიყვანა. მთელი სახლი ქართული სუვენირებით, ნახატებით, დოქებით, ჭედური ნიმუშებით იყო მოფენილი. ეს კი მინიატურული საქართველოა ჩემთვისო.

მარტინი, რა თქმა უნდა, თავისი მშობლიური ქვეყნის დიდი პატრიოტია. მაგრამ საქართველოს სიყვარული სწორედ თავისი პატრიოტიზმის ასამაღლებლად გამოადგა. ამასთან საქართველო ხომ საბჭოთა რესპუბლიკაა და ჩვენი სამეგობრო საქმენი საბჭოეთსა და დასავლეთ გერმანიას შორის ახალი საიმედო სიახლოვის ასაშენებლად ივარგებს.

ერთ-ერთ მიღებაზე, ქალაქის შიბლიოთეკაში, ჩემს გვერდით

აღმოჩნდა ვილაც ხმელი, უფრო ახალი მოხუცი. იგი დიდხანს იყო. მერე უცებ ხმადაბლა წყო რუსულად საუბარი. როგორია ახლა თბილისში დღეები. ომის დროს ტყვედ მოვხვდი და თბილისში გამამწესეს სამუშაოდო. მითხრა. ჩემი მეგობრობა მაშინ. იმ საშინელი მტრობის დროს დაიწყო საბჭოთა აღამიანებთანო.

წარმოიდგინეთ, ტყვე, დამარცხებულ, ყოფილი ნაცისტური არმიის ჯარისკაცს, რომელსაც იმ გამწარებულ დროს ჩვენში, ომით გულდაკოდილი აღამიანები, ბუნებრივია, ვერ მიეფერებოდნენ. ვერ აგრძნობინებდნენ ჩვენებურ გულითადობას, მაინც უგრძნია, მაინც უცვნია ის მთავარი, კეთილი და ლამაზი, რასაც ამდენი ხნის შემდეგ თვითონვე მეგობრობა უწოდა. ამ სევდამორეულმა გერმანელმა კაცმა გამიმხილა, რომ ჰყავს ერთი გადმოხვეწილი ნაცნობი, უკრაინელი, მაგრამ იმას საბჭოთა ქართველების ნახვა არ მოისურვავო. მე მივხვდი რატომ შეეშინდა იმ უკრაინელს ჩვენთან გამოჩენისა. იმას ალბათ საკუთარ სამშობლოსთან შეხვედრისაც ეშინია და რცხვენია.

და იმ წამს ჩემი უკრაინელი ძმები გამახსენდა: კოროტიჩო, პავლიჩკო. სხვები და გული ვამიმრთელდა სხვა, უფრო მძლავრი. მარადიული მეგობრული სიხარულის მაღლით.

ასე იყო იმ შორეთებში.

მაგრამ ყოველთვის, სადაც არ

უნდა იყო, რაღა თქმა უნდა. თვალწინ ისევ შენი საკუთარი მამული გიდგას.

დასალოცავო, დაუღალავო მიწვე და ხალხო.

სისხლო მამათა,

ხან თუ დუნია სუფრად დასახონ.

შენაც დადგები თავში თამადალ.

არ ხარ მომავლის მშვიდალ

მეკრეტელი.

არც მოგიხდება გულდამშვიდება,

იყავ სიკეთე განუწყვეტალი,

დედავ, ნურაფრის შეგეშინდება!

სიყვარულსა მალვა უნდაო, კარგად ნათქვამია ერთ ლექსში. მე მგონია, ზოგჯერ მეგობრობასაც უნდა მალვა.

ყველას ხომ ვერ აუხსნი დაწვრილებით ესა თუ ის მეგობარი, რომელიც ხშირად გხვდება, რომელიც შენთან დადის, რამ დავიანახლოვა, რა ურთიერთობა გააკავშირებს, რაშია საქმე. ზოგიერთი მეზობელი, ან უბრალო ნაცნობი ეჭვის თვალითაც გიცქერის, ვაგჭორავს, რას არ იფიქრებს.

საქართველოში შენ ერთი მაინც არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვებიო, ეუბნება დილა გალაკტიონი თავის ერთ ჩვენთვის უცნობ, სანდო მეგობარს.

1944 წლის წვიმიან გაზაფხულზე, სოფლიდან ჩამოსული პიჭი სასტუმრო „პირველ მაისთან“ დავდგებოდი და ველოდი ვიღაცის გამოჩენას. ეს „ვიღაცა“ გალაკტიონი იყო. იგე ამ სასტუმროში ჩერდებოდა ხშირად. ვამოვიდოდა უხარმაზარი პორტფელით ხელში. ვიღაც უბრალო კაცი დაემგზავრებოდა, ალბათ ნა-

ცნობი, ან მეგობარი. აი, იმას ვაუჩერდებოდა, დინჯად, ეგუტანუყუბით ესაუბრებოდა პოეტი. <sup>შეხვედნა</sup> იშვიათად დამინახავს ქუჩაში მიმავალი და მოსაუბრე რომელიმე დედაქალაქელი პოეტი, ან ცნობილი ლიტერატორი.

დიდი ხნის მერე თბილისში შემხვდა, მიცნო, რომ ბათუმელი ვიყავი, მაგრამ გვარი არ იცოდა. მკითხა, ხალვაში მეთქი, მივუგე. შეჩერდა, ჩაფიქრდა.

— ბატონო გალაკტიონ, მეგობარი ხომ არავინ გყოლიათ ხალვაშიდან — ვკითხე უეცრად.

— ხალვაში? იცი, ძამიკო, ოდესღაც წიფის გვირაბში, ღამით მატარებელი გაჩერდა. რუსეთიდან ვბრუნდებოდი, ცხრაასთვრამეტი იყო მგონი. შეშინებულნი მგზავრები ძირს დაემუნენ და წინ გაემართნენ. რა მოხდაო. მეც გავყევი. ორთქლმავალი გვირაბიდან გასულიყო და ტყესთან ბინდებუნდში ქშინავდა. წინ, რელსებს შორის, დავინახე მალაღი. შავკაბიანი ქალი იდგა. ადგილიდან არ იძროდა. ორთქლმავალი სულ ახლოს მიდგომოდა. ალბათ მემანქანემ ძლივს მოახერხა შეჩერება. ყელმოღერებით იდგა მდუმარე და სადღაც ზემოთ იცქირებოდა, თითქოს ზედ მოსულ მატარებელს ვერც კი ამჩნევდა. რა ნაზი იყო, სათნო, საოცრად ლამაზი, მაგრამ ვაჟკაცური. ახლოს მისვლაც ვერ გაბედა ვერავინ. რაღაცნაირი ჯადოთი გაგვაშეშა სუყველანი და ასე ხმაგაქმენდილნი ვუცქეროდით მას.

ამ დროს, უკან, მატარებლის ერთერთ ვაგონთან ჩოჩქოლი, შიქაძეები და გასროლაც გაისმა. თურმე ვაგონში იარაღი ეწყო. ქართველი რევოლუციონერების დასარბევად გამოგზავნილი. გატეხეს ვაგონი და ეს იარაღი სულ ტყეში გაზიდეს იმ რევოლუციონერებმა.

ეს ქალი აღბათ მათი გამოგზავნილი იყო, რათა მატარებელი გაეჩერებინა.

თქვა და უხმოდ ჩაიკისკისა ვალაკტიონმა. გამიღმა, მითხრა:

— არც კი გამოვლაპარაკებოვარ, მაგრამ ის ხალვაში ჩემა ცხოვრების მეგობარია.

ყაისინ ყულიევი, სახელოვანი ბალყარელი საბჭოთა პოეტი, რაინდული ხასიათის მეგობრული კაცია. მოსკოვში უმადლეს ლიტერატურულ კურსებზე რომ შევედი, ის ამთავრებდა წელიწადს ერთად ვიყავით. სულ საქართველოზე მეკითხებოდა. გავივლიდით, სადმე დიდი სახლი მომეწონებოდა, ის დამტუქსავდა. რად გინდა, მთაში რომ ქოხი გაქვს, ის ყველაზე დიდია შენთვისო. ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ ვერ ვამბობდი. მერე გულახდილად ვთქვი:

სხვა არაფერი არ მინატრია, პატარა ოღის და ეზოს გარდა, როცა აკვანი ირწყევა კართან, როცა სიცოცხლეს მთათა და ბართა ადამიანის ყოფნა ატყვია.

მაგრამ საოცარი ის იყო, ამ ცოტა ხნის წინ ტურისტად პარიზში

წმი ყოფნისას, ერთერთ დიდ პროსპექტზე, სალამოთი. როცა რამდენიმე წევრი ჩვენი ჯგუფი ვსეირნობდით, ვილაცამ მძღვეთა ხელები მომხვია. შევხედე მისინი. თავზე სვანური ქული ეხურა.

აი, რას ნიშნავს მეგობრობაო. მითხრა და თავზე ხელი დაიდო.

— თბილისში რომ ჩახვალ, რევავზ მარგიანს უთხარი აუცილებლად, შენი ნაჩუქარი სვანური ქულით ყაისინ ყულიევი პარიზში დასეირნობდა-თქო.

გამორჩეულად გულმართალი, პატიოსანი და სიტყვაგაუტეხელი კაცი იყო პოეტი ვიქტორ გაბესკირია. დედამისი ბათუმში ცხოვრობდა აგერ აქობამდე. საწყალი ქალი ქუჩაში რომ გვიცნობდა რომელიმე აქაურ ლიტერატორს. ტირილით შემოგვივლებდა, უბედური ვარ, ვიქტორი რა ხანია აღარაა, მე კი ისევ დავბანდალობ ამ დედამიწაზეო.

ჰოდა, ერთ ზაფხულს ვიქტორ გაბესკირია და მასავით ადრე ჩვენგან წასული კრიტიკოსი ვლადიმერ ზამბახიძე, რომლებიც ძველი მეგობრები იყვნენ, ბათუმში ჩამოვიდნენ.

ძალიან უნდოდა ვიქტორს ჰოროხისა და მაჭახლის ხეობების ნახვა. ჩავსვი „მოსკვიში“ და ორივე მეგობარი ქალაქგარეთ წავიყვანე. მთელი დღე მაჭახელში დავრჩით. ბადეც ჩავაფინეთ მდინარეში რამდენიმე ალაგას და ცოტა თევზიც მოგვყვა. ბადურა ნანადირევით ვიქტორს ეჭირა ხუ-

ლში. უცებ მესმის კამათობენ მე-  
გობრები. მალე ხმას აუწიეს და  
თითქმის ერთმანეთის ლანძღვაც  
გაუბრეს. მოვიხედე, ერთს ხელში  
ლიფსიტა თევზი უჭირავს და ამ-  
ტკიცებს, ეს ჭანარიაო, მეორე ამ-  
ბობს, არა, ეს მურწააო.

იტყვიან, მეგობრისგან უბრა-  
ლო რაღაც ადვილად გეწყინე-  
ბაო. ალბათ ასე დაემართა იმა-  
თაც.

ისე გაიბუტნენ, სალამომდე  
ხმასაც არ სცემდნენ ერთმანეთს.  
შევწუხდი, მაგრამ თითქოს ეს  
ამბავი მე არც გამიგია. ისეგ ისე  
ვუყვებოდი ორივეს წინანდელ  
დაწყებულ სათქმელს. ვეფერებო-  
დი ორივეს. შინ მივიყვანე ჩემ-  
თან, პატარა სუფრა გავმართე,  
ჩვენი მცირე ნანადირევიც ვავი-  
ტანე. ბოლოს შევარიგე მეგობ-  
რები, დავამშვიდე. მიხაროდა.  
თუმცა გენახათ თვითონაც რთ-  
გორ უხაროდათ.

წყენა, რომელმაც თვითელს  
ალბათ ძალიან მალე გადაუარა,  
შეიძლებოდა კარგა ხანს ვერ გაე-  
დევნათ ჩაურევლად.

— ავაშენა ღმერთმა, რომ მოგ-  
ვეხმარე და შეგვარიგე. — თქ-  
ნოდნენ წასვლისას.

ბრიან ადამიანები, მეგობრე-  
ბიც, რომელთა საქმეში ვერ ჩაე-  
რევი. შეიძლება კარგა მოზრდი-  
ლი გაუგებრობაც მოხდეს მაო-  
შორის, შენ გარედან ატყობ,  
სრულიად უმნიშვნელო რაღაცის  
გამო, მეგობრები უნდა დაშორდ-  
ნენ ერთმანეთს. სული გთხოვს,  
გული გერჩის — მიხვიდე, უთხ-

რა ორი ღერი სიტყვა და ატყობა-  
ფერი განელდება, გაიფანტება-  
ეჭვები, შეწყდება საყვარელთა  
მაგრამ თუ მიეკარე, ამოგადე-  
ბენ. ვიქტორი სხვა კაცი იყო.  
იგი გულმართალი, პატრიოტული-  
პოეზიის ტრფიალით ცოცხლობ-  
და. ბევრი თავისა წრფელი აღ-  
ტაცება და მოსაზრება პოეზიაში  
გამოუთქვამს თავის დროზე, რის-  
თვისაც ზოგჯერ მეგობართა საყ-  
ველურებიც დაუმსახურებია, მა-  
გრამ უკან არ დუხვებია.

1960 წლის ზაფხულს „ლიტე-  
რატურულ საქართველოში“ და-  
ბეჭდა ჩემი ლექსი „გენაცვალე“.  
პარასკევი დღე იყო. კვირას კი  
„კომუნისტში“ ვიხილეთ ვიქტორ-  
გაბესკირიას აღტაცებული წერა-  
ლი ამ ერთ ლექსზე.

მას, ალბათ, მოწონებოდა, რომ  
ამ ლექსში ქართველი კაცის მე-  
გობრული გულის, მისი უძველ-  
ესი მასპინძლური ტრადიციის  
ხოტბაა.

ერთი ჩვეულებრივი ლექსი  
იყო. ასეთი საქვეყნო ქება რაღაც  
გადაჭარბებული მომეჩვენა. იმ  
დროს პირადად მე ვიქტორს ვერ  
კიდევ მხოლოდ სალამით ვიცნო-  
ბდი.

ვინ რა იფიქრა არ ვიცი, მაგ-  
რამ მე ხომ ნამდვილად ვიციოდა  
და მჯეროდა — თავისი გულის  
კარნახით თქვა ის სიტყვა ვიქტო-  
რმა.

მეგობრობამ და ადამიანთან სი-  
ახლოვის სურვილმა არ იცის სი-  
ძნელის წინაშე ქედმოხრა.

ჯერ კაცს არ იცნობ, მისკენ კი-

გული გეძახის. შარშან ქართველ მწერალთა ჯგუფი გვეწვია თბილისიდან. კარლო კალაძეს თავისი მეუღლე, ცნობილი ხელოვნებათმცოდნე, გულიკო ჯაფარიძე ახლოდა. სახელოვან პოეტ კარლო კალაძეზე ერთხელ ქედაში გლეშმა მითხრა: ჩვენი კარლო სიცოცხლის მუგუზალიაო. გულიკო კი მე ვიტყვოდი, სიცოცხლის ანთებული სანთელი იყო.

მოეწყო ისე, რომ ვახტანგ წულუკიძემ, აჭარის განათლების მინისტრმა, თავის მშობლიურ ტბეთში მიგვიპატიჟა. სექტემბერი იყო. მთაში თოვდა. გულიკო ულმობელ სენს უკვე საკმაოდ მიუსუსტებინა. მაგრამ მთაში წასვლა, ძველი აჭარული ოჯახის გაცნობა, სადაც დედა — ქალი მისი თახამოგვარე ჯაფარიძეა. მაინც მოიწადინა. კარგად აიტანა აღმართები. დიდებული ღამე გავატარეთ ტბეთში. ენით აუწერელი და დაუვიწყარი შთაბეჭდილება წამოვიღეთ.

გულიკო სიხარულით ტიროდა. რა ხალხი ვნახე, რა მეგობრები გავიჩინე. ას წელიწადს არ დამავიწყდებიანო.

დიახ, ახალი შეთვისებული მეგობრობა მთელი საუკუნის ვადით ჩაასახლა გულში გულიკომ. თავად კი ორიოდ თვეში ჩვენგან სამუდამოდ წავიდა.

შემდეგ გახეთში წავიკითხე კარლო კალაძის ახალი ლექსები. პირველად შევნიშნე მის სტრიქონებს ასეთი რამ: სევდა, ტკივილი, მარტოობის ულმობელი

გრძნობა. ძნელია შეჩვეულებული ცხოვრების ერთგული წევრი დაკარგვა.

ამას წინათ მოსკოვში ვიყავით. დიდი ილიას საღამო გაიმართა დედაქალაქში. ქართული ყვავილები ჯერ პუშკინთან მივიტანეთ, მერე — რუსთაველთან.

ამ ორი ბრძენკაცის ორი ძეგლი მოსკოვში ყველაზე ღამაზ აღგიღებზე დგას. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთის უძველესი და უდიდესი ქალაქი ჩემი ზიარიცაა, არა თუ ზიარი, იგი ჩემია მთლიანად. და ამ „ჩემსას“, მაღალსა და მარადიულს, დაპატრონებია თვით რუსთაველი — მაღალი და მარადიული.

ამას რომ ვუიქრობდი, ბალშია გრუზინსკაიაზე ვიდექით შოთას ძეგლთან და კიდევ ერთი აზრი მიმწიფდებოდა გონებაში, აზრი იმისა, რომ ეს ჩვენი გადამარჩენელი და განმაახლებელი — ხალხების დიდი მეგობრობა არა დღეს, არამედ თვით რუსთაველიდან დაიწყო.

მეორე დღეს ლიტერატორთა სახლში ქართული ლექსის საღამო გაიმართა. ყველაზე გამოჩენილი რუსი პოეტები მოვიდნენ, პოეზიის ყველაზე უკეთესი მოყვარულნი შეიკრიბნენ.

რამდენი საზრუნავი აქვს მოსკოვს, მთელ ჩვენ სახელმწიფოს, რამდენი რთული საშინაო და საგარეო საკაცობრიო საკითხია გასარკვევი, მოსაგვარებელი, რა გონება, რა შრომა, ენერჯის დამბვა ჭირდება ყოველივე ამას.

მაგრამ ამოდენა ქვეყნის პატრონმა და წარმმართველმა ძალამ, მისმა პარტიულმა უმაღლესობამ საჭიროდ და აუცილებლად ჩათვალა, რომ სწორედ ახლა სამშობლოს დედაქალაქს ქართული კულტურის ზეიმი გაემართა.

ეს ჩვენი მეგობრული ცხოვრების კანონის არსიდან მოდის. ეს ჩვენი მუშაობის და არსებობის წესია. ამიტომ იგი გულწრფელი, ბუნებრივი და უშუალო გამოვიდა.

სალამოზე ერთად, შეწყობილად აყდერდა ქართული და რუსული სიტყვა. აი, ეს იყო ენათა ძმობის, ენათა მეგობრობის, მათი ერთად სიცოცხლის დაუვიწყარი დემონსტრაცია.

დასასრულ ჩემთან მოვიდა ვლადიმერ სოლოუხინი. საჭიროველოს გულითადი მეგობარია. მისი ოჯახის მეგობარი დასაწყისშია. და, ძალიან მომენატრა ქობულეთი, აჭარის მთები, შეიძლება ამ ზაფხულს შეგაწუხოთო. გულით დავპატიჟე. დავპირდი. შინ ვიქნები, გელოდები-მეთქი.

როგორც იტყვიან, ღმერთმა ნუ მოგვიშალოს ეს ერთმანეთის ნახვის, ერთმანეთთან მისვლის იმედი და ამით განცდილი კმაყოფილება.

ბევრი გახმაურებული სახელი ვიცით, მაგრამ არ ვიცით ამ სახელის პატრონი კაცობაში როგორია. სოლოუხინი კაცობაშიც კარგია. ერთხელ ვთქვი:

სახელს, ჩვენ ვიცით, აამაღლებს კარგი კაცობა,  
სხვა ყველაფერი სახელს დამარხავს,  
მარტო საკუთარს?  
ჩემს სახელსაც დააქუცმაცებ,  
თუ მეგობარი კაცი არა ხარ.

თანაც ვფიქრობდი: ჩვენ ერთი იდენი, საძმო დროშა გვიფარავს, მაგრამ თვითეულს კიდევ თავისა

სიცოცხლის დროშა აქვს, თავისებურად გულში შენთებული. ამიტომ ჩემთვის ვიმეორებდი:

ჩემი დღეებიც დაკვიცლა,  
როგორც დროშები,  
ჟღერო მაწვება ჯავრი ქვეყნის  
და სახლ-კარისა,  
რომელ ავდარში ნეტავ კიდევ გავითოშვები?  
ან სად ვაძაბობს ჩახუტება  
დროშის ტარისა?  
მწუხრით მწუხრამდე,  
რიყრაყიდან გარიყრაყამდე,  
ნდობას, მშვიდობას, ძმობას, ტრფობას  
შინდა ვკაჟავდე,  
ცაო, ნათელო, არ გვიმუხთლო,  
ალარ გაშავდე.

ლექსის საღამო რომ დასრულდა, დარბაზში ჩავედით. ერთი წნიერი რუსი ქალი იოსებ ნონე-შვილს თვალცრემლიანი ეუბნებოდა: დიდი მადლობა, რომ ასე ღამაში ქართული სიტყვა გაშავონეთ. ლექსად ასხმული თქვენებური სიტყვა მუსიკასავით ეაშა გულსო.

მაშინ ერთხელ კიდევ მესიამოვნა. რომ აგერახლა კვლავ სამარადისოდ, საიმედოდ დააკანონა საბჭოეთის და ჩემი რესპუბლიკის ახალმა კონსტიტუციებმა ჩვენი ხალხების კულტურებისა და ენების, ჩვენი მშვენიერი ეროვნული ტრადიციების არსებობა-განვითარება.

ჩვენ. აჭარაში. საქართველოს ამ უძველეს და უღამაზეს მხარეში. სადაც მშობლიურმა ენამ უბედურება. დევნა და, მაგრამ მაინც არ მოკვდა, ახლა, ჩვენი კუთხის განთავისუფლების ასი წლისთავზე, განსაკუთრებულად გვეამაყება ყოველივე ეს.

ისედაც, მეგობრობაში ხომ უპირველეს როლს ყოველთვის სიტყვა ასრულებს.

მეც ჩემს საუბარს ჩვენი ვადამჩენელი, ჩვენი მაცოცხლებელი სიტყვისადმი ლოცვით დავასრულებ:

ეს სიტყვა უნდათ იღებდეს და ლოდებს,  
და მთებს, ჩემი რომ ჰქვია სამყოფი.  
ეს სიტყვა უნდათ, როგორც ლურჯ ტოტება  
ყოველ ზაფხულში უხდათ ნაყოფი.  
ამ სიტყვას ითხოვს მშობლიურ ხევში  
ნისლი, რძესავით ჩამოღვარული.  
გუთანზე მამის ხელი უხეში,  
აკვანთან დედის სევდა მალული.  
ეს სიტყვა უნდათ იმ ძველ საფუძრებს  
და აჭარაში ატეხილ ვაზებს,  
ყველაზე დამწველ ქარს რომ გაუძღეს  
და ჩემი სუფრა ახლაც აავსეს.  
ეს სიტყვა არეინ არ დამიჩაგროს!  
ეს სიტყვა ყოფნის დედაბოძია,  
მზე, სიძულვილმა ბნელში რომ ჩარგო,  
ამ სიტყვამ ისევ ზე ამოსწია.



ნორეკ კახიძე

## სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული ნაქსულიდან

უკანასკნელ წლებში ქართველმა ისტორიკოსებმა არაერთი საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წარსულზე. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ტბეთის სულთა მატთან“, რომელიც ახლახან გამომცემლობა „მეცნიერებამ“ დასტამბა. იგი ასახავს ძველი ქართული ხელნაწერის შინაარსს, რომელიც უძვირუესი ისტორიული წყაროა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ აჭარის, ისტორიის დღემდე ნაკლებად ან სრულიად უცნობი საკითხების გასაშუქებლად.

წიგნში შესული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა თ. ენუქიძემ.

ნაშრომის დასაწყისში ავტორი არკვევს ძეგლის მოპოვებისა და მისი შესწავლის ისტორიას.

ხელნაწერი ძეგლი, სხვა სამ ისტორიულ საბუთთან ერთად, მიუყვლევიან გიორგი ყაზბეგს შავშეთის ტბეთში მოგზაურობის დროს (1874 წელი) და ისტორიკოს დ. ბაქრაძისათვის გადაუცია. აქედან გაცნო მას ფრანგი მეცნიერი მარი ბროსე, რომლის კოლექციებიდან

მოხდა ხელნაწერი სააზიო მუზეუმში (ამჟამად ინახება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ქართულ ხელნაწერთა ფონდში). მისი ფოტოპირი კი წიგნის ავტორმა თ. ენუქიძემ საჩუქრად გადმოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიბლიოთეკას.

ძეგლი დღემდე ცნობილი იყო „მიჩიხანის“ (მაჭახლის) ხევის (ხეობის) სულთა მატთანის“ სახელწოდებით (დ. ბაქრაძე, პ. ინგოროყვა, ი. სიხარულიძე, ს. კაკაბაძე და სხვ.). თ. ენუქიძე, რომელმაც მოგვცა ხელნაწერის პირველი სრული მეცნიერული აღწერილობა კომენტარებითა და შენიშვნებით, არ იზიარებს ამ მკვლევართა აზრს, ვაძეგლს ასათურებს „ტბეთის სულთა მატთანის“ სახელწოდებით, ამას იგი იმიო ასაბუთებს, რომ, ვერ ერთი, ძეგლში არ არის სათანადო მონაცემი იმისა, რომ ხელნაწერი მხოლოდ მიჩიხანის ხევის მცხოვრებთა მოსახსენებელს მიეკუთვნოს. ხეგების მიხედვით „სულთა მატთანები“ ჩვეულებრივ არ იქმნებოდა. მასში შედიოდა მოსახსენებლები

ამა თუ იმ მონასტრის ან ეკლესიის შემწირველებსა, რომლებიც შეიძლება ყოფილიყვნენ სხვადასხვა კუთხიდან, ძირითადად ამ ეკლესიის სამრევლოდან და მონასტრის პატრონის საფეოდალოდან. ძველში კი შესულია სხვადასხვა გვარები ტბეთის შთელი ეპარქიადან. მეორეც, „სულთა მატიანეებს“ ეძღვევათ იმ ეკლესიის ან მონასტრის სახელი, სადაც ეს მატიანე შედგა (გვ. 10-11).

თ. ენუქიძის მიერ შემოთავაზებული სახელწოდება წიგნისა „ტბეთის სულთა მატიანე“ ჩვენი აზრით კიდევ უფრო ზრდის ხელნაწერის და თვით წიგნის მრავალმხრივ მნიშვნელობას, რეალურად ასახავს აგრეთვე მაშინდელი ტბეთის ეპარქიაში შემავალი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინციების კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობას.

ნაშრომის სახელწოდებიდან ჩანს, რომ ხელნაწერი სასულიერო ხასიათის ტექსტია, „სულთა მატიანე“, ე. ი. მოსახსენებელთა ანუ შემწირველთა თავმოყრილი ნუსხაა, რომელიც გარკვეული პერიოდის მანძილზე იქმნებოდა. ასეთი მატიანეები შუა საუკუნეებში ჰქონდა ყველა მნიშვნელოვან ეკლესიას. შემწირველები კი სხვადასხვა მწირობებით მატერიალურად უზრუნველყოფდნენ ეკლესია-მონასტრებს და ამავე დროს ზრუნავდნენ როგორც საკუთარი, ისე თავიანთი მახლობლების სულის მოსახსენებლად.

სარეცენზიო ნაშრომში დადგენილია ხელნაწერის ქრონოლოგიური ფენები, მოცემულია მისი ტექნიკური და მეცნიერული აღწერილობა, რაც მთლიან სისტემაში წარმოგვიდგენს ძეგლს.

ხელნაწერის შინაარსიდან ირკვევა, რომ ჩვენამდე მოღწეულია სწორედ მისი დედანი — სხვადასხვა ზომისა და ხარისხის ეტრატის 18 კეფისაგან შექმნილი გრაფიკი, რომელსაც არა აქვს თარიღი. იგი ამავე დროს ნაკლებიც ყოფილა. ზოგიერთი კეფი დროთა განმავლობაში ძლიერ დაზიანებულა და ძნელად იკითხება. მატიანეს ნაწილი კი არ მოღწეულა. დამწერლობა შესრულე-

ბულია ნუსხა-ხუცურით, რომელშიც მთავრული ასოებიც ურევია. გამოუყენებიათ მოყავისფრო, წილობრივ ლურჯი მელანი. ასოები და ზოგიერთი სტრუქტურით დაუწერიათ. ძეგლი მხოლოდ პალეოგრაფულად, ხელის მიხედვით იარსილდება.

თ. ენუქიძის აზრით ძეგლის ძირითადი ფენა მიეკუთვნება არაუგვიანეს XII-XIII საუკუნეებს, მომდევნო ფენები კი XIII-XVII საუკუნეებს. მანვე პირველმა აღადგინა, დაასუსტა და დააჯგუფა ხელნაწერის კეფების თავდაპირველი ქრონოლოგიური თანმიმდევრობა და მატიანის მთელი ტექსტი დაყო ცალკეულ ქრონოლოგიურ ტაბულებად და ქვეტაბულებად (სულ შეიდი ძირითადი ტაბულა და ერთი ნარევი ტაბულა). ამგვარი სამუშაო საკმაოდ რთულად წარმოგვიდგება და ავტორმა იგი მალაღ შეცნირულ კვალიფიციურ დონეზე შეასრულა.

ნაშრომის ძირითადი მონაკვეთია ის თემა, რომელშიც ტბეთის სულთა მატიანე განხილულია, როგორც საისტორიო წყარო. ავტორს საპიროდ ჩაუთვლია, და ჩვენი აზრით სრულად სწორად, მოცულობითი საყდრის აშენების ისტორია, მისი ვრცელი აღწერილობა არსებულ ისტორიული ლიტერატურის მიხედვით. აქვე დახასიათებულია ტბეთის ეპარქიაში ანუ მტბევეარის სამწყსოში შემავალი თემების (შეშეთი, აქარა, კლარჯეთი) ისტორიაც. ნაშრომში ხაზგასმით არის აღნიშნული მტბევეართა საება-კობოსოს როლი ამ პერიოდის საქართველოს რელიგიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მტბევეარი ეპისკოპოსები იყვნენ გამოჩენილი მწიგნობრები და ტბეთის საყდარიც ქართული კულტურისა და მწიგნობრობის ერთ-ერთ კერას წარმოადგენდა.

მატიანეში ვკითხულობთ ძვირფას ცნობებს მასში დამოწმებული გვარების სოციალური კუთვნილების შესახებ. სხვა შესაბამის მასალებთან შედარების საფუძველზე თ. ენუქიძე თვლის, რომ

ტბეთის სულთა მატიანის“ შემორჩენილი ტექსტები კერძო პირთა, ხოლო მისი დაკარგული ნაწილი წარჩინებულთა (მეფე-დედოფალთა და დიდებულთა, აგრეთვე საეკლესიო პატივის მქონე პირთა) მოსახსენებლები უნდა იყოს. შემორჩენილი დიდი ნაწილს დაბალი ფენებიდან გამოსულად თვლის. ისინი უშუალო მწარმოებელ ძალას წარმოადგენდნენ მაშინ. ასეთებად არიან მიჩნეული კერძოდ მეფუტკრისძე, რომელიც მეფუტკრიდან ნაწარმოებია, აგრეთვე მკედლისძე (ნაწარმოებია მკედლიდან) და სხვა პირები, რომლებიც ხელოსნურ საქმიანობას მისდევდნენ. ამთაგან სავანებოთ უკრადლება გამახვილებულია ხელოსან არსლან ოქრომჭედელზე. კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ავტორის კვლევას იმის შესახებ, რომ ტბეთის მატიანეში მოხსენიებული არსლან ოქრომჭედელი ასოციაციას იწყველი ქართველი ოქრომჭედლებიდან ცნობილ გვაზავასძებთან, სახელდობრ ასან გვაზავასძესთან, რომლის მოჭედილი წმინდა გიორგის ხატი ინახება ზემო სვანეთის სოფელ ნიკიფარში. ავტორის თქმით ასეთი იდენტიფიკაციისათვის არ არსებობს გადაუღახავი დაბრკოლება. რადგან, მიუხედავად იმისა, რომ გვაზავასძეთა მიერ მოჭედილი ხატები სვანეთში შემოგვრჩა, ეს სრულიადაც არ უშნავს გვაზავასძეების მაინცდამაინც სვანეთში მოღვაწეობის ფაქტს. მას სავსებით დასაშვებად მიაჩნია, რომ გვაზავასძეები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ შავშეთში, ხოლო მათ მიერ მოჭედილი ხატები შემდეგ მოხვდნენ სვანეთში. ამასთან ერთად ავტორი ვარაუდობს, რომ ხატების ნაწილი სავანებოდ მოაქვდნენ მათ სვანეთის ეკლესიისათვის. მკვლევარი იმოწმებს იფარის წმ. გიორგის ხატის წარწერას, საიდანაც ჩანს, რომ მარტოშის შეკვეთით ასან ოქრომჭედელს სავანებოდ გაუკეთებია ხატი იფარის წმინდა გიორგის ეკლესიისათვის. ასეთი მსჯელობის ერთ-ერთ ამოსავალ წერტილად ავ-

ტორს ის მიაჩნია, რომ თავისთავად გვაზავასძე არ ჩანს სვანური გვარის, რომ ძე-თი წარმოებული გვარები სწორედ ტბეთის სულთა მატიანეში მოხსენიება მრავალად (იგი შესაძლებელია იყოს) თვით სახელების არსლან-ისა და ასან-ის გაიგივებასაც). ავტორის დაკვირვებით გვაზავასძეთა ხატები წარწერების ნიშნებით პალეოგრაფიულად XI საუკუნეზე გვიანდელ ხანას მიეკუთვნება და ქრონოლოგიურად ტბეთის სულთა მატიანის ადრეულ ფენებს უახლოვდება (გვ. 34-35).

ტბეთის სულთა მატიანისეული არსლან ოქრომჭედლის გარშემო მსჯელობა ერთი კონკრეტული ფაქტია იმისა, თუ როგორ ამეტყველა მკვლევარმა მატიანეში მოხსენიებული თითქმის შიშველი გვარსახელები და მის ფართო შიან-არსი მისცა, იგი მეცნიერულ რანგში ააყვანა. ასეთი ფაქტები ზრდის ნაშრომის მნიშვნელობას.

მატიანეში იხსენიებიან აგრეთვე დაბალი სასულიერო რანგისა (მნათე, დიაკონი, ხუცესი) და შედარებით მაღალი წრის (მწერალი, წინამძღვარი, მოძღვარი) პირები. მატიანისეული ტბელისძეებიც წარჩინებულთა წრიდან გამოსულები ჩანან და დასმულია საკითხი მათი ნათესაური წარმომავლობის შესახებ ცნობილ აბუსერიძე ტბელთან. მატიანეში მოხსენიებულ ზოგიერთ გვარებს (ვარდანეთ, ვაცასძე და სხვ.) მკვლევარი ფეოდალთა გვარებს ამსგავსებს. ტექსტში ორი შემთხვევაა დაფიქსირებული, როდესაც აღნიშნული მოხსენიებულ პირთა დამსახურება. ეს პირებიც დაბალ წრეს განეკუთვნებიან.

აღნიშნული ცნობები დამატებითი წყაროა იმდროინდელი საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესწავლისათვის.

შემდეგი დიდი მეცნიერული ღირებულება ტბეთის სულთა მატიანისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ფრიალ საინტერესო მასალას გვაწვდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ ძველ ქართულ გვარებზე, მათ წა-

არმოებასა და წარმომავლობაზე, ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმების საკითხებზე.

ძველში გვხვდება სხვადასხვა სუფიქსით ნაწარმოები 350-მდე გვარი. წიგნში ვკითხულობთ, რომ ყველაზე მოკლად წარმოდგენილია ძე-ზე, შემდეგ ეთ-სა და შვილ-ზე დაბოლოებული გვარები, უფრო იშვიათად ურ, ელ, ულ, ფხე, ნა, ია, ში და სხვა სუფიქსებით ნაწარმოები გვარები.

იმდროინდელ გვართა წარმოებაში, როგორც ჩანს, მთელი რიგი თავისებურებანიც შეიმჩნევა. სუფიქსური წარმოებით ერთმანეთისაგან განსხვავებულია ქალისა და მამაკაცის გვარები. არცერთი ქალის გვარი არ ბოლოვდება ძე-სა და შვილ-ზე. ამ სუფიქსებით მხოლოდ მამაკაცის გვარებია მიღებული (აბაბისძე, ბებუჩისძე, გუჯარისძე, კანჯარასძე, სიდასძე, ტბელისძე, შავჩიტისძე, ცალმრავისძე, ცანდასძე, წითელბერისძე, წინწყელასძე, სუმბატისშვილი, ქეთარასშვილი, აღსართანშვილი და სხვ.); ეთ-ზე დაბოლოებული 109 გვარიდანაც მხოლოდ ოთხი გვარია ქალი-სა (გუნდარეთ შორენა, კადიეთ მარიამი, დავლაეთ ცხორება, ჯარდენეთ მარიამი), დანარჩენი მამაკაცის გვარებია (აბესლამეთ, ბერსელეთ, ბუწნელეთ, გიორგაუთ, გლიჯეთ, გოგაბერეთ, გორგაზეთ, გუიანეთ, გუნდარეთ, დოლიეთ, ევნატეთ, ვარდანეთ, ვაკაეთ, ზარქეთ, თავხელეთ, თევთიეთ, კანჯარეთ, კეჭერეთ და ა. შ.). ავტორისეული აზრით ურ და ულ სუფიქსებით ნაწარმოებია მხოლოდ ქალის სახელები და გვარები (აბესლამური, ახალური, გუინური, თევთიური, სიკალური, ჩიკოტაური, ცაცაური, ქოქილაური მარიამ, ქუაბელური ნათელი, ხინკილაური, ჭოთური, ფოთელური, ვაბრიჩილაური მარინე, გიორგაული, ვერძაული ცხორება, ზაქიარაული, კირკიტური ნათელი). საინტერესოა ისიც, რომ ულ და ურ მწარმოებლიანი ქალის გვარები და სახელები მიღებულია მამაკაცის სახელებიდან ან გვარებიდან, რომ,

ხშირად, მამაკაცის ერთი და იგივე ხელიდან იწარმოებოდა ძე ან ეთ სიტყვების დასართიანი მამაკაცის გვარის ულ ბოლოსართიანი ქალის გვარის ულ ბოლოსართიანი ქალის გვარების მაწარმოებელი სუფიქსი ყოფილა ფხე, რომელიც მათიანში ორჯერ გვხვდება (მაკვაფხე ხათუთა, შერაფხე ცხორება). საინტერესოა, რომ ფხე ქალის ვინაობის აღსანიშნავად ხანდაზმულ პირთა ქობულეთურ მეტყველებაში დღესაც შეინიშნება. როდესაც იტყვიან, მაგალითად, ბაუჯა ფხე (სოფელი კობალაური) იგულისხმება გათხოვილი ქალი.

დამახასიათებელია, რომ მათიანისეული გვარების დიდმა ნაწილმა (ზოგმა ნეცელილი, ზოგმა სრულიად უცვლელი სახით) დღევანდლამდე მოაღწია და ისინი აჭარის (მათ შორის ძირითადად მაჭახლის ხეობის) სხვადასხვა სოფლებში სახლობენ. ესენი უმთავრესად ძე-ზე დაბოლოებული გვარებია: აბესლამაძე, ბალაძე, ბასილაძე, ბეღინაძე, ბერაძე, გათენაძე, გამიშიძე, გიორგაძე, გორაძე, გორგაძე, გორგოშაძე, გვიანიძე, დავითაძე, დავლაძე, ვარშანიძე, ვერძაძე, თევთიძე, კაკალაძე, კახაბერიძე, კირკიტაძე, კობლაძე, კვირიკაძე, მახაჭაძე, მგელაძე, მელაძე, მიქელაძე, მორთულაძე, ოსანაძე, სამოელიძე, ფოთულაძე, შამანაძე, შუშანიძე, ძნელაძე, ჭანაძე, ხინკილაძე, ჯაფარიძე, ჯიგანაძე და სხვ. გამოთქმულია ვარაუდი, რომ დღევანდელი გვარები ქონდარიძე, ფუტკარაძე, მოფინაძე, ფერსელიძე, ლასტაკანიძე, ქავთარაძე, ქობულაძე, წითელაძე, ციმნარიძე, პირპილაძე, მალაყამაძე უნდა იკითხებოდეს მათიანისეულ გვარებში: გუნდარისძე, მეფუტკრისძე, მოფირნასძე, თერსელისძე, რასტავანისძე, ქეთარასშვილი, ქუაბელისძე, წითელაყთ, ცივნარისძე, პილპილასძე, მალეყმასშვილი.

მატიანეში გეოგრაფიული სახელები ანუ ტოპონიმები წარმოდგენილია როგორც უშუალოდ, დამოუკიდებლად, ასევე მოხსენიებულ გვარებში და ამა თუ იმ პირთა სადაურობის აღმნიშვნელ სი-

ტყეებში. მაგალითად, ძეგლის ძირითად და უძველეს ფენაში (XII-XIII სს) მოხსენიებულია მაჭახლის ხეობის ისეთი ტომონიმები, რომლებიც დღეს სოფლებად იწოდებიან. ასეთებია: ზედღაე, იფრატე, ზერთვისი, აკრია (ზემო მაჭახელა, მოქცეული თურქეთის სახელმწიფო საზღვრებში), ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი (აჭარისადმართის სასოფლო საბჭო, ხელვაჩაურის რაიონი). აღნიშნული გეოგრაფიული სახელები სინკურითაა დაწერილი. სხვა მიკრო თუ მაკრო ტომონიმებიდან დასახელებულია ვრკე, ჯოჭო, კიბე, კირნათი (კალნათ ფორმით) (ხელვაჩაურის რაიონი), ზენდღი (ქედის რაიონი), რომლებიც აგრეთვე ამჟამად სოფლებად ითვლებიან. მატიაწეში მოხსენიებული გვარებიდან (გვიანეთ-გუიანისძე, დავითისძე-დავითაძე, ძნელასძე, ცხადაეთ, პილბილასძე, ბაიკლასძე, კირკიტაული-კირკიტასძე, ხიკალაეთ, ხინკლასძე) წარმოშობილი ჩანს დღევანდელი სასოფლო უბნები: გვიანეთი, დავითეთი, ძნელიეთი, ცხადიეთი (სოფელი ზედა ჩხუტუნეთი), პირბაღეთი (სოფელი ცხემლარა), ბასილეთი, კირკიტეთი, სიკალეთი, ხინკილეთი (სოფელი ჩიქუნეთი). (ამავე რიგისა ხომ არ არის სოფელი ერგე და მიღებულია გვარიდან ერგელისძე?). ძეგლი იცნობს აგრეთვე თურქეთის სახელმწიფო საზღვრებში მოქცეულ სხვა ბევრ ქართულ გეოგრაფიულ სახელსაც.

ხელნაწერი ამავე დროს მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა იმ დროათვის გაგრძელებული მამაკაცისა და ქალთა სახელების შესწავლისათვის. ქეგლის დატულია მამაკაცის 160-ზე მეტი და ქალის 80-მდე სახელი. ირკვევა, რომ მამაკაცთა სახელებიდან უფრო გავრცელებული ყოფილა გიორგი, იოვანე, ივანე, მიქაელი, ნიკოლოზი, დავითი, დემეტრე, ბასილი, იორდანე, ზაქარია, თევდორე, გრიგოლი, კუირიკე, აგრეთვე აბალა, აბაშ, ბიბილა, ვაბრიელ, გივი, გოგი, გუგუნა, გუიანა, დიმიტრა, ესაია, ზებედა, თომა, იაკობ, ილარიონ,

კვირია, კობახთა, კოკობინა, მარკოზ, მახათა, მგელა, ონოფრე, რობირე, პეტრე, სუნბატ, ქაბუაძე, ოციკი, ყურსალა, ცივნარცხადა, ხინკილა და მრავალი. ქალთა სახელებიდან გაგრძელებული ჩანს მარიამ, ნათელი, ბორენა, თამარი, თინა, თამსი, რუსუდანი, შორენა, ცხორება, ბურდუხანი, გვანცა, დიოფალა, თუთა, მართა, მარია, მარინა, ნათია, პარასკევა, შუშანა, ჩხუტუნია, ცაცა, ხათუთა, ხორეშანი, ხუაშკი და ა. შ.

სარეცენზიო ნაშრომს ერთვის ვრცელი რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე, საძიებლები (პირთა, მამაკაცთა და ქალთა სახელებისა, გეოგრაფიულ სახელთა, ტერმინთა, დაქარაგმებულ სიტყვათა), აგრეთვე ფოტოტაბულები, რომლებშიც მოცემულია ძეგლის სხვადასხვა ფენების დაწერილობის ნიმუშები მათი სავარაუდო თარიღების მითითებით. ძეგლის დედნის ფოტოები და მისი შესაბამისი ტექსტები დაბეჭდილია ერთმანეთის პარალელურად, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს უფრო გარკვევად აღიქვას ძველი დაწერილობის ნიმუშები.

წიგნი გაფორმებულია სათანადო პოლიგრაფიულ დონეზე, რაც გამოიყვამლობა „მეცნიერების“ მუშაკთა უდავოდ იდი დამსახურებაც არის.

განხილული ხელნაწერი ძეგლა ტბეთის სულთა მატიაწე იმდენად მრავალმხრივი და რთული შესასწავლი ძეგლია მისი სპეციფიკურობის გამო, რომ მასთან დაკავშირებული ყველა საკითხის მთელი სისრულით გაშუქება, დაზუსტება და დაკონკრეტება ნაშრომში, მუნებრივია, შეუძლებელი იყო. მაგრამ არის რიგი საკითხებისა, რომლებიც სათანადო ახსნას მაინც საჭიროებდა.

ნაშრომში დამოწმებულია მე-16 საუკუნის ცნობა, რომ შავშეთი მაჭახლის ხეობით და „აჭარა დანდალოს ზეითი“ მტბევარის სამწყსოს ეკუთვნოდა, ე. ი. მტბევარის ეპარქიაში შედიოდა. „დანდალოს ქვემოთი აჭარა“ კი ქუთათლის

სამწყსო იყო. აქედან გამოიძინარე, ზენი აზრით, საჭირო იყო იმის გარკვევა. თუ როგორ მოხვდნენ ტბეთის სულთა მატთანეში შემწირველები ზენდიდან, კბედან, აგრეთვე ჯოჭოდან, ერგედან და სხვა, რომლებიც „დანდალოს ქვემოთა აჰარის“ ტერიტორიაზე სახლობდნენ. თემკა, წიგნში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ტბეთის სამწყსოში მისი წარმოქმნიდან შედიოდა არა მარტო შავშეთი, არამედ, შესაძლოა, თელი აჰარაც, ხოლო შემდეგ ტბეთის ევარქიის ტერიტორიული ფარგლები შეიკვეცა და მას მხოლოდ აჰარის, დანდალოს ზემოთა ნაწილი ექვემდებარებოდა. მაგრამ მეტი დამაჯერებლობისათვის სათანადოდ დასაბუთებული არგუმენტების მოტანა იყო საჭირო. ავტორი წერს, რომ ძველში მოხსენიებული ონომასტიკონი „განეკუთვნება ძირითადად ძველ ქართულ ისტორიულ თემს — შავშეთს, ნაწილობრივ კლარჯეთს და აჰარას“. ცხადია, აქ იგულისხმება მაჭახლის თემიც, მაგრამ იგი გამოცალკევებით უნდა შეეთითებინა. მაჭახელი ცალკე ისტორიულ-ეონოგრაფიულ რეგიონს შეადგენდა. მაჭახლის ხეობის ცალკე მინიშნება მით უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რადგან საკუთრივ მასზე მოდის ხელნაწერის ანთროპომასტიკონისა და გეოგრაფიული სახელების დიდი ნაწილი, რომელმაც დღემდე უცვლელად მოაღწია. სხვათა შორის, ესეც იყო ერთერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ზემოთ დასახელებული ზოგიერთი მკვლევარი ძველს სწორედ მაჭახლის ხეობის სულთა მატთანედ ასათურებდა.

დასმულ საკითხთან დაკავშირებით მოველოდით, რომ წიგნში, მოკლედ მაინც, საუბარი იქნებოდა იმ გზებზე, რომლითაც ძველში მოხსენიებული სოფლები და გვარები დაკავშირებული იყვნენ ტბეთის ევარქიასთან, ტბეთის ეკლესიასთან, რომელსაც სულის მოსახსენებელს სწირავდნენ. პირველ რაჟში მხედველობაში გვაქვს მაჭახლის ხეობაში გამავალი გზა, რომლითაც, როგორც

უმოკლესი საკომუნიკაციო საშუალებით (ქორონისპირა გზასთან შედარებით) შავშეთი შავი ზღვისპირეთს უკავშირდებოდა. ამ გზას უნდა ჰქონოდა მატთანეში სტრატეგიული მნიშვნელობაც. ხელნაწერის ხეობაში გამავალი გზის მნიშვნელობაზე ცხადად მიუთითებს მრავალთალიანი და საკმაოდ ფართო ხიდეებს არსებობა, რომლებიც დღესაც სარგებლობენ. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ თქმულება-გადმოცემებით აღნიშნული ხიდეების მშენებლობა სულთა მატთანის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს უკავშირდება.

ნაშრომი დიდად მოიგებდა, რომ მას დართოდა სქემა, რომელშიც აისახებოდა ძველში მოხსენიებული გვარებისა და გეოგრაფიული სახელების ტერიტორიული გავრცელების საზღვრები.

ჩამოთვლილი შენიშვნები თუ ნაკლავანებები ოდნავადაც არ ამცირებენ სარგეცნობი წიგნის მეცნიერულ ღირებულებას. წიგნის მნიშვნელობა დიდად წმინდა ისტორიული თვალსაზრისით. სიმბოლურია, რომ ტბეთის სულთა მატთანე — XII-XVII საუკუნეების უნიკალური ქართული ხელნაწერი — ასე კარგად დამუშავებული სახით, გამოიცა მისი მოპოვებიდან (1874) ასზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ. სიმბოლურია იმათაც, რომ ამ ხელნაწერის აღმოჩენის ისტორია აჰარის ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებასა და მისი დღესამშობლო საქართველოსთან დაბრუნების პერიოდს ემთხვევა. იგი თავისი შინაარსით უშიშვითადაც ძველია, რომელიც ქართული მწიგნობრობის, ქართული კულტურის კერაში იწერებოდა საუკუნეთა მანძილზე. მასში, როგორც აღინიშნა, ძალიან ბევრს ვკითხულობთ საკუთრივ დღევანდელი აჰარის წარსულის შესახებ, მის გვარსახელებზე, ტოპონიმებზე. რაც უფრო ბევრჯერ გადაავლებს თვალს მკითხველი ფოტოზე გადმოტანილ ვაცრეცილ ხელნაწერებს, მით უფრო მეტი აზრი ებადება მას, პირველ რიგში საკითხის დაინტერესებულ

მკვლევართ, და მრავალმხრივ აღიქვამს მხარის სულიერ ცხოვრებას, მის მჭიდრო კავშირთურობას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან.

წიგნს აქვს მნიშვნელობა საგანმანათლებლო და მხარეთმცოდნეობითი თვალსაზრისითაც. განსაკუთრებით აჭარის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მომუშავე მასწავლებლებს (პირველ რიგში ისტორიკოსებს, გეოგრაფებს) ამ წიგნის სახით საშუალება და საფუძველი ეძლევათ მოსწავლეებს გააცნონ მხარის ისტორიული წარსულის ბევრი საინტერესო მხარე, რომლის ამოკითხვა სხვა წიგნებში შეუძლებელია. მათიანი-სეული გვარები ისტორიკოსებსა და გეოგრაფის მასწავლებლებს საშუალებას აძლევს მოუთხრონ მოსწავლეებს აჭარა-

ში დღეს გავრცობილი ბევრი მხარის წარმოებასა და წარმომავლობაზე ცვლილებებზე, რაც გვარ-სახელებს წარმოებამ განიცადა დროთა განმავლობაში გეოგრაფიული სახელების წარმოშობაზე. ეს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებსაც დიდ დახმარებას გაუწევს. სასურველია, რომ სათანადოდ შერჩეული მათიანი-სეული სახელები შევიდეს სახელთა შერქმევის ნომენკლატურულ სიაში.

წიგნი „ტბეთის სულთა მათიანე“ ქართული ისტორიული მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია. იგი ეტრატზე ამეტყველებული ისტორიაა, რომელიც უუქს ჰვენს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საგვარეულოთა ისტორიის, ანთრონომასტიკონისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს.



6<sup>120</sup>/147



№ 40 1997.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ  
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
ИНДЕКС 78118